

დავით მაღაზონია
შორენა მაღლაკელიძე
ნინო ჭიაბრიშვილი
გიორგი გახელაძე

ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2016

დავით მალაზონია, შორენა მაღლაკელიძე,
ნინო ჭიაბრიშვილი, გიორგი გახელაძე
ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი

David Malazonia, Shorena Maglakelidze,
Nino Chiabrishvili, Giorgi Gakheladze

THE GUIDELINE IN INTERCULTURAL EDUCATION

ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის „ინტერკულტურული განათლება: პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (FR/382/2-210/13) ფარგლებში.



The Guideline in Intercultural Education has been made by Shota Rustaveli National Scientific Foundation under the project “Intercultural Education: Problems, their Analysis and Development Perspectives in Georgia” (FR/382/2-210/13).

რედაქტორი: **დავით მალაზონია, ნინო ჭიაბრიშვილი**

დამკაზადონებელი: **სოფიო კველიშვილი**

ყდის დიზაინერი: **თამარ ბასილია**

© 2016, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-255-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

1. ინტერკულტურული განათლების პარადიგმა: კონტექსტი და თეორიები	7
2. ინტერკულტურული განათლების პრინციპები და მიდგომები	21
3. ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის აქტუალობა საქართველოსთვის	28
3.1. ინტერკულტურალიზმი საქართველოს კანონმდებლობასა და განათლების სისტემაში	29
3.2. ინტერკულტურალიზმის საერთაშორისო დღის წესრიგი	57
4. ინტერკულტურული განათლება სკოლაში	79
4.1. სკოლის კულტურა	79
4.2. ინტერკულტურული განათლება კურიკულუმში	95
5. ინტერკულტურული განათლების მეთოდოლოგია	104
5.1. იდენტიობა და მიკუთვნებულობა	104
5.2. მსგავსება და განსხვავება	109
5.3. ადამიანის უფლებები და პასუხისმგებლობები	119
5.4. დისკრიმინაცია და თანასწორობა	122
5.5. კონფლიქტი და მისი გადაჭრის სტრატეგიები	128
5.6. ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია	135
5.7. ABCD-გვირგვინი	154
5.8. რა არის კრიტიკული ინციდენტი?	164
ტერმინთა განმარტება	187
გამოყენებული ლიტერატურა	190
სასარგებლო რესურსები	194

წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრატორებისათვის, ასევე განათლების საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. მასში განხილულია ინტერკულტურული განათლების უახლესი თეორიები, პრიციპები და პედაგოგიური მიდგომები. ნაჩვენებია ინტერკულტურული განათლების აქტუალობა საქართველოსთვის, ასევე გაანალიზებულია უკვე არსებული ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა, რაც ფორმალურ საფუძვლებს ქმნის ინტერკულტურული განათლების პროცესის უზრუნველსაყოფად. გზამკვლევში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო პრაქტიკით განმტკიცებულ სკოლის რეფორმირების (სკოლის კულტურის გაუმჯობესება, კურიკულუმის მედერნიზაცია) იმ ეფექტიან სტრატეგიებზე, რაც ხელს შეუწყობს ინტერკულტურული განათლების მიზნების მიღწევას.

პედაგოგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ინტერკულტურული განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიების გაცნობა და წარმოდგენილი სიტუაციების (სიტუაციური პრობლემები, მაგალითები და ამოცანები) ადაპტირება საკუთარ პრაქტიკაში.

თავი 1

ინტერკულტურული განათლების პარადიგმა: კონტაქსტი და თეორიები

სამყაროში, რომელიც სწრაფ ცვლილებებს განიცდის და სადაც კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდატეხები ცხოვრების ტრადიციულ წესის ერთგვარი გამოწვევა ხდება, განათლებამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს სოციალური ერთობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად. იმ პროგრამების საშუალებით, რომლებიც წაახალისებს განსხვავებული კულტურის, რწმენისა და რელიგიის მქონე ადამიანთა შორის დიალოგს, განათლებას ძალა შესწევს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოებების განვითარებაში. ინტერკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გამოწვევაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთ გაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას...“¹

ვფიქრობთ, საჭიროა აიხსნას ჩვენი მიდგომა ტერმინებისადმი: „ინტერკულტურული განათლება“ და „მულტიკულტურული განათლება“. მიუხედავად იმისა, რომ სფეროს მკვლევრების უმრავლესობა (ბენკსი, ბენეტი, გეი, კუშნერი, გორსკი და სხვ.) განათლების საკითხებთან მიმართებაში იყენებს ტერმინს „მულტიკულტურული განათლება“, ხოლო სამეცნიერო ნაშრომთა ნაწილში ამ ტერმინებს სინონიმებადაც შევხვდებით, წინამდებარე გზამკვლევაში ვიყენებთ ტერმინს „ინტერკულტურული განათლება“. ამას თავისი არგუმენტი აქვს:

1) „ინტერკულტურული განათლების იუნესკოს გზამკვლევის“ მიხედვით, ტერმინი „მულტიკულტურული“ აღწერს ადამიანთა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 26.2.

საზოგადოების კულტურულად მრავალფეროვან ბუნებას. ის არა მხოლოდ ეთნიკური ან ეროვნული კულტურის ელემენტებს აღნიშნავს, არამედ მოიცავს ლინგვისტურ, რელიგიურ და სოციოეკონომიკურ მრავალფეროვნებასაც. ინტერკულტურალიზმი დინამიკური კონცეფციაა და აღნიშნავს კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობას. ის განისაზღვრება, როგორც „მრავალფეროვან კულტურებს შორის თანასწორი ურთიერთობები და დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე კულტურული თვითგამოხატვის გაზიარებულ ფორმათა შექმნის შესაძლებლობა“² ინტერკულტურული ურთიერთობები გულისხმობს მულტიკულტურალიზმს და ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეებზე კულტურათაშორისი გაცვლისა და დიალოგის შედეგია.

დემოკრატიის განსამტკიცებლად განათლების სისტემაში მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოების მულტიკულტურული ხასიათი და მიზნად დაისახოს აქტიური მონაწილეობა მშვიდობიანი თანაარსებობისა და სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის პოზიტიური ინტერაქციისთვის პირობების შესაქმნელად. ტრადიციულად ორი მიდგომა არსებობს: მულტიკულტურული განათლება და ინტერკულტურული განათლება. მულტიკულტურული განათლება სხვა კულტურების შესახებ სწავლებას იყენებს ამ კულტურათა აღიარების, ან სულ მცირე, მათადმი ტოლერანტობის ჩამოსაყალიბებლად. ინტერკულტურული განათლება პასიური თანაარსებობის მიზანს სცილდება და მიზნად ისახავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში განვითარებადი და მდგრადი თანაცხოვრების მიღწევას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის გზით.³

2) ტერმინ „ინტერკულტურულ განათლებას“ იყენებს ევროპის საბჭო თავის ვებგვერდზე⁴ და თავისსავე პუბლიკაციებში;

3) საქართველოს სამეცნიერო წრეებში თანამედროვე მრავალფეროვანი გარემოს აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „მულტიკულ-

2. UNESCO Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions (2005), Article

3. UNESCO Guidelines on Intercultural Education, 2006, UNESCO.

4. http://www.coe.int/t/dg4/linguistic/EducInter_en.asp

ტურული“; ხოლო განათლებასთან მიმართებაში – ტერმინს „ინტერკულტურული“.

ამრიგად, ინტერკულტურული განათლება ემსახურება მულტიკულტურული გარემოს საგანმანათლებლო მიზნებს. მკითხველი განათლებასთან მიმართებით გზამკვლევაში ორივე ტერმინს შეხედება: უცხოელ ავტორთა ციტირებისას ან მათი მოსაზრების მოშველიებისას იქნება მულტიკულტურული განათლება, ხოლო ქართველ ავტორთა (მათ შორის, ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად) – ინტერკულტურული განათლება.

ჯეიმს ა. ბენკსისა და ჩერი მაკგი ბენკსის ავტორობით გამოცემულ წიგნში „მულტიკულტურული განათლება. საკითხები და პერსპექტივები“⁵ განმარტებულია მულტიკულტურული განათლების იდეა, რაც ნაშრომის ავტორთა აზრით, მდგომარეობს შემდეგში: ყველა მოსწავლისთვის (სტუდენტისთვის), განურჩევლად მათი გენდერული, ეთნიკური, რასობრივი, კულტურული, ლინგვისტური, სოციალური, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, გარანტირებული უნდა იყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და თანასწორობა სკოლებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ გარანტირებული თანასწორობის ურყევი განცდა.

მულტიკულტურული განათლების, ასევე ამ სფეროს რეფორმის მიზანია სკოლების იმგვარი ტრანსფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს ორივე სქესის მოსწავლეებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა კულტურულ, ენობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, ჰქონდეთ სწავლაში წარმატების თანაბარი შანსი. ამ თვალსაზრისით, მულტიკულტურული განათლების რეფორმის ერთ-ერთ ძირითად იდეად, რომლის განხორციელებაც გადაუდებელი საჭიროებაა, უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარკვეული ნიშნით მოსწავლეთა დომინანტური ჯგუფების არსებობის პრაქტიკის ნიველირება.

მულტიკულტურული განათლება არის უწყვეტი პროცესი, რადგან საკმაოდ იდეალიზებული მიზნებით ის ცდილობს განახორციელოს განათლების თანასწორობა და აღმოფხვრას დისკრიმინა-

5. James A. Banks & Cherry A. McGee Banks, *Multicultural Education: Issues and Perspectives*, 7th Ed., Wiley, 2010

ციის ყოველგვარი გამოვლინება, ამასთან, ეს იდეები და შესაძლებლობები ყოველთვის როდია გაზიარებული მთელი საზოგადოების მიერ.

მულტიკულტურული განათლება, რომელმაც აქტუალობა შეიძინა აშშ-ში 1960-1970-იანი წლების სოციალური პროტესტის დროს და პირობებში, არის საერთაშორისო გამოწვევა, რომელიც დღეისთვის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის დაეხმაროს მოსწავლეებს განივითარონ/გაიღრმავონ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საკუთარ და სხვა მიკროკულტურულ გარემოში, ასევე, მსოფლიო თანამეგობრობაში დაუბრკოლებელი ცხოვრებისა და საქმიანობისთვის.

მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯეიმს ბენკსი თავის ნაშრომში „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“⁶ აღნიშნავს, რომ მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში. მრავალფეროვნებას შემოქმედებითად და ეფექტურად რომ უპასუხოს, განათლების მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი დამოკიდებულება რასობრივი და ეთნიკური განსხვავებულობისადმი და შეიძინოს ისეთი პედაგოგიური ცოდნა და უნარები, რომელიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის, კულტურის, სქესის, სოციალური კლასისა და რელიგიის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.


ავტორისეული განმარტებით მულტიკულტურული განათლება: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი“ მულტიკულტურული განათლების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი ან კულტურული მახასიათებლებისა უნდა ჰქონდეს სკოლაში სწავლის თანასწორი უფლება.

6. James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014

იდენტობა მულტიკულტურულ გარემოში⁷

ინდივიდი ერთდროულად ეკუთვნის სხვადასხვა ჯგუფს (*იხ. სქემა 1*). მისი იდენტობის ჩამოყალიბებას მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განაპირობებს.


ისეთ ძირითად ცვლადებს, როგორიცაა: სქესი, რასა ან ეთნიკური კუთვნილება, რელიგია და სოციალური კლასი, განსაკუთრებული გავლენა აქვს მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. გავლენას ახდენს როგორც რომელიმე მათგანი ცალკე აღებული, ისე, და უფრო ხშირად, რამდენიმე ცვლადი ერთად. სხვა ცვლადებიც – გეოგრაფიული რეგიონი და ასაკი ასევე ზემოქმედებს მოსწავლის ქცევაზე.



სქემა 1. მრავალფეროვანი ჯგუფების წევრობა

მულტიკულტურული განათლება შეისწავლის, როგორ ზემოქმედებს რასა, ეთნიკური წარმომავლობა, კლასი, სქესი, რელიგია, ენა, სქესობრივი ორიენტაცია მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. მე-2 სქემა ასახავს ამ ცვლადების ურთიერთკავშირს და ურთიერთქმედებას მოსწავლის ქცევაზე ზეგავლენისას.

7. ქვეთავი მომზადდა წიგნის James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014, მიხედვით.



სქემა 2. მრავალფეროვნების ცვლადების ურთიერთკვეთა

ბენკსი გვთავაზობს იმ ძირითადი მიზნების ჩამონათვალს, რომელსაც მულტიკულტურული განათლება ემსახურება. კერძოდ, მულტიკულტურული განათლება:

1. ეხმარება ინდივიდებს თვითშეცნობაში სხვა კულტურის პერსპექტივიდან საკუთარი თავის განხილვით;

2. უზრუნველყოფს ინდივიდებს სხვა კულტურული, ეთნიკური და ენობრივი ალტერნატივებით;

3. ინდივიდებს უვითარებს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც საჭიროა საკუთარი (შესაძლოა, უმცირესობის) საზოგადოების კულტურის, უმრავლესობის კულტურისა და სხვა კულტურების ფარგლებში ფუნქციონირებისთვის;

4. ამცირებს ტკივილსა და დისკრიმინაციას, რომელსაც ზოგიერთი ჯგუფი განიცდის საკუთარი რასის, რელიგიის და კულტურის თავისებურებების გამო;

5. ეხმარება გლობალური ტექნოლოგიების სამყაროში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო წიგნიერების უნარების დაუფლებაში.

ზრუნავს რა სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებაზე დემოკრატიული განათლება ეხმარება ინდივიდებს ისეთი

ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, რომელიც საჭიროა სამოქალაქო ჩართულობისთვის უფრო თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია დებატები ინტერკულტურული განათლების შესახებ, რომელიც მის უწყვეტ განვითარებას უწყობს ხელს. ინტერკულტურული განათლება არის განათლება თავისუფლებისთვის, რომელიც არსებითია თანამედროვე პოლარიზებულ სამყაროში და მისი განვითარებისა და მიღწევების შესახებ სიმართლე მეცნიერული ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით უნდა დავიცვათ.


ბენკსი ხაზს უსვამს იმ მცდარ შეხედულებებს, რომელიც შორს არის რეალობისაგან:

- მულტიკულტურული განათლება სხვებისთვისაა, კერძოდ, ამა თუ იმ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის;
- მულტიკულტურული განათლება დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება;
- მულტიკულტურული განათლება დაანაწევრებს ქვეყანას.

განათლების რეფორმაზე საუბრისას აუცილებელია მულტიკულტურული განათლების იმ განზომილებების გათვალისწინება, რომელსაც ბენკსი გვთავაზობს: შინაარსის ინტეგრაცია, ცოდნის აგების პროცესი, ცრურწმენების შემცირება, მიუკერძოებელი პედაგოგიკა და სკოლის კულტურისა და სოციალური სტრუქტურის ამაღლება. *მე-3 სქემა* სწორედ ამ განზომილებებს აჯამებს.


სკოლა და მრავალფეროვანი გარემო

ინტერკულტურული განათლების მიზნების თვალსაწიერიდან სკოლა განიხილება, რთულ სოციალურ სისტემად, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისა და ცვლადებისგან. ამდენად, სკოლის გარდაქმნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მიღწევის მიზნის შესაბამისად, საკმაოდ რთულია, რადგან ის გულისხმობს სკოლის ყველა ძირითადი ფუნქციური კომპონენტის ცვლილებას და არა ცალკე აღებული რომელიმე მათგანის. ეს კი სკოლის, მთელი მისი საგანმანათლებლო სტრუქტურის ძირეულ ცვლილებას ნიშნავს. სკოლის რეფორმირების პროცესში, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, ძირითადი შეცდომა უკავშირდება სწო-



სქემა 3. მულტიკულტურული განათლების განზომილებები

რედ იმას, რომ აქცენტი გადატანილია თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი კომპონენტის ცვლილებაზე და აქედან გამომდინარე, შედეგიც არასახარისხო. ეს ერთი კომპონენტი, როგორც წესი, ფორმალიზებული სასწავლო პროგრამებია. ეს კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლის ფუნქციონირების სხვა კომპონენტების პარალელური რეფორმის გარეშე, მაინც არ შეიძლება სასურველი შედეგი მივიღოთ ინტერკულტურული განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.



სქემა 4. სკოლა, როგორც სოციალური სისტემა

სკოლის საერთო გარემო არის სისტემა, რომელიც შედგება რიგი ძირითადი კონკრეტული ცვლადებისა და ფაქტორებისგან. ეს ცვლადები და ფაქტორებია: სკოლის კულტურა, უხილავი კურიკულუმი,⁸ სკოლის პოლიტიკა, ფორმალიზებული კურიკულუმი და სასწავლო კურსები (იხ. სქემა 4). ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება დაწყებითი სკოლის რეფორმის პროცესში, მაგრამ ცვლილება უნდა შეეხოს თითოეულ მათგანს რათა შეიქმნას ეფექტური მულტიკულტურული სკოლის გარემო.

გარკვეული, თუმცა, არა თვითკმარი, უნივერსალიზებული სახით, ყოველი კულტურა ემიჯნება სხვას, თუნდაც ეპოქისა და შინაარსის მიხედვით. თუმცა, ეს მიჯნები, კულტურის ბუნებიდან გამომდინარე, თავისთავად არასოდეს იქცევა საზღვრებად, გადაულახავ წითელ ხაზებად. კულტურების საზღვრებში მოქცევა, როგორც წესი, მათი „დახარისხების“ საფუძველზე, უნდა განვიხილოთ არატოლერანტული პოლიტიკის შედეგად და არა თავისთავად, ბუნებრივ პროცესად.

მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლაში მოსვლის დროს უკვე აქვთ საკუთარი ინდივიდუალობა და კულტურა. ამ შემთხვევაში, განათლების ერთ-ერთ ამოცანად შეიძლება იქცეს რეფლექსია უკვე არსებულზე. ინტერკულტურული განათლება, განსაკუთრებით უხილავ და ხილულ კულტურებზე ორიენტირებული შეიძლება დაგვეხმაროს პირადი და ჯგუფური რეფლექსიის პროცესში. მასწავლებლები და მოსწავლეები, საკუთარ თავზე დაკვირვებით, თვითჩაღრმავებით უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანი ერთდროულად არა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ კულტურასთან (მონოკულტურა) იდენტიფიცირდება, არამედ მულტიკულტურული ადამიანია. განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებთან დისკუსიით, მათი მსჯელობის მოსმენით და ამ მსჯელობის გაანალიზება-შეფასებით მოსწავლეები და მასწავლებლები აღმოაჩენენ ბევრ საერთო და განსხვავებულ პლასტებს ერთმანეთის კულტურული კონტექსტებიდან.

8. უხილავი კურიკულუმი – სკოლის სტრუქტურა, კლიმატი, კულტურა, მასწავლებლის გამიზნული და დაუგეგმავი ქცევა, ყოველდღიური ურთიერთობა და ა.შ.

თუ სკოლა არის უსაფრთხო ადგილი ახალი შეხედულებებისა და კულტურების გასააზრებლად, თუ კულტურული მრავალფეროვნება განიხილება, როგორც გარკვეული მიჯნა და არა გადაულახავი საზღვარი, მაშინ მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს შეუძლიათ შექმნან უსაფრთხო „მესამე სივრცე“, რომელშიც შეისწავლიან ურთიერთკავშირს ძველ – მათთვის უკვე ნაცნობ და ახალ კულტურებს შორის.

საბოლოო ჯამში, რთულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ადამიანის პიროვნული ზრდა, მომწიფება, უკავშირდება და მოიცავს განსხვავებულ შეხედულებათა და კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას და ამ მრავალფეროვნების არსებობის, როგორც გარდაუვალი მოცემულობის მიმდებლობას. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც გარკვეული კულტურები და შეხედულებები კონფლიქტშია ფართო საზოგადოებასთან და როდესაც ინდივიდი არის დომინანტი ჯგუფის წევრი.

მრავალფეროვან შეხედულებებთან და წარმოდგენებთან კომპრომისული დამოკიდებულების დამკვიდრება არის კიდევ ერთ-ერთი უმთავრესი საგანმანათლებლო ამოცანა მთელი საზოგადოებისთვის, ადამიანისთვის და, რა თქმა უნდა, უშუალოდ სკოლისთვის. სწორედ ასეთი მიდგომა ხდება ადამიანის განვითარების საშუალება მულტიკულტურულ საზოგადოებასა და მულტიკულტურულ მსოფლიოში.

როდესაც სკოლის კურიკულუმისა და სასკოლო განათლების (სწავლა-სწავლების) შინაარსი სრულ შესატყვისობაშია ინტერკულტურული განათლების პრინციპებთან და ამოცანებთან, მაშინ მოსწავლეების მხრიდან განსხვავებული შეხედულებების შეთვისება, გაზიარება ან მიღება ხდება ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ შემთხვევაში, განსხვავებული შეხედულებებისა და წარმოდგენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შენარჩუნება აღარ ვლინდება მიუღებელი და სხვისთვის შეურაცხმყოფელი ფორმით. სწორედ ეს არის ინტერკულტურული განათლების კეთილშობილური მიზანი, რომლის მიღწევა საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებელი. ამ საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნის მნიშვნელობა სულ უფრო ცხადი ხდება, რამდენადაც იზრდება ჩვენი უნარი და შესაძლებლობა ვიფიქროთ უფრო ღრმად და

ფართოდ კულტურაზე, მის ნიუანსებზე და მრავალფეროვნებაზე სკოლასა და საზოგადოებაში.

ინტერკულტურული განათლების პერსპექტივიდან საქართველოს ისტორიის სწავლება ეთნიკური ჯგუფების გამოცდილებისა და პერსპექტივის გათვალისწინებლად, საქართველოს ისტორიის დამახინჯებულად სწავლებას ნიშნავს. საქართველოში მცხოვრები კულტურული ჯგუფების ისტორია, ლიტერატურა და კულტურა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ასპექტების გათვალისწინებით მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ სამოქალაქო თანასწორობისა და ტოლერანტობის გრძნობა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობების ასაღებად.

სახელმწიფოს ფარგლებში და სახელმწიფოთა შორის მიგრაცია ასწლეულებს ითვლის, თუმცა, არასოდეს ყოფილა ისეთი ხშირი და სწრაფი, როგორიც თანამედროვე სამყაროშია. ამ მოძრაობას სამართლებრივ საფუძველს უქმნის ისეთი საერთაშორისო აქტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ევროკავშირის მიერ შემუშავებული ცალკეული კონვენციები.

მრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატებია, 1965 წელს „იმიგრაციის რეფორმის აქტის“ შემოღებით ეთნიკური სტრუქტურა არსებითად გამრავალფეროვნდა. ჰარვარდის პროფესორის დაიანა ეკის აზრს იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მიუხედავად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ გავრცელებული ისლამოფობიისა, ყველაზე სწრაფად ისლამის მიმდევართა რიცხვი მატულობს.

საერთაშორისო მიგრაციის ზრდა, სტრუქტურული უთანასწორობის აღიარება დემოკრატიულ სახელმწიფოებში და ადამიანის საერთაშორისო უფლებათა კანონიერება დღის წესრიგში აყენებს მოქალაქეობასთან და სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებულ რთულ საკითხებს. ის კონცეფციები, პარადიგმები და პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო დასავლეთის აღმავლობასა და ტრიუმფს XVI-XX საუკუნეებში, არაეფექტურია XXI საუკუნისთვის.

მულტიკულტურული საზოგადოება პრობლემის წინაშეა: შექმნას სახელმწიფო, რომელიც ასახავს და გააერთიანებს მოქალაქეთა მრავალფეროვნებას და იმავდროულად ექნება საერთო და ყოვლისმომცველი ღირებულებები, იდეალები და მიზნები, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა მოქალაქისთვის.

იცვლება მოქალაქეობის განმარტება მულტიკულტურულ საზოგადოებაში: დემოკრატიული მრავალფეროვანი ქვეყნის მოქალაქე ისეთი ყოვლისმომცველი იდეალების მომხრეა, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა და პასუხისმგებელია ამ იდეალების შენარჩუნებასა და დაცვაზე, თანახმაა და მზად არის იმოქმედოს მათი შებღაღვის შემთხვევაში. ამრიგად, დემოკრატიულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმაროს მოსწავლეებს შეიძინონ ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომელიც საჭიროა გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და აქტიური მოქმედებისათვის, რათა საკუთარი ქვეყანა კიდევ უფრო დემოკრატიული და სამართლიანი გახადონ.

დემოკრატიული მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობითა და აღიარებით. მოქალაქედ ჩამოყალიბება პროცესია და მასში განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოსწავლეებმა მოქალაქეობის პრაქტიკა სკოლაშივე უნდა გაიარონ.

სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ცვლილება აუცილებელია მსოფლიო მასშტაბით ქვეყნებში და მრავალფეროვნების ზრდისა და რასობრივი, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფების მოთხოვნის გამო კულტურული აღიარებისა და უფლებების შესახებ.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მოქალაქეობა და სამოქალაქო აღზრდა განსხვავებულად აღიქმება და ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებში და განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში. სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ იდენტობებს შორის ერთგვარი ფაქიზი წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს.

ინტერკულტურული განათლება რთული და მრავალშრიანი ფენომენია და არასწორია მისი გამარტივების ნებისმიერი მცდელობა.

მულტიკულტურული სკოლის რვა თავისებურება ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. სკოლის პერსონალის დამოკიდებულებები, აღქმა, შეხედულებები და ქმედებები;
2. ფორმალიზებული კურიკულუმი და კურსი;
3. სწავლა/სწავლების მორგება მოსწავლეთა კულტურულ თავისებურებებზე;
4. სკოლის ენა და დიალექტები;
5. სასწავლო მასალები;
6. შეფასებისა და ტესტირების პროცედურები;
7. სკოლის კულტურა და უხილავი კურიკულუმი;
8. კონსულტირების პროგრამა.

ინტერკულტურული განათლების სფეროს მუშაკები ვარაუდობენ, რომ თუ ზემოთ აღწერილი რვა ცვლადი სკოლის გარემოში წარმატებით იქნება სტრუქტურირებული, ხოლო ინტერკულტურული განათლების განზომილებები დანერგილი, სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები შეძლებენ მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევას, შესაბამისად ჯგუფთაშორისი დამოკიდებულებები, შეხედულებები და ქცევა უფრო დემოკრატიული გახდება.

ინტერკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სამყაროს ბუნებისა და განვითარების შესახებ აზროვნების გარდაქმნაში და იმ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში, რომელიც მსოფლიოს უფრო დემოკრატიულსა და სამართლიანს გახდის.

თავი 2

ინტერკულტურული განათლების პრინციპები და მიდგომები

გთავაზობთ ინტერკულტურული განათლების ზოგად პრინციპებს, რომელიც იუნესკოს მიერ არის ჩამოყალიბებული⁹.

I პრინციპი. ინტერკულტურული განათლება პატივს სცემს მოსწავლის კულტურულ იდენტობას ყოველი მათგანისთვის კულტურის თვალსაზრისით შესატყვისი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით.

ეს პრინციპი შეიძლება მიღწეულ იქნას:

ა) ისეთი კურიკულუმისა და სასწავლო მასალების გამოყენებით, რომელიც:

- ეფუძნება მოსწავლეთა ცოდნისა და გამოცდილების მრავალმხრივ სისტემას;
- აერთიანებს მათ ისტორიას, ცოდნას და ტექნოლოგიებს, ღირებულებათა სისტემებს და შემდგომ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მისწრაფებებს;
- აზიარებს მოსწავლეებს მათივე კულტურული მემკვიდრეობის ცოდნასა და დაფასებას;
- მიზნად ისახავს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის, ენისა და ღირებულებების პატივისცემის განვითარებას;
- იყენებს ადგილობრივ რესურსებს.

ბ) სწავლების ისეთი მეთოდების შემუშავებით, რომელიც:

- კულტურის თვალსაზრისით შესატყვისია, მაგალითად, ტრადიციული პედაგოგიკის ინტეგრირებითა და მედიის ტრადიციული ფორმების გამოყენებით, როგორიცაა მოთხრობების წერა, დრამა, პოეზია და სიმღერა;
- ეფუძნება სწავლის პრაქტიკულ, მონაწილეობით და კონტექსტურ მეთოდებს, რომლებიც მოიცავს: კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით აქტივობებს;

9. UNESCO Guidelines on Intercultural Education, UNESCO 2006, <http://unesdoc.unesco.org/images/0014/001478/147878e.pdf>, მოპოვებულია 2015 წლის 5 მარტს.

ექსკურსიებს ისტორიული ძეგლების მონახულების მიზნით; და პროდუქტიულ აქტივობებს, რომელიც უკავშირდება საზოგადოების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ მოთხოვნილებებს.

გ) კულტურის თვალსაზრისით შესატყვისი შეფასების მეთოდების შემუშავებით.

დ) სწავლების ენის შერჩევით, რომელიც, შესაძლებლობისამებრ, მოიცავს მოსწავლეთა მშობლიურ ენას.

ე) მასწავლებელთა შესაბამისი ტრენინგით, რომელიც გამიზნულია:

- გააცნოს მასწავლებელს მისი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა;
- გააცნოს მასწავლებელს სწავლების პრაქტიკული, ინტერაქტიული და კონტექსტური მეთოდები;
- აამაღლოს ცნობიერება უმცირესობათა ჯგუფების საგანმანათლებლო და კულტურული საჭიროებების შესახებ;
- განუვითაროს სასწავლო შინაარსის, მეთოდებისა და მასალების ადაპტირების უნარი უმრავლესობის კულტურისაგან განსხვავებული უმცირესობათა ჯგუფების კულტურის მოთხოვნების შესაბამისად;
- დაარწმუნოს, გამოიყენოს მრავალფეროვნება, როგორც საკლასო ოთახში მოსწავლეთათვის სარგებლის მომტანი ინსტრუმენტი.

ისეთი **სასწავლო გარემოს** ხელშეწყობა, რომელიც პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას, მაგალითად კვების რაციონის გათვალისწინებით; ჩაცმის სტილის პატივისცემით და ადგილების გამოყოფით რელიგიური რიტუალებისთვის.

სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა და მოსწავლეთა და/ან მათი საზოგადოების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში შემდეგი გზებით:

- სკოლის როგორც სოციალური და კულტურული აქტივობების ცენტრის გამოყენება, როგორც საგანმანათლებლო, ისე საზოგადოებრივი მიზნებით;
- ტრადიციული რეწვის წარმომადგენელთა მონაწილეობა სასწავლო პროცესში;

- მოსწავლის, როგორც კულტურის განვითარების ხელშემწყობის, როლის აღიარება;
- სასწავლო შინაარსისა და მეთოდების დეცენტრალიზებული შემუშავება რეგიონების კულტურული და ინსტიტუციური განსხვავებების გათვალისწინებით;
- სკოლის მართვაში, მეთვალყურეობასა და კონტროლში, გადაწყვეტილებათა მიღებაში, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და რეალიზებაში და კურიკულუმისა და სასწავლო მასალების შემუშავებაში სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის მქონე მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა (მათ შორის, ხელი-სუფლების წევრთა) მონაწილეობა.

II პრინციპი. ინტერკულტურული განათლება თითოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფს კულტურის შესახებ იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებით, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

ეს პრინციპი შეიძლება მიღწეულ იქნას:

განათლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით; შესაბამისად:

- მოსახლეობის ყველა კულტურული ჯგუფისთვის განათლების ყველა ფორმისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- განათლების სისტემაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის გამორიცხვით;
- საშუალო განათლების და საშუალო განათლების შემდგომი სწავლებისა და ასევე პროფესიული სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც გაამარტივებენ სპეციალური კულტურული ინტეგრაციის საჭიროებების მქონე ჯგუფების (როგორიცაა მიგრანტი მუშების ბავშვები) ინტეგრაციას საგანმანათლებლო სისტემაში;
- სწავლის პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით;
- არადისკრიმინაციული, უსაფრთხო და მშვიდობიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით;

- საპეციალური ღონისძიებებით ისეთი შემთხვევებისთვის, როცა ისტორიული გამოცდილება ზღუდავს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესაძლებლობას თანაბრად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კურიკულუმისა და სასწავლო მასალების გამოყენებით, რომელიც:

- აწვდის უმრავლესობათა ჯგუფებს ცოდნას არსებული უმცირესობების ისტორიის, ტრადიციების, ენისა და კულტურის შესახებ;
- აწვდის უმცირესობებს ცოდნას საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის შესახებ;
- მიზნად ისახავს ქვეყნის ფარგლებში კულტურულად განსხვავებული ჯგუფების შესახებ ცრურწმენების დამარცხებას;
- რთავს სასწავლო პროცესში სხვადასხვა კულტურულ სისტემას განსხვავებული კულტურული პერსპექტივიდან ცოდნის პრეზენტაციით;
- ქმნის გარემოს კითხვის, წერის და ზეპირი სიტყვის მრავალფეროვანი აღქმისთვის, რაც მოქალაქეს ინფორმაციაზე წვდომის, საცხოვრებელ გარემოში არსებული სიტუაციის გააზრების, საკუთარი მოთხოვნილებების გამოხატვის და სოციალური გარემოს აქტივობებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

სწავლების შესაფერისი მეთოდებით, რომლებიც:

- ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში;
- აერთიანებენ ფორმალურ და არაფორმალურ, ტრადიციულ და თანამედროვე სწავლების მეთოდებს;
- ხელს უწყობს აქტიურ სასწავლო გარემოს, მაგალითად, კონკრეტული პროექტების განხორციელებით, რათა დაიძლიოს მხოლოდ წიგნისმიერი ცოდნა, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს თავდაჯერებულობის განცდა და შეიძინონ ისეთი კულტურული უნარები, როგორიცაა სხვებთან კომუნიკაციის და კოოპერაციის უნარი.

სწავლების შედეგების, მათ შორის ცოდნის, უნარების, დამოკიდებულების და ღირებულებების მკაფიო განსაზღვრა და ზუსტი შეფასება.

ენის შესაფერისი სწავლება: თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეიძინოს მშობლიურ, ქვეყნის ოფიციალურ ან ეროვნულ ენაზე და ერთ ან მეტ უცხო ენაზე კომუნიკაციის, თვითგამოხატვის, მოსმენისა და დიალოგში ჩართვის უნარი.

შესაფერისი საწყისი განათლება და მუდმივი პროფესიული სწავლება, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლებს:

- განათლებაში ინტერკულტურული პარადიგმის და სასკოლო ოთახში, სკოლასა და საზოგადოებაში ყოველდღიური პრაქტიკის ტრანსფორმაციის მიზნით მისი ზეგავლენის მასშტაბების ცოდნით;
- იმ მნიშვნელობის გააზრებით, რომელიც განათლებამ უნდა შეასრულოს რასიზმთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლაში;
- განათლებასა და სწავლებაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით;
- ისეთი სასკოლო კურიკულუმის შექმნის, განხორციელებისა და შეფასების კომპეტენციით, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა და იმ თემის მისწრაფებებსა და საჭიროებებს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან;
- არადომინანტური კულტურის მოსწავლეთა სწავლის პროცესში ჩართვის უნარით;
- მოსწავლეთა ჰეტეროგენურობის გათვალისწინების უნარით;
- დაკვირვების, მოსმენის და ინტერკულტურული კომუნიკაციის მეთოდებითა და ხერხებით; საჭიროებისამებრ ერთზე მეტი სამუშაო ენისა და გარკვეული ანთროპოლოგიური ანალიზის უნარით;
- შეფასების შესაფერისი პროცედურების და მეთოდების მუდმივი შეფასების, გააზრებისა და გადახედვისადმი მზადყოფნით.

III პრინციპი. ინტერკულტურული განათლება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს კულტურის შესახებ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებით, რაც მათ საშუალებას აძლევს ინდივიდებს, ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებსა და ერებს შორის პატივისცემის, ურთიერთგაგებასა და სოლიდარობაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

ეს პრინციპი შეიძლება მიღწეული იქნას:

ისეთი კურიკულუმების მეშვეობით, რომელიც ხელს უწყობს:

- კულტურული მრავალფეროვნების აღმოჩენას, მისი დადებითი მნიშვნელობის გააზრებას და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემას;
- რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის გააზრებას;
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნას სხვადასხვა (ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ენები, ხელოვნება და სხვა) საგნების სწავლებით;
- ყველა ადამიანის, მათი კულტურის, ცივილიზაციის, ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის, მათ შორის, ქვეყნისშიდა ეთნიკური კულტურებისა და სხვა ერების კულტურების გააზრებასა და პატივისცემას;
- ადამიანებსა და ერებს შორის მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერებას;
- არა მარტო უფლებების, არამედ ინდივიდებზე, სოციალურ ჯგუფებსა და ერებზე ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების გაცნობიერებას;
- საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის აუცილებლობის გაგებას;
- საკუთარი კულტურული ღირებულებების გაცნობიერებას, რომელიც საფუძვლად უდევს არა მხოლოდ სხვადასხვა სიტუაციისა და პრობლემის ინტერპრეტირებას, არამედ სხვადასხვა კულტურული პერსპექტივის ცოდნით გამდიდრებული ინფორმაციის გააზრებისა და გადახედვის უნარს;
- აზროვნების სხვადასხვა მოდელის პატივისცემას.

სწავლებისა და სწავლის ადექვატური მეთოდები, რომლებიც:

- სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მემკვიდრეობას, გამოცდილებასა და წვლილს შესაბამისი ღირსებით, გულწრფელობითა და მნიშვნელობით წარმოაჩენს;
- უზრუნველყოფს ეგალიტარულ (თანასწორობაზე დაფუძნებულ) კონტექსტს სწავლებისთვის;
- შეესაბამება ნასწავლ ღირებულებებს;
- უზრუნველყოფს ინტერდისციპლინურ პროექტებს.
- კულტურული ბარიერების მიღმა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის და სხვებთან გაზიარებისა და ურთიერთქმედების უნარების შეძენა:

- სხვადასხვა ქვეყნისა ან კულტურული გარემოს მოსწავლეთა, სტუდენტთა, მასწავლებელთა და განათლების სფეროს სხვა მუშაკთა შორის უშუალო კონტაქტითა და რეგულარული გაცვლით;
- საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით სხვადასხვა ქვეყნის უწყებებისა და დაწესებულებების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელებით;
- ერთი და იმავე მიზნების მისაღწევად მომუშავე მოსწავლეთა, სტუდენტთა და მკვლევართა საერთაშორისო კავშირების შექმნით;
- კონფლიქტების მოგვარებისა და მედიაციის უნარების შეძენით.

უცხო ენების სწავლება და სწავლა და ენების სწავლებაში კულტურული კომპონენტის გაძლიერება.

მასწავლებელთა შესაბამისი საწყისი განათლება და მუდმივი პროფესიული განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს:

- კულტურული მრავალფეროვნების დადებითი ღირებულებისა და პიროვნების განსხვავებულობის უფლების გაცნობიერებას;
- იმ როლის გააზრებას, რომელსაც ადგილობრივი თემები და ცოდნის სისტემები, ენები და სოციალური გამოცდილება თამაშობს სწავლის პროცესში და ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ საზოგადოებაში პიროვნების ჩამოყალიბებაში;
- ცივილიზაციისა და ანთროპოლოგიის ცოდნას, რათა გაადვილდეს კულტურათა მრავალფეროვანი, დინამიკური, ფარდობითი და ურთიერთშემავსებელი ბუნების შესახებ მოსაზრების უკეთ გაგება და დაცვა;
- სოციალური და პოლიტიკური კომპეტენციების განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს სასკოლო მენეჯმენტში და სასკოლო პროექტებისა და პროგრამების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში აქტიური სოციალური მონაწილეობის მუდმივ წახალისებას;
- ეფექტური ინტერკულტურული სწავლების მიზნით მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების სტუმრობით მაქსიმალური შედეგის მიღების უნარის გამომუშავებას;
- სხვების შესწავლითა და გაგებით მოსწავლის დაინტერესების ცოდნისა და უნარის განვითარებას;
- დაკვირვების, გულისყურით მოსმენისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის ხერხების ათვისებას.

თავი 3

ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის აქტუალობა საქართველოსთვის

საბჭოთა მემკვიდრეობამ სერიოზულ პრობლემად აქცია საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება და სამოქალაქო ინტეგრაცია. ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას აბრკოლებს ერთმანეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ტრადიციებისადმი სტერეოტიპები. ყოველივე ეს განაპირობებს საქართველოს მრავალფეროვან მოსახლეობაში სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთგაუცხოებას, ჩაკეტილობას.

აღსანიშნავია პრობლემის აქტუალობის კიდევ ერთი, ქართული რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, ღია, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობს. ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების ადგილისა და როლის განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამოქალაქო ინტეგრაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორს საქართველოს კულტურული მახასიათებლების ცოდნის, პატივისცემისა და კომუნიკაციის დეფიციტი წარმოადგენს.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის¹⁰ მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 86.8%-ს ქართველები შეადგენენ; შემდეგ მოდიან აზერბაიჯანელები (6.3%); სომხები (4.5%); რუსები (0.7%); ოსები (0.4%) და სხვ. მოსახლეობის 83.4%-ს მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ. მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10.7%; სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2.9%; კათოლიკეები – 0.5%.

ამავე დროს, იცვლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რუკა. გლობალიზაციის შედეგად, ჩვენთვის ე.წ. „ტრადიციულ უმცირესობებთან“ ერთად (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვ.), რომლებთან ურთიერთობის გარკვეული ემპირიული გამოცდილება არსებობდა, გაჩნდა ახალი ეთნო-კულ-

10. <http://census.ge/ge/results/census>

ტურული უმცირესობები, ასევე გაიზარდა საქართველოს მოქალაქეთა გარემოების გეოგრაფიული სივრცე. ახალმა რეალობამ კიდევ უფრო მძაფრად დააყენა ინტერკულტურული განათლებისა და კომპეტენციების საკითხი.

საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაციული ნაშრომები ე.წ. „საბჭოთა ინტერნაციონალიზმის“ შესახებ. თავისთავად, ეს ფენომენი („საბჭოთა ინტერნაციონალიზმი“) ინტერკულტურალიზმის დამახინჯებულ გაგებად იქცა, რომლის პოლიტიკურ მიზანდასახულობას იდენტობების ნიველირებით, ასიმილაციის პროცესის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

3.1. ინტერკულტურალიზმი საქართველოს კანონმდებლობასა და განათლების სისტემაში

1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია¹¹. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია ადამიანის თავისუფლები-სა და თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპები. თავისუფლება და თანასწორობა არ შეიძლება შეიზღუდოს რაიმე განმასხვავებელი ნიშნით: რასით, კანის ფერით, ენით, სქესით, რელიგიით, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებით, წარმოშობით, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობით, საცხოვრებელი ადგილით და სხვა.

საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას, საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში (მუხლი 26).

კონსტიტუციის 38-ე მუხლი ასევე იცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, თანასწორობის პრინციპის დაცვით მიიღონ მონაწილეობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმი-

11. <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

ნაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედანით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივ მოქმედებად არის განსაზღვრული ადამიანის თანასწორობის დარღვევა, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის დისკრიმინაცია; ქმედება, რომელიც ხელს უშლის სხვა ადამიანს, კანონის საფუძველზე გამოხატოს საკუთარი რელიგიური მრწამსი და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა“ დასჯად ქმედებად აფასებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო. თანასწორობის დარღვევის ეს შემთხვევები საქართველოს კანონმდებლობით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. სასჯელი მიმდებარე ალნიშნული კანონდარღვევის განმეორების შემთხვევაში.

სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს რასობრივი დისკრიმინაციის ფორმებსა და შინაარსს და სასჯელის ზომად იღებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამ კანონის 1412-ე მუხლით: რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

კანონით ასევე დასჯად ქმედებად ცხადდება რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა: „ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის

12. http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf

უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“ (მუხლი 155). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით იკრძალება „დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა“ (მუხლი 1443). ასეთ მოპყრობად მიჩნეულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო.

სისხლის სამართლის კოდექსში ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად არის მიჩნეული გენოციდი (მუხლი 407). გენოციდად კვალიფიცირდება ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ“ (მუხლი 408), რომელიც გულისხმობს ქმედებას, ჩადენილს სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს

აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას. ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულში მონაწილეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვალო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“¹³ (კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 2014 წელს). კანონი კრძალავს დისკრიმინაციას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობას სახალხო დამცველი ახორციელებს.

პირველ მუხლში დაკონკრეტებულია კანონის მიზანი – აღმოიფხვრას დისკრიმინაციის ყველა ფორმა და გარანტირებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მე-2 მუხლი ეხება დისკრიმინაციის ცნების განმარტებას და დისკრიმინაციის უშუალო გამოვლინებების აკრძალვას. კანონში დაკონკრეტებულია, რომ აკრძალულია ნებისმიერი სახის, პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დაცვად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივ-

13. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1661.pdf>

რული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით; ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

კანონში გაწერილია დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხა (მუხლი 4). დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება ნებისმიერ დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;

ბ) მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე;

გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

კანონის მე-6 მუხლი დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულებას აკისრებს საქართველოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველის უფლებამოსილებაა: განიხილოს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადება და საჩივარი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; შეისწავ-

ლოს დისკრიმინაციის ფაქტი როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცეს შესაბამისი რეკომენდაცია; მოამზადოს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს გაუგზავნოს ზოგადი წინადადებები დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; მოიწვიოს დისკრიმინაციის მსხვერპლი და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმხორციელებელი პირი და შეეცადოს საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს; ამასთან, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს და სხვა.

საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“¹⁴ აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამონათქვამის თავისუფლება, რაც გულისხმობს:

- ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- ბ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- გ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;
- დ) სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- ე) ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;

14. <http://idf.ge/ge/freedom-of-expression>

ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;

კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი (მუხლი 3).

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“¹⁵ ემსახურება ადამიანის კულტურული მოღვაწეობის უფლების უზრუნველყოფას (მუხლი 6). საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება. კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

ამავე კანონის მე-9 მუხლით – „შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“ – დაუსვებელად ცხადდება შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა, შემოქმედებით ნაწარმოებზე ყადაღის დადება და მისი გავრცელების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ლახავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ შუღლს, ქადაგებს ომსა და ძალადობას, პროპაგანდას უწევს პორნოგრაფიას.

კანონი „კულტურის შესახებ“ ასევე იცავს ადამიანის კულტურული თვითმყოფადობის უფლების ხელშეუხებლობას. მე-10 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და მხატვრულ-ესთეტიკური ორიენტაციის თავისუფლად არჩევის უფლება.

„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“¹⁶ (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წელს). შემწყნარებლობისა და კონცეფციის ძირითადი მიზა-

15. <http://meca.gov.ge/itst/index.php?module=Content-House&action=view&id=1628&lang=geo>

16. <http://www.smr.gov.ge/docs/doc173.pdf>

ნია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. დოკუმენტის პროექტი მომზადდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭოს მიერ. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიზნებია (II თავი):

ა) ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შორის;

ბ) საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობით სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობისათვის;

გ) აუცილებელი პირობების შექმნა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში იმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობისათვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან;

დ) ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების ყველა საფეხურის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სფეროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა;

ე) აუცილებელი პირობების შექმნა ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მათი თვითმ-

ყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პრინციპებია (III თავი):

ა) საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ტოლერანტობის ტრადიციის განმტკიცება;

ბ) ბალანსის შენარჩუნება სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეროვნული უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის, სამოქალაქო ინტეგრაციის ნებაყოფლობითობა და იძულებითი ასიმილაციის დაუშვებლობა;

გ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა თავისუფალი არჩევანის უფლება – მოექცნენ თუ არა მათ, როგორც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს;

დ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად განახორციელონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციისა და ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციიდან;

ე) ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მათი იდენტობის დაცვასა და განვითარებას;

ვ) შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში, განსაზღვრული მიმართულებების რეალიზების შესაბამისად, დაკონკრეტებულია დაგეგმილი ღონისძიებებითა და ნუსხა და ის მოსალოდნელი შედეგები, რაც მათი განხორციელებით მიიღწევა (თავი IV).

1. კანონის უზენაესობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან;

ბ) ეროვნული უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

გ) დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა;

დ) საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

2. განათლება და სახელმწიფო ენა. სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საწყის ეტაპზე აუცილებელია ეროვნული უმცირესობების მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, დაეუფლონ ქართულ ენას, და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა;

გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

დ) სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;

ე) განათლების სფეროში საჯარო დისკუსიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ეს მიმართულება გულისხმობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ისეთი სატელევიზიო გადაცემების მომზადებას და ტრანსლირებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული ეროვნული უმცირესობების ინფორმირებას. ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, რომლის ეთერშიც 2005 წლიდან გადის საინფორმაციო პროგრამები ეროვნული უმცირესობების ენებზე. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბი-

უჯგუშის არანაკლებ 25% უნდა მოხმარდეს უმცირესობების ენებზე მომზადებული პროგრამების გადაცემას.

სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონისა და ქართული სამაუწყებლო მედიის, ძირითადად, ქართულენოვანი მაუწყებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სპეციალური ღონისძიებების გატარება ეროვნული უმცირესობების ჯეროვანი ინფორმირების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ) ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა;

ე) მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა.

4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა. ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, ბოლო წლებში ტარდება საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა მეტწილად დამოკიდებული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ მათ წახალისებაზე საჯარო სამსახურში მუშაობის დასაწყებად. აღნიშნული მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა;

ბ) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება;

გ) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია.

5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაციის ხელშეწყობა ფაქტორად უნდა იქცეს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ

რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტები. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;

ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;

გ) ეროვნული უმცირესობების სოციალური და რეგიონული მოხილვის ხელშეწყობა.

6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფო გეგმავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

ა) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ბ) ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;

გ) ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

დ) ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;

ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებზე მათი წარმოჩენა.

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.¹⁷ ანტიდისკრიმინაციული და ტოლერანტული გარემოს ფორმირების პერსპექტივის თვალსაზრით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების მიზნებს. წარმოდგენილი მიზნებიდან გამოვყოფთ შემდეგს:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდე-

17. http://www.tpdg.ge/uploads/umaglesi_ganaTlebis_Sesaxe.pdf

ალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

ჩამოთვლილი მიზნები საკმარის საფუძველს ქმნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო და კვლევითი პროცესის იმ მხრივ დაგეგმვა-წარმართვისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და პოზიტიური საურთიერთობო გარემოს შექმნას.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების მიზნების მიღწევის პროცესში კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც გარანტირებულს გახდის უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შენედეულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2004 წელს).¹⁸ დოკუმენტის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.“ ამ მიზნის მიღწევა კი უკავშირდება განათლების სისტემის ისეთი შინაარსით ორგა-

18. http://www.mes.gov.ge/old/index.php?module=text&link_id=196

ნიზებას, რომელიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და დაეხმარება მათ, გააცნობიერონ საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოიცავს რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ მიმართულებას. რაც შეეხება უშუალოდ ინტერკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების/აქტივობების გამომხატველ პუნქტებს, მათში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ასევე განსაზღვრულია კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა. ამ მიზნის რაელიზაციის აუცილებლობის დასაბუთებაში ვკითხულობთ: „დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.¹⁹ კანონის მე-3 მუხლში განმარტებულია ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები. მათგან ჩვენ შევარჩიეთ ისინი,

19. <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxe.pdf>

რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა ეთნიკური და კულტურული იდენტობების დაცვას და, ამავე დროს, განაპირობებს მოსწავლეებში ტოლერანტული, სამოქალაქო და სხვა ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ეს მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

კანონი ასევე განმარტავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ზოგადი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს:

ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;

თ) ინკლუზიური განათლების დანერგვას და ა.შ.

„საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ“ სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული და აფხაზური. ამავე დროს, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის,

ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენის (ქართულის და აფხაზურის) სწავლება.

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხოურ ენაზე სწავლების განხორციელებასაც. ამ შემთხვევაშიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოდ რჩება სახელმწიფო ენის, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენის სწავლება (მუხლი 4).

კანონის მეორე თავი ეხება მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-13 მუხლით – „ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა“ – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იკრძალება სასწავლო პროცესის პოლიტიზება; საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ამასთან, კანონი არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

კანონის ამავე მუხლით, დაუშვებელია სკოლაში განხორციელდეს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა რაიმე სახის დისკრიმინაცია: „დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია“.

საყურადღებოდ მიგვაჩია კანონის ის ნაწილი, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გაცხადებულია: ა) მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლების განუხრელი დაცვა. ეს კი ნიშნავს მათი ფუნდამენტური უფლების – თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით,

შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება – ხელშეუხებლობას (მუხლი 13).

მე-18 მუხლი არეგულირებს „რწმენის თავისუფლების“ საკითხებს. კანონით დაუშვებელია მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს. რელიგიური სიმბოლოების განთავსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება გარკვეულ აკადემიურ მიზნებს. ამასთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

ეროვნული სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია 2011 წ.).²⁰ ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარი ეხება სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებს. კარის პირველი თავის „საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება“ მე-5 მუხლში – „სკოლის საერთო კულტურა“ განმარტებულია სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მისია – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, სწავლა-სწავლების პროცესმა, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, ასევე, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის.

VI თავში განხილული მეთოდური ორიენტირებიდან ინტერკულტურული განათლებისა ხელშემწყობია 31-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული „მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომა“ და „სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა“.

„მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა“ გულისხმობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარებას, რომელსაც აქვს სხვისგან განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, ნიჭი, ემოციები, ინტერესები, პირადი გამოცდილება, აკადემიური საჭიროებები და სწავლის სტილი.

„სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის“ მოთხოვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს მოსწავლეებს მისცეს განვითარების თანაბა-

20. <http://mes.gov.ge/content.php?id=3923>

რი შესაძლებლობები, რაც მიიღწევა სწავლა-სწავლების პროცესში მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

დოკუმენტის VIII თავში საუბარია „ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებზე“. ასეთ კომპეტენციათა შორის გამორჩეული ფუნქცია ენიჭება მოსწავლის შესაბამის სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციას, რაც გულისხმობს აღსაზრდელისთვის სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-3 კარში „საგნობრივი პროგრამები“ ხაზგასმულია სახელმწიფო ენის სწავლების მრავალმხრივი მნიშვნელობა საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი ჯგუფებისათვის. კერძოდ, მითითებულია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები. მათი ნაწილი უშუალო კავშირშია ინტერკულტურული განათლების დონის გაუმჯებესებასთან, შესაბამისი ცოდნის/ცნობიერების ამაღლებასა და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესთან. ეს მიზნებია:

- წარმატებული კომუნიკაცია;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა;
- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალურ-კულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივის-

ცემა; სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა და ა.შ.

ამ მიზნებიდან გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების ამოცანებიც. კერძოდ, მოსწავლემ უნდა:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;
- ჩამოუყალიბდეს პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
- ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის გაცნაობა.

ინტერკულტურული განათლებისა და განსხვავებული კულტურული იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენების სწავლებას. სწორედ ამ საკითხს ეხება ეროვნული სასწავლო გეგმის XXIV თავი – „საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში“. პროგრამაში გაწერილია უცხოური ენების სწავლების პრიორიტეტული მიზნები, რაც ითვალისწინებს მოსწავლისათვის პლურილინგვური კომპეტენციის განვითარებას; სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას; ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას; განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგების უნარის გამომუშავებას; სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან მრავალმხრივი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას და ა.შ.

ჩამოთვლილი საგანმანათლებლო მიზნები ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის საგნობრივი ცოდნის შეძენას (მაგ., გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა...), არამედ უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობას და ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა, ინტერაქცია განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტებში და სხვა. უცხოური ენების შესწავლის პროცესში ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება კულტურული, ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა.

უცხოური ენების საგნობრივი პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა „კულტურათა დიალოგი“. ეს მიმართულება გულისხმობს უცხო ენის/ენების სწავლების პროცესში შემდეგი შედეგების მიღწევას: მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურის რეალიებს; მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების სოციალურ-კულტურულ რეალიებს; მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას კულტურათა თავისებურებების მიმართ.

ჩამოთვლილი შედეგების მიღწევის ინდიკატორები კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის უცხოურ ენათა სწავლების მნიშვნელობაზე განსხვავებული ეთნიკურ-კულტურული იდენტობების მრავალფეროვან მახასიათებელთა გაცნობისა და მათ მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით. მაგალითად, უცხოურ ენათა სწავლებისას „კულტურათა დიალოგის“ კონტექსტში მოსწავლე:

- იცნობს სამიზნე ქვეყნების ტრადიციებს, ადათებს, ზნე-ჩვეულებებს;
- ავლებს პარალელს უცხოურ და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს მსგავსებებს, განსხვავებებს;
- კორექტულად გამოთქვამს საკუთარ აზრს, შეხედულებას, დამოკიდებულებას კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას;
- ინტერესდება თანაკლასელთა, სკოლელთა ენობრივ-კულტურული იდენტობით;
- იღებს ინტერვიუებს განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე თანატოლებისაგან; მათთან თანამშრომლობით ამზადებს პრეზენტაციას განსხვავებულ საოჯახო ტრადიციებზე, დღესასწაულებზე, ზნე-ჩვეულებებზე, აღმსარებლობაზე და სხვა;
- ამოიცნობს ტექსტებში ასახულ სოციალურ-კულტურულ გარემოს და ავლებს პარალელს მშობლიურ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან;
- ავლებს პარალელს უცხოურ და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს და აანალიზებს მსგავსებებს, განსხვავებებს;
- იჩენს ინტერესს ადამიანთა განცდების, დამოკიდებულების მიმართ, ავლებს პარალელებს, პოულობს და აღნიშნავს ანალო-

გიებს, განსხვავებებს საკუთარ და სხვათა სულიერ სამყაროებს შორის;

- განიხილავს ტექტში მოცემულ ინფორმაციას იმ კულტურის კონტექსტში, რომელშიც ის შეიქმნა;
- ამოიცნობს სტერეოტიპულ შეხედულებებს, აანალიზებს და წარმოადგენს მათ წარმომშობ მიზეზებს, მაგალითების მოშველიებით ასაბუთებს მათ უსაფუძვლობას;
- აანალიზებს კულტურულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობით წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციას, ამოიცნობს და ასახელებს მიზეზებს, განსაზღვრავს კონფლიქტის მოგვარების გზებს;
- იკვლევს გარშემომყოფთა ენობრივ-კულტურული იდენტობას, აგროვებს საინტერესო მასალებს მათი წარმომავლობის, ოჯახური ისტორიის, ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკს. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამის (თავი XXXV) მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს მოსწავლის აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარებით, რომელიც მას დაეხმარება, სამყარო აღიქვას ერთ მთლიანობად და მიმდინარე პროცესებში განსაზღვროს საქართველოს ადგილი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკში შემავალი საგნების სწავლებამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი პროგრამის შემდგენლები ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის სწავლების პროცესს უკავშირებენ საქართველოსთვის ისეთი პრობლემური საკითხის გადაჭრის პერსპექტივას, როგორც არის ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანაში ტოლერანტული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, რაც ეფუძნება საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებავალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. „...მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი

ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა, რატომ არის ის ღირებული და ა.შ.“

საგნობრივ პროგრამაში აქცენტი კეთდება მოსწავლეებში ინტერკულტურული განათლებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე, როგორიცაა: სხვისი უფლებების პატივისცემა, თანაგრძნობა, მზრუნველობა, სამშობლოს სიყვარული, თანასწორობა და ტოლერანტობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლება სამივე საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასებში) ყურადღება მახვილდება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მხარეთმცოდნეობითი პრინციპით შესწავლაზე, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს იმ აზრს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება დაწყებით საფეხურზე მიზნად ისახავს მრავალფეროვნებისადმი, როგორც ღირებულებითი საკითხისადმი სწორი მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის იმგვარად დაგეგმვა და წარმართვა, რომ მან „მოსწავლეებს განუვითაროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემა. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების ეთიკური და პასუხისმგებელი ქცევის ჩამოყალიბებას.“

საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასებში) ისტორიის (მსოფლიოს და საქართველოს ისტორია) სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლისათვის ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) წარმოდგენა. განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი სამოქალაქო განათლების მიზნები ინტერკულტურული განათლებისა და დამოკიდებულებების ფორმირების თვალსაზრისით – საგნის სწავ-

ლებისას მოსწავლეს უნდა განუვითარდეს განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემა.

სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს იდენტობის განვითარებაში, თვითგამორკვევაში. მოზარდმა უნდა შესძლოს საკუთარი თავისა თუ სხვების აღქმა სხვადასხვა კონტექსტის წევრებად და მათი პიროვნებებად გაცნობიერება; მან უნდა გაიაზროს თავისუფლება, როგორც უფლება და, ამავე დროს, პასუხისმგებლობა და შეძლოს საზოგადოების, როგორც განსხვავებული ინტერესების, ღირებულებების, მოთხოვნილებების მქონე სუბიექტების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური მთლიანობის გააზრება.

საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში) ისტორიის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. გეოგრაფიის შესწავლით მოსწავლე გაეცნობა მსოფლიოს ქვეყნების ძირითად მახასიათებლებს, მათში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებსა და მოვლენებს; სამოქალაქო განათლება დაეხმარება მოსწავლეს დაეუფლოს ინტერკულტურულ წიგნიერებასა და ურთიერთობებს, განივითაროს თანამშრომლობის კულტურა.

საზოგადოებრივ მეცნიერებების ბლოკში შემავალი საგნების შინაარსისა და დიდაქტიკური ამოცანების მიმართებები ინტერკულტურული განათლების ძირითად საკითხებთან წარმოდგენილია საგნის სწავლის ცალკეული მიმართულებების მიხედვითაც. ჩვენ აქ საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ იმ მიმართულებებზე, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია მოსწავლეთა ინტერკულტურულ განათლებასა და სხვადასხვა იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საკითხებთან. ეს მიმართულებებია:

1. *კულტურა და რელიგია* – მიმართულების მიზანია, მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში.

2. *ადამიანი და საზოგადოება* – მიმართულების მიზანია მოსწავლემ იცოდეს თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.

3. გარემო და სოციალური სისტემები – მიმართულების შედეგები მოსწავლეებს ამყარებინებს კავშირს გარემოსა და საზოგადოებას შორის.

ეროვნული სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია 2016 წ.).²¹ 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის პირველ თავში „ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ზოგადი განათლების საფეხურები“ (მუხლი 7) ზოგადი განათლების მიზნებად განსაზღვრულია მოსწავლეს განუვითარდეს/ჩამოუყალიბდეს: კულტურული მემკვიდრეობის დაფასების და მასზე ზრუნვის უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები; ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი; კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი;

ახალ სასწავლო გეგმაში ცალკე მუხლი (მე-8) ეთმობა განათლების ენებს და ენობრივი განათლებას. აღნიშნულია, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად აუცილებელია არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში შემეცნებითი და ენობრივი უნარების სახელმწიფო ენაზე განვითარება, რაც ორენოვანი ორენოვანი განათლებით. ორენოვანი განათლება საფუძველს უნდა უქმნიდეს ორენოვან წიგნიერებას.

მე-18 მუხლი ეხება სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბების/განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს (სასკოლო პროექტები, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით)), რამაც ხელი უნდა შეუწყოს: ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა – „სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს

21. <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2016-2021>

გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ”.

ამ ეტაპზე ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურს. მათში იკვეთება ინტერკულტურული განათლების ხელშემწყობი რიგი მოთხოვნები.

კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტში (მუხლი 59) მითითებულია, რომ საგნის სწავლება ითვალისწინებს ისეთი კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს უცხო კულტურის გაგების უნარი;
- ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; ენების სწავლის სურვილი და სხვა).

დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლების მიზანად განსაზღვრულია მოსწავლის ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება. ამავე საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან აღსანიშნავია თემის: „სოციოკულტურა და კულტურა“ შინაარსი, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნა: დღესასწაულების და ტრადიციების (ფესტივალები, კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები) და წეს-ჩვეულებების (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები) შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკში (თავი XV) დაწყებით საფეხურზე ისწავლება ახალი საგანი „მე და საზოგადოება“. საგნის სწავლების მიზანია: მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. საგანი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, რომელთა შორის ინტერკულტურული განათლების კონტექსტს ესადაგება „სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფ-

რთხობა:“ აღნიშნული მიმართულება ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა, თანასწორობა) ჩამოყალიბებასა და აქტიური მოქალაქის აღზრდას უწყობს ხელს.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით საყურადღებოა „მე და საზოგადოების“ მესამე კლასისთვის განკუთვნილი რამდენიმე თემა/პრობლემა:

- რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს?
- როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად?
- რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩემს თანატოლებთან ერთად?
- რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მაცხოვრებლებს,
- რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის?

V-VI კლასებში ისწავლება საგანი „ჩვენი საქართველო“. საგნის სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეს: დაეხმაროს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში; გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა; განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ჩვენთვის საყურადღებოა საგნის სწავლების ერთ-ერთი მიმართულება – „სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება“. აღნიშნული მიმართულება წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი თემებითა და აქტივობებით, რაც მოსწავლეს დაეხმარება საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრებასა და მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება-გამოვლენაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის XIV თავში წარმოდგენილია უცხოური ენების სტანდარტები. ზოგად ნაწილში საუბარია უცხოური ენების სწავლების მიზნებზე:

- ენობრივი ცნობიერების გამდიდრება და ამ გზით ენობრივი განათლების დონის ამაღლება;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- დადებითი განწყობილების ჩამოყალიბება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ;
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარ-ჩვევების განვითარება;
- სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან თანამოღვაწეობის უნარის გამომუშავება;

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, უცხოური ენების სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც სამ კატეგორიად იყოფა:

სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა (უცხოენოვანი ქვეყნების სოციოკულტურისა და კულტურის გაცნობა);

სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება (სამოქალაქო უნარ-ჩვევები);

დამოკიდებულებების ჩამოყალიბება (ინდივიდუალური მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა; პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა; ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ).

ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას ემსახურება ესთეტიკური აღზრდის სწავლების მიზნები და ამოცანები (თავი XVIII). ესთეტიკური აღზრდის სწავლების მიზნებს წარმოადგენს მოსწავლისთვის სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება; ეროვნული, სხვა ერისა და ზოგადასაკაცობრიო კულტურის დაფასების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის, ადამიანის შრომის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება. რაც შეეხება ესთეტიკური აღზრდის სწავლების ამოცანებს, ინტერკულტურულ განათლებასთან კავშირში უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოსწავლის ზიარება ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი²² განსაზღვრავს პედაგოგთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, დისციპლინური გადაცდომების სახეებს და შესაბამისად მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ სახდელებს.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამშრომელთა (მასწავლებელთა) ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, სქესის, აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმომავლობის ან პირადი შეხედულების მიხედვით მოსწავლეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა; კოდექსი ადგენს დისციპლინარულ გადაცდომათა ჩამონათვალს. ასეთად ითვლება მოსწავლეთათვის საკუთარი ღირებულებებისა და ფასეულობების თავს მოხვევა (პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, ეთნიკური უმცირესობების, გენდერული შეხედულებების).

სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი²³ განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება დირექტორის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება (თავი I. ზოგადი დებულებები/ მუხლი 1).

II თავის (სკოლის დირექტორის ქცევის წესები) მე-3 მუხლი ეხება სკოლის დირექტორის პროფესიულ კომპეტენტურობას. აქ, დირექტორის ერთ-ერთ კომპეტენციად მიჩნეულია მისი ვალდებულება, გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის მიმართ, განურჩევლად მათი სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური და სხვა კუთვნილებისა.

ამავე მუხლის მიხედვით, სკოლის დირექტორმა უნდა უზრუნველყოს სასკოლო დისციპლინის დაცვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

22. http://bntu.edu.ge/uploads/liceum/masc_etikis_kodeqsi.pdf

23. http://tpdc.ge/images/stories/pdf/direktoris_kodeqsi.pdf

კოდექსის მე-5 მუხლი (მოსწავლეებთან ურთიერთობა) დირექტორის ვალდებულებად განსაზღვრავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში. დირექტორი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლეთა აზრებს, უქმნიდეს მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი²⁴ დამტკიცებულ იქნა 2008 წელს. სტანდარტის ძირითადი ნაწილი, გადამუშავებული სახით, ხელახლა დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2014 წლის მარტში. იგი საერთოა ყველა საგნის პედაგოგისათვის და შედგება სამი ნაწილისგან: პროფესიული მახასიათებლები, სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიული განვითარება. სტანდარტი, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით, ადგენს აუცილებელად შესასრულებელ პირობებს და აღწერს პედაგოგთა პროფესიული ზრდის (განვითარების) სქემას.

პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, სააღმზრდელო აქტივობები, რომ მოსწავლეებს გაუღვივდეთ ინტერესი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებისადმი, განუვითარდეთ ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებულობის მიმართ.

3.2. ინტერკულტურალიზმის საერთაშორისო დღის წესრიგი

ინტერკულტურული კომპეტენციების არსი და მნიშვნელობა წარმოდგენილია ევროპის საბჭოს (Council of Europe, 2007) მიერ გამოცემულ ნაშრომში „საკვანძო კომპეტენციები უწყვეტი განათლებისთვის, ევროპული ჩარჩო“ მასში განსაზღვრულია სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები, რომელიც „მოიცავს პიროვნულ, პიროვნებათაშორის და ინტერკულტურულ კომპეტენციებს და ქცევის ყველა ფორმას, რომელიც ინდივიდს სჭირდება საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ეფექტური და კონსტრუქ-

24. http://www.tpdg.ge/?action=page&p_id=100&lang=geo

ციული მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით, სულ უფრო მზარდი მრავალფეროვნების საზოგადოებაში და საჭიროების შემთხვევაში კონფლიქტების გადაჭრისთვის.²⁵ აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ზემოხსენებულ კომპეტენციასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების აღწერა.

მკვლევართა მოსაზრებით (პ. გორსკი, 2010 წ. ბენკსი, 2014, მ. ბენეტი, 2004 კ. კუშნერი, 2008 და სხვ.) ინტერკულტურული კომპეტენციის საფუძველს სამი კომპონენტის – ინტერკულტურული ცოდნა, ინტერკულტურული უნარ-ჩვევები და ინტერკულტურული დამოკიდებულება – ერთობლიობა ქმნის. ბენეტის მიხედვით „ინტერკულტურული ცოდნა და კომპეტენცია არის „კოგნიტური, ემოციური და ქცევითი უნარებისა და თავისებურებების ნაკრები, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ და სათანადო (შესაბამის) ინტერაქციას მრავალფეროვან კულტურულ კონტექსტებში“ (Bennett, 2004).

კომპონენტთა აღნიშნულ ერთობლიობაზე მიუთითა ასევე ევროპის საბჭოს (2010) მიერ შემუშავებულმა დოკუმენტმა „რეკომენდაციათა ჩარჩო პლურალისტული მიდგომებისთვის“.²⁶ ევროსაბჭოს ზემოხსენებულ დოკუმენტში ცოდნის კომპონენტი შემდეგი შინაარსით არის წარმოდგენილი: ენა და საზოგადოება; კულტურა, ენა და იდენტობა; სიმრავლე, მრავალფეროვნება, მულტილინგუალიზმი და პლურილინგუალიზმი; კულტურათა შორის ურთიერთობები; კულტურათა განვითარება; კულტურათა მრავალფეროვნება; კულტურათა შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები; კულტურა და შეძენა/დასწავლა და სხვ. ეს შინაარსი დეტალურად არის გაშლილი ინდიკატორების მიხედვით.

დოკუმენტში ასევე დეტალურად არის მოცემული ძირითადი უნარების (დაკვირვება და ანალიზი, ამოცნობა და იდენტიფიცირება, შედარება, ენისა და კულტურის შესახებ საუბარი, ერთი ენის ცოდნის მეორესთან მიმართებაში გამოყენება, ურთიერთობა, სწავლა) ინდიკატორები. მკვლევრები (Dorn & Cavalieri-Koch, 2005) ინერკულტურული უნარების მნიშვნელობის განმარტებისას მიუთითებენ, რომ „ინტერკულტურული უნარები გვაძლევს როგორც

25. <https://www.britishcouncil.org/sites/default/files/youth-in-action-keycomp-en.pdf>

26. <http://carap.ecml.at/Keyconcepts/tabid/2681/language/en-US/Default.aspx>

ეფექტური, ასევე სხვებისათვის მისაღები ინტერაქციის საშუალებას ისეთ ჯგუფებში მუშაობისას, რომელთა წევრები სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის არიან²⁷.

ევროსაბჭოს აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ინტერკულტურული დამოკიდებულებები მოიცავს რამდენიმე ძირითად კატეგორიას: განსხვავებულისადმი ყურადღება, მგრძნობელობა, ცნობისმოყვარეობა, აღქმა/მიღება/აღიარება, ღიაობა, პატივისცემა, განწყობა/მოტივაცია, სურვილი/მზაობა, გამოკითხვის (კითხვების დასმის), დისტანცირების, დეცენტრაციის, რელატივიზაციის პოზიცია/დამოკიდებულება, განსჯისაგან თავის შეკავების მიდრეკილება, მიდრეკილება რელატივიზაციის პროცესის მიმართ, ადაპტაციისადმი მზადყოფნა, თავდაჯერებულობა (საკუთარი ძალების რწმენა), საკუთარი (ლინგვისტური ან კულტურული) იდენტობის აღიარება, სწავლის მოტივაცია და მზადყოფნა. საბოლოო ჯამში, ინტერკულტურული დამოკიდებულებები მიანიშნებს ადამიანის ღიაობაზე, ცნობისმოყვარეობასა და მზადყოფნაზე მიიღოს და შეისწავლოს სხვა კულტურის თავისებურებები.

ინტერკულტურული კომპეტენციები უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი ევროსაბჭოს ეგიდით გამოცემულ ნაშრომში „ინტერკულტურული კომპეტენციები ყველასათვის, ჰეტეროგენულ სამყაროში ცხოვრებისთვის მომზადება“ (Francesca Brotto, და სხვები, 2012).²⁸ მასში განხილულია არამხოლოდ ინტერკულტურული კომპეტენციები, არამედ მათი ინდიკატორები, რომლებიც დაყოფილია ორ ძირითად – პიროვნულ და ინსტიტუციურ -კატეგორიად.

პიროვნული ინდიკატორები იყოფა ოთხ კატეგორიად: პიროვნული ფასეულობები და უნარები, ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, ინტერკულტურული ცოდნა და მგრძნობელობა და გლობალური საკითხების ცოდნა.

ინსტიტუციური ინდიკატორები გაშლილია ოთხ დონეზე: ქვეყნის, სკოლის, კურიკულუმის განვითარებისა და მასწავლებლის სწავლების/განათლების დონეები (Francesca Brotto, და სხვები, 2012).

27. Dorn G. & Cavalieri-Koch A., (2005) Intercultural Skills a Guide to working with other cultures, National Centre for Languages Copyright © CILT.

28. http://www.coe.int/t/dg4/education/pestalozzi/Source/Documentation/Pestalozzi2_EN.pdf

გარდა ზემოთაღნიშნულისა შვეიცარიულ და გავაანალიზეთ ინტერკულტურულ კომპეტენციებთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის დოკუმენტები (კურიკულუმები), რათა გავცნობოდი ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების არსებულ სტრატეგიებს. მაგალითისათვის შეიძლება წარმოვადგინოთ ავსტრალიის კურიკულუმი (Intercultural Understanding Australian Curriculum, 2011), რომლის მიხედვით ინტერკულტურული განათლების კონტინუმი ორგანიზებულია სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის საშუალებით:

პირველი ელემენტი (კულტურის აღიარება და პატივისცემის განვითარება) მოიცავს მოსწავლეების მიერ კულტურისა და კულტურული იდენტობის კვლევას, კულტურის ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის კვლევასა და შედარებას და კულტურული მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის განვითარებას.

მეორე ელემენტი (სხვებთან ურთიერთობა და თანაზიარობა) მოიცავს მოსწავლეების მიერ კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარებას, მრავალმხრივი პერსპექტივისა და თანაზიარობის განვითარებას.

მესამე ელემენტი – ინტერკულტურულ გამოცდილებაზე რეფლექსია და პასუხისმგებლობის აღება – მოსწავლეებისაგან მოითხოვს ინტერკულტურულ გამოცდილებაზე ფიქრს, სტერეოტიპებისა და მიკერძოებული აზრის კრიტიკულად შეფასებას და კულტურული განსხვავებების „შუამავლობის“ (ერთგვარ „კულტურათაშორის დგომას“) სწავლას (Intercultural Understanding Australian Curriculum, 2011).²⁹

ამ ქვეთავში ასევე განხილულია ის სამართლებრივი დოკუმენტები (აქტები, რეკომენდაციები), რომლებიც საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფენ კულტურული უმცირესობების უფლებების დაცვას.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“³⁰ (მიღებულ იქნა 1950 წელს). პრეამბულაში კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მთავ-

29. <http://v7-5.australiancurriculum.edu.au/GeneralCapabilities/Pdf/Intercultural-understanding>

30. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>

რობები ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება სამართლიანობა და მშვიდობა მსოფლიოში და რომელთა დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების საერთო გაგებითა და მათი უზრუნველყოფით.

კონვენციაზე ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ იკისრებენ და განუხრელად განახორციელებენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის ვალდებულებებს.

კონვენციის I თავი ეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ თავის მე-2 მუხლში საუბარია ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაზე – „სიცოცხლის უფლება“. მე-3 მუხლით იკრძალება წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა. მე-4 მუხლი კრძალავს მონობასა და იძულებით შრომას. მე-5 მუხლში განმარტებულია, თუ რას გულისხმობს ადამიანის „თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება“ და, რომ ამ უფლების შეზღუდვის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მე-9 მუხლი – „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება“ – ადგენს, რომ ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, რაც გულისხმობს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურს ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ და განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია და რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

მე-14 მუხლი – „დისკრიმინაციის აკრძალვა“ – განმარტავს, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კოთვნილების, ქონებრივი მდგომარეობი, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“

იუნესკოს 2005 წლის კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა“³¹ განამტკიცებს

31. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118>

კავშირს კულტურას, განვითარებასა და დიალოგს შორის, ამასთანავე, ქმნის კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმებს. ამ მხრივ, იგი ადასტურებს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას, შეიმუშაოს კულტურის პოლიტიკა „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ მიზნით, შექმნას „კულტურების აყვავებისა და თავისუფალი ურთიერთქმედების პირობები ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე“ (კონვენციის პირველი მუხლი), უზრუნველყონ კულტურებს შორის მუდმივი გაცვლა და ურთიერთქმედება (მუხლი 1,2), გაითვალისწინონ კულტურის პოტენციალის მნიშვნელობა სოციალური ერთობისათვის, საზოგადოების პროგრესის ინტერესებისათვის, უზრუნველყონ ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები, ამასთან, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც უმცირესობებსა და მკვიდრ ხალხებს განეკუთვნებიან (მუხლი 7). კონვენცია ასევე ხაზს უსვამს კულტურის როლს მდგრადი განვითარების პროცესში (მე-13 მუხლი), მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას მიზნების მიღწევის საკითხში (მე-11 მუხლი), ცენტრალურ ადგილს უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის განმტკიცებას (მე-12-მე-19 მუხლები). დოკუმენტში ხაზგასმულია „ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მნიშვნელობა კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების მხარდასაჭერად“ და დადასტურებულია, რომ „აზრის, შეხედულებათა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება, ისევე როგორც მედიის მრავალფეროვნება, ხელშეწყობს პირობებს უქმნის კულტურულ თვითგამოხატვას საზოგადოებაში“ (პრეამბულა). „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის მიღების შემდგომ, იუნესკოს ხელთ არის კულტურის სფეროში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების კომპლექსური კრებული; შემუშავებულია შვიდი კონვენცია, რომლებიც არეგულირებენ კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას როგორც კულტურული მემკვიდრეობის (უძრავი,

მოძრავი და არამატერიალური, მათ შორის კულტურული თვითგამოხატვის ტრადიციული ფორმები), ასევე თანამედროვე ხელოვნების სფეროში. კულტურის სფეროს სამი ძირითადი კონვენცია – მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1972 წელი), არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2003 წელი) და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ (2005 წელი) – წარმოადგენენ იუნესკოს მოღვაწეობის სამართლებრივ ბაზას კულტურული მრავალფეროვნების დაცვის სფეროში. ამგვარად, მიმდინარე ეტაპზე, იუნესკოს აქვს ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ისეთი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზა, როგორიცაა, „კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება“ და „ზეპირი და გამომსახველობითი გზით იდეების თავისუფალი გავრცელების ხელშეწყობა“.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის³² (მიღებულია 1995 წელს. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს) ძირითადი პრინციპებია:

ნაწილი I

მუხლი 1. ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო მასშტაბით დაცვის შემადგენელ ნაწილს და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროს.

მუხლი 2. ამ ჩარჩო კონვენციის დებულებების გამოყენება მოხდება კეთილი განზრახვით, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით და სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან შესაბამისობაში.

მუხლი 3. ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს მას მოექცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს.

32. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1195.pdf>

ნაწილი II

მუხლი 4. მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით, აკრძალულია ეროვნული უმცირესობის ნებისმიერი დისკრიმინაცია.

აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 5. მხარეები იღებენ ვალდებულებას, შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

მუხლი 6. მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილების გამო.

მუხლი 7. მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის და აზრის, სინდისისა

და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

მუხლი 8. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები.

მუხლი 9. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და დაამკვიდრონ კულტურული პლურალიზმი.

მუხლი 10. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას.

იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირები, მათი მოთხოვნის საფუძველზე მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირების და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

მუხლი 11. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს მისი გვარისა (პატრონიმი) და სახელის უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მხარეები ვალდებული არ არიან იღებენ აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენობრივი ნიშნები, წარწერები და

სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესამჩნევი იქნება საზოგადოებისათვის.

მუხლი 12. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად.

ამ კონტექსტში, მხარეები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს.

მხარეები ვალდებულიებას იღებენ, უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 14. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისთვის მშობლიური ენა.

იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და, თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ მათ ჰქონდეთ მშობლიურ ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების შესაძლებლობა.

ეს პუნქტი განხორციელდება ოფიციალური/სახელმწიფო ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 15. მხარეები შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც მათ ეხებათ.

მუხლი 16. მხარეები თავს შეიკავებენ იმ ზომების მიღებისაგან, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის პროპორციას იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და მიზნად ისახავენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

მუხლი 17. მხარეები იღებენ ვალდებულებას, არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად

იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და, კერძოდ, იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლიგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.

მუხლი 18. მხარეები, აუცილებლობის შემთხვევაში, ეცდებიან დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყონ იმ პირების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 19. მხარეები იღებენ ვალდებულებას, პატივი სცენ და განახორციელონ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე პრინციპები და, საჭიროების შემთხვევაში, დააწესონ მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით, იმ ზომით, რითაც შესაბამისობაში იქნებიან ზემოთ მოხსენიებული პრინციპებიდან გამომდინარე უფლებებსა და თავისუფლებებთან.

ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით³³ (1998 წელი) ეხება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებას, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, სამართალწარმოების, მედიის და სხვა ასპარეზზე საქმიანობისას გამოიყენონ მშობლიური ენა და ამ ენაზევე მიიღონ სათანადო ინფორმაცია.

ოსლოს რეკომენდაციებში დაკონკრეტებულია ეროვნული უმცირესობების მხრიდან მშობლიური ენის გამოყენების კონკრეტული სფეროები და დაშვებები.

1. გვარ-სახელები და სახელწოდებები

ა) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ თავიანთი სახელებითა და გვარებით მშობლიურ ენაზე, საკუთარი ტრადიციებისა და ლინგვისტური სისტემების შესაბამისად. ეს გვარ-სახელები ოფიციალურად უნდა იქნან აღიარებული და გამოყენებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ბ) ამგვარადვე, კერძო ორგანიზაციებს, როგორცაა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ დაარსებული კულ-

33. <http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/links/2.2.htm>

ტურული ასოციაციები და საწარმოები, იგივე უფლება აქვთ მათ სახელწოდებასთან დაკავშირებით.

გ) იმ ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, როცა შესაბამისი მოთხოვნა არსებობს, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა ადგილობრივი სახელები და სახელწოდებები, ქუჩების დასახელებები და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ტოპოგრაფიული ნიშნები ეროვნული უმცირესობის ენაზეც გამოიკრას.

2. რელიგია

ა) საკუთარი რელიგიური მრწამსის აღსრულების პროცესში, განურჩევლად იმისა, ინდივიდუალურად ხდება ეს თუ სხვა პირებთან ერთად, თითოეულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს ამა თუ იმ ენით ან ენებით, საკუთარი არჩევანის შესაბამისად.

ბ) იმ რელიგიური რიტუალებისა თუ აქტებისათვის, რომლებიც, იმავე დროს, სამოქალაქო მნიშვნელობისაა და, რომლებსაც მოცემულ სახელმწიფოში სამართლებრივი შედეგი აქვთ, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ამგვარი სტატუსის მოწმობები და დოკუმენტები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც გამოიცეს. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ სამოქალაქო მნიშვნელობის ჩანაწერები რელიგიურმა დაწესებულებებმა სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც აწარმოონ.

3. საზოგადოებრივი ცხოვრება და არასამთავრობო ორგანიზაციები

ა) ნებისმიერ პირს, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ დააფუძნონ და მართონ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები და დაწესებულებები. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ენით (ენებით), რომელსაც თავად შეარჩივენ. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ენის საფუძველზე დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ამყოფოს ასეთი ორგანიზაციები ან არამართლზომიერად შეზღუდოს ამ ორგანიზაციების უფლება, მოიძიონ დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთაშორისო წყაროებიდან ან კერძო სექტორიდან.

ბ) თუ სახელმწიფო, სხვებთან ერთად, სოციალურ, კულტურულ და სპორტის სფეროებსაც აქტიურად უჭერს მხარს, იგი ვალდებულია, საერთო სახსრების სამართლიანი წილი ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ანალოგიური საქმიანობის დასაფინანსებლადაც გაიღოს. აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფოს მიერ ყველა იმ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენაზე ან ენებზე ხორციელდება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

ა) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ, დააარსონ და შეინახონ საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმცირესობის ენაზე. მაუწყებლობის საშუალებების სახელმწიფო რეგულირება ობიექტურ, არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს და არ უნდა იქნას გამოყენებული უმცირესობის უფლებების შეზღუდვის მიზნით.

ბ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ხელი უნდა მიუწევდებოდეთ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მაუწყებლობის საშუალებების საეთერო დროით საკუთარ ენაზე სარგებლობაზე. როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე მოცემული ეროვნული უმცირესობის ენაზე მაუწყებლობის დროის ხანგრძლიობა და ხარისხი ამ ეროვნული უმცირესობის რაოდენობრივ და კონცენტრაციის მაჩვენებლებს, აგრეთვე მის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს.

გ) ეროვნული უმცირესობების ენაზე ან ენებზე სახელმწიფო ან კერძო ინფორმაციის საშუალებების პროგრამების დამოუკიდებელი ხასიათი დაცული უნდა იყოს. სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების სარედაქციო საბჭო, რომელსაც პროგრამების შინაარსსა და ორიენტაციაზე მეთვალყურეობა ევალება, უნდა იყოს დამოუკიდებელი. ამ საბჭოების შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებიც უნდა შედიოდნენ, რომლებსაც დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

გ) დაუშვებელია ინფორმაციის საშუალებების საზღვარგარეთიდან შემოსვლის არამართლობიერი შეზღუდვა. ამ გზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ უნდა იქნას გამოყენებული

სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საინფორმაციო საშუალებებში ეროვნული უმცირესობისათვის გამოყოფილი საეთერო დროის შემცირების საბაზად იმ სახელმწიფოში, სადაც მოცემული ეროვნული უმცირესობა სახლობს.

5. ეკონომიკური ცხოვრება

ა) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, აქვთ უფლება მისდიონ კერძო მეწარმეობას იმ ენაზე ან ენებზე, რომლებსაც ისინი აირჩევენ. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ამ სახელმწიფოს ოფიციალური ენით ან ენებით დამატებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ამას მოითხოვს დასაბუთებული საზოგადოებრივი ინტერესები, მაგალითად მუშა-მოსამსახურეთა ან მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებული ინტერესები, ან ურთიერთობები საწარმოსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

6. ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი მომსახურება

ა) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა, პირებს, რომლებიც ამ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ, რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისაგან სამოქალაქო დოკუმენტები და მოწმობები მიიღონ როგორც სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე, ისე ეროვნული უმცირესობის ენაზეც. ამგვარადვე, რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, აწარმოონ სამოქალაქო ჩანაწერები ეროვნული უმცირესობის ენაზეც.

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ენით სარგებლობის ადეკვატური შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა და სადაც მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს. ამგვარადვე, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, როცა კი ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი მომსახურება ეროვნული უმცირესობის ენაზეც. ამ მიზნით მათ უნდა განავითარონ კადრების

შერჩევისა და მომზადება-გადამზადების შესაბამისი პოლიტიკა და პროგრამები.

გ) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩეულ წევრებს, მათი სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში, ეროვნული უმცირესობის ენითაც შეეძლოთ სარგებლობა.

7. დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები

ა) სახელმწიფოებმა, რომლებშიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირებს, თუკი ისინი ჩათვლიან, რომ მათი ენობრივი უფლებები შელახულია, მართლმსაჯულების ორგანოებში მიმართვის გარდა, ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების დახმარებითაც, როგორებიცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

8. მართლმსაჯულების ორგანოები

ა) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ, მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ სათანადო ინფორმაცია მათი დაპატიმრების და/ან დაკავების მიზეზების შესახებ, აგრეთვე მათთვის წარდგენილი ბრალდების არსისა და ხასიათის შესახებ და დაიცვან თავი ამ ენაზე, თუ საჭიროა – თარჯიმნის უფასო დახმარებით, სასამართლომდე, სასამართლო პროცესის მსვლელობისას და განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში.

ბ) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, ამ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს აქვთ სასამართლო პროცესზე საკუთარ ენაზე გამოსვლის უფლება, თუ საჭიროა – თარჯიმნის და/ან მთარგმნელის უფასო დახმარებით.

გ) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, სახელმწიფოებმა გულდასმით უნდა განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ

ყველა სასამართლო პროცესი, რომელიც ასეთ პირებს ეხება, ეროვნული უმცირესობის ენაზე ჩატარდეს.

9. თავისუფლების აღკვეთა

ა) პენიტენციალური დაწესებულების ხელმძღვანელმა და თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ პატიმართა დიდი უმრავლესობის ენა ან ენები, ან ის ენა, რომელიც მათ დიდ უმრავლესობას ესმის. კადრების შერჩევისა და/ან მომზადება-გადამზადების პროგრამები ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას თარჯიმნის მომსახურება.

ბ) დაკავებულ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ როგორც პატიმრებთან, ისე ნებისმიერ სხვა პირთან ურთიერთობაში იმ ენით ისარგებლონ, რომელსაც ისინი თავად აირჩივენ. სახელმწიფო ორგანოებმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიიღონ ზომები, რათა პატიმრებმა, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში, ზეპირი კომუნიკაციები თუ პირადი მიმოწერა საკუთარ ენაზე აწარმოონ. ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი დაკავებული ან თავისუფლებააღკვეთილი პირი, როგორც წესი, უნდა განთავსდეს დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის იმ ადგილში, რომელიც მის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარეობს.

ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით (1999 წ.).³⁴ დოკუმენტის პირველ თავში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორსა და წინაპირობას, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ, ლუნდის რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ:

1) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კომპონენტია. ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამგვარი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით მთავრობებს ხშირად სპეციალური ზომების მიღება მართებთ. წინამდებარე რეკო-

34. <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>

მენდაციების მიზანია, ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების ჩაბმას სახელმწიფო ცხოვრებაში, მისცეს მათ საკუთარი თვითმყოფადობისა და თავისებურებების შენარჩუნების შესაძლებლობა და, ამდენად, უზრუნველყოს სახელმწიფოს სწორი მმართველობა და მთლიანობა.

2) რეკომენდაციები ემყარება საერთაშორისო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს, როგორებიცაა ადამიანის ღირსების პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რამდენადაც ეს პრინციპები და ნორმები გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობების უფლებებზე, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისარგებლონ სხვა პოლიტიკური უფლებებით. სახელმწიფოები მოვალენი არიან, პატივი სცენ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, რაც შემწყნარებლობის, მშვიდობისა და კეთილდღეობის პირობებში სამოქალაქო საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების საწინდარია.

3) როცა იქმნება სპეციალური ინსტიტუტები, რომელთა მიზანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების ქმედითი მონაწილეობის უზრუნველყოფაა, რაც შეიძლება ასეთი დაწესებულებების მიერ ხელისუფლების ან პასუხისმგებლობის განხორციელებას მოიცავდეს. მათი მოვალეობაა პატივი სცენ ყველა იმ ადამიანის უფლებებს, ვისაც ეხება მათი საქმიანობა.

4) ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნების გარდა, ინდივიდების თვითიდენტიფიცირება მრავალი სხვა ფორმითაც ვლინდება. მიაკუთვნებს თუ არა თავს ესა თუ ის ინდივიდი უმცირესობას თუ უმრავლესობას, ან არცერთ მათგანს, თვით ამ ინდივიდის გადასაწყვეტია და არავის აქვს უფლება, თავს მოახვიოს მას ამგვარი გადაწყვეტილება. ამასთან, არავის უნდა მიადგეს ზიანი ამგვარი არჩევანის, ან არჩევანზე უარის თქმის გამო.

5) როცა საქმე ეხება ამ რეკომენდაციების შესაბამისად გარკვეული ინსტიტუტებისა და პროცედურების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია როგორც შინაარსი, ისე პროცესიც. ურთიერთნდობის ატმოსფეროს შენარჩუნების მიზნით, სახელისუფლო ორგანოებმაც და უმცირესობებმაც უნდა აწარმოონ ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე აგებული კონსულტაციები. სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რათა

მათ ხელი შეუწყონ კულტურებს შორის ურთიერთგაგებასა და უმცირესობათა პრობლემების ასახვას.

ლუნდის რეკომენდაციებში ადგილი ეთმობა ეროვნული უმცირესობების გარანტირებულ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (თავი II). ამ პროცესის ხელშესაწყობად დოკუმენტი გვთავაზობს სათანადო მექანიზმებს. ამ მექანიზმების ნაწილის უზრუნველყოფა რეკომენდირებულია ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. ნაწილიც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციად არის მიჩნეული.

ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულებად წარმოდგენილია უმცირესობებისათვის ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, მათ შორის, საგანგებო მექანიზმების შექმნის გზითაც. გარემოებათა შესაბამისად, ასეთ მექანიზმებში შეიძლება იგულისხმებოდეს:

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის საგანგებო ფორმები, მაგალითად – პარლამენტის ერთ ან ორივე პალატაში ან საპარლამენტო კომიტეტებში გარკვეული რაოდენობის ადგილების დაჯავშნის გზით; აგრეთვე საკანონმდებლო პროცესში გარანტირებული მონაწილეობის სხვა ფორმები;
- ოფიციალური ან არაოფიციალური შეთანხმებები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მთავრობაში, უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოში, ან უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოებში ადგილების და დანიშვნით სათათბირო ან სხვა მაღალი დონის ორგანოებში თანამდებობების გამოყოფის შესახებ;
- მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინებას შესაბამისი სამინისტროების მიერ, მაგალითად, უმცირესობათა საქმეებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის, ან მუდმივმოქმედი დირექტივების გამოცემის გზით;
- საგანგებო ზომები სამოქალაქო სამსახურში უმცირესობათა მოსაზიდად, აგრეთვე საჯარო მომსახურებების უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობის ენაზე.

ეროვნულ უმცირესობათა აქტიური მონაწილეობისათვის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია საარჩევნო გარემოსა და პოლიტიკას, რომლითაც

ხდება მათი წახალისება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება ცხადყოფს საარჩევნო პროცესის დიდ მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის. სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საჯარო საკითხების გადაწყვეტაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მონაწილეობის უფლება, მათ შორის, ხმის უფლებით სარგებლობითა და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრაში მონაწილეობით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის რეგულირება შეესაბამებოდეს გაერთიანების თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს. ეს პრინციპები მოიცავს პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების თავისუფლებას, როგორც რომელიმე ჯგუფთან იდენტურობის ნიშნით, ისე რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესებთან იდენტიფიცირების გარეშე.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, რომლებიც ადგილობრივი მმართველობების დონეზე უნდა წყდებოდეს, მდგომარეობს შემდეგში:

- რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი თავისი გამჭვირვალობითა და მისაწვდომობით ხელს უნდა უწყობდეს მასში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობას.
- შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათანადო ან საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის დიალოგის გამართვას მოემსახურება. ამგვარ ორგანოებში მოიაზრება საგანგებო დანიშნულების კომიტეტები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საბინაო და მიწის საკითხები, განათლება, ენა და კულტურა. ამ ორგანოების შემადგენლობა მათივე მიზანს უნდა შეესაბამებოდეს და ხელს უნდა უწყობდეს უმცირესობათა ინტერესების უფრო ქმედით გამოვლენასა და დაკმაყოფილებას.
- ამ ორგანოებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღები ორგანოების წინაშე საკითხების დასმა, რეკომენდაციების მომზადება, საკანონმდებლო და სხვაგვარი ინიციატივების წარდგენა, მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნება და მთავ-

რობის მიერ შემოთავაზებული ისეთი გადაწყვეტილებების პროექტებზე თვალსაზრისის გამოხატვა, რომლებსაც შეუძლიათ პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიონ უმცირესობებზე.

- თვითმმართველობის ორგანოები, არატერიტორიული თუ ტერიტორიული პრინციპით მოწყობილი, დემოკრატიულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდნენ, რათა რეალურად ასახონ მოსახლეობის შესაბამისი ნაწილის შეხედულებები.
- მმართველობის არატერიტორიული ფორმები ხელს უწყობენ ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებას. საკითხებს, რომლებიც ყველაზე უკეთ შეიძლება მოგვარდეს ამგვარი მექანიზმების მეშვეობით, მიეკუთვნება განათლება, კულტურა, უმცირესობის ენით სარგებლობა, რელიგია და სხვა სფეროები, რომლებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობისა და ცხოვრების წესის შენარჩუნებაში.
- იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო სტანდარტების დადგენა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას შეადგენს, უმცირესობათა დაწესებულებებს შეუძლიათ თავად დაადგინონ მათი ენების, კულტურის ან ორივეს სასწავლო პროგრამები.
- უმცირესობებს შეუძლიათ, დაადგინონ და ისარგებლონ საკუთარი სიმბოლოებითა და კულტურული თვითგამოხატვის სხვა ფორმებით.
- ადგილობრივმა, რეგიონულმა ან ავტონომიურმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებიც ეროვნული უმცირესობების სპეციფიკური ისტორიული და ტერიტორიული მდგომარეობის შესაბამისად ჩამოყალიბდა, ამ უმცირესობების პრობლემების უფრო ეფექტიანად გადაწყვეტის მიზნით შეიძლება განახორციელონ რიგი ფუნქციებისა.
- ფუნქციები, რომლებზეც ასეთ ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმატებით გადაეცათ უპირატესი ან უმეტესი კომპეტენცია, მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება, კულტურა, უმცირესობის ენით სარგებლობა, გარემოს დაცვა, ადგილობრივი დაგეგმვა, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური განვითარება, წესრიგის დაცვა ადგილებზე, აგრეთვე საბინაო საკითხები, ჯანდაცვა და სხვა სახის სოციალური მომსახურება.

- ადგილობრივი, რეგიონული და ავტონომიური ხელისუფლების ორგანოებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ყველა ინდივიდის უფლებები, მათ შორის, ნებისმიერი უმცირესობების უფლებები, რომელიც მათ იურისდიქციას ექვემდებარება.

ლუნდის რეკომენდაციებში საგანგებო პუნქტად არის გამოყოფილი ეროვნული უმცირესობების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შექმნის საკითხი. ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დავების მოგვარების მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების არსებობას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო ან ალტერნატიული მექანიზმების შექმნის შესაძლებლობასაც მოითხოვს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით, ლუნდის რეკომენდაციების ამოსავალია ფუძემდებლური საერთაშორისო კონვენციები და დეკლარაციები. მათ რიგს მიეკუთვნება: „გაეროს დეკლარაცია უმცირესობათა შესახებ“ (1992 წ.), „კოპენჰაგენის დოკუმენტი“ (1990 წ.), ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (1994 წ.) და სხვა.

„დეკლარაცია უმცირესობათა შესახებ“ ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებათა შესახებ გაეროს 1992 წლის დეკლარაციის („დეკლარაცია უმცირესობათა შესახებ“) პრეამბულაში აღნიშნულია, რომ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის ადამიანის უფლებების თანასწორუფლებიანი განხორციელებისათვის ყოველმხრივი შესაძლებლობების შექმნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ ქმედით მონაწილეობასაც გულისხმობს, რაც განსაკუთრებით ისეთ გადაწყვეტილებებს ეხება, რომლებსაც უშუალო გავლენის მოხდენა შეუძლია უმცირესობებზე.

„კოპენჰაგენის დოკუმენტი“: ადამიანური განზომილების შესახებ კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტის (1990) („კოპენჰაგენის დოკუმენტი“) 35-ე პუნქტის თანახმად, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას, ქმედითი მინაწილეობა მიიღონ საჯარო საქ-

მეებში, მათ შორის ისეთ საქმეებში, რომლებიც ამ უმცირესობების თვითმყოფადობის დაცვასა და წახალისებას ეხება.

„ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“
ევროპის საბჭოს მიერ 1994 წელს მიღებული დოკუმენტის – ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ – მე-15 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები „ვალდებულნი არიან შექმნან ყველა აუცილებელი პირობა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ქმედითი მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და საჯარო საქმეებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მათ ეხება.“³⁵

35. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi90.pdf>

თავი 4

ინტერკულტურული განათლება სკოლაში

4.1. სკოლის კულტურა³⁶

თუკი განათლების უპირველესი მიზანია ახალგაზრდების მომზადება მრავალფეროვანი გამოწვევებით სავსე თანამედროვე სამყაროში ცხოვრებისათვის, მაშინ ინტერკულტურული განათლება ამ პროცესის არსებითი ნაწილია. ინტერკულტურული განათლება არ არის დამატებითი საგანი, რომელიც სასკოლო კურიკულუმს უნდა დამატოს და არ მოიცავს დამატებით მასალას, რომლის ამოწურვა აუცილებელია ამა თუ იმ საგნის ფარგლებში. ის გარკვეული მიდგომა განათლებისადმი, რომლის ინტეგრირება შესაძლებელია ყველა საგანში გამჭოლ კომპეტენციად. მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ ყველა მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებულ ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს მოსწავლეებთან ურთიერთობის საფუძველზე, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური შეხვედრების დროს. როგორც ვიცით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანია ახალგაზრდების ზნეობრივი და გონებრივი განვითარების ხელშეწყობა, სხვათა ღირებულებებისა და რწმენის მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გავლენა, ეროვნულ და გლობალურ კონტექსტში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების შესრულებისთვის მომზადება. ცხადია, სულ უფრო მზარდ მულტიკულტურულ გარემოში ინტერკულტურული კომპეტენცია თავის მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს აქტიური მოქალაქეობისთვის მომზადების რთულ საქმეში.

ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პოლიტიკასა და პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვან კომპონენტებთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების გამოცდილებაზე. პოლიტიკითა და პრაქტიკით, რომელიც აყალიბებს

36. ქვეთავი 4.1. მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

მოსწავლეთა ზოგად გამოცდილებას სასკოლო ცხოვრების შესახებ, სასკოლო საზოგადოება ავითარებს გამოცდილებასა და დადებით ჩართულობას კულტურულ მრავალფეროვნებაში.

ინტერკულტურული განათლება სცდება საკლასო სწავლების ვიწრო ფოკუსს. ინტერკულტურული პერსპექტივის გამოყენება სკოლის დაგეგმვასთან მიმართებაში არსებითია ეფექტური ინკლუზიური, ინტერკულტურული სკოლის განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი – მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დამხმარე პერსონალი და ხელმძღვანელობა – მონაწილეობდეს ინკლუზიური და ინტერკულტურული სკოლის განვითარებისა და შენარჩუნების კოლექტიურ პასუხისმგებლობაში. წარმატებული სასკოლო პრაქტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია სასკოლო საზოგადოების წევრთა კარგი კომუნიკაცია. მართალია, დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ქმედებათა ნაწილი სავალდებულოა, მაგალითად, ცვლილებები ქცევის კოდექსში, ან ძალადობის შემთხვევების აღრიცხვა, მაგრამ ნამდვილ ცვლილებათა უმრავლესობა დამოკიდებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ნებაყოფლობით ქმედებებსა და კეთილ ნებაზე. ამრიგად, მნიშვნელოვანია მონაწილეთა მოსაზრებების (ხმის) გათვალისწინება და ცვლილებათა პროცესში ჩართულობის განცდა. ამ პროცესში ადამიანები განსხვავებული ენთუზიაზმით შეიძლება ჩაერთონ, ზოგი შესაძლოა შეეწინააღმდეგოს კიდევ გარკვეულ ინიციატივებს. არც ისე უჩვეულოა, როცა ხშირად ადამიანებს აოცებთ საკუთარი დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის შესახებ დისკუსიისას. სიფრთხილით მოგვარებული ამგვარი წინააღმდეგობა ხელსაყრელ შესაძლებლობას გვაძლევს ინტერკულტურული ცოდნისა და უნარების გასაღრმავებლად. ეს შესაძლოა გარკვეულ ბიძგად იქცეს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის უფრო სიღრმისეულად გამოიკვლიონ საკითხები სხვადასხვა ტრენინგების საშუალებით, რომელთა მიზანი იქნება მრავალფეროვნების, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულების დაფასება.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა თვითმმართველობამ, როგორც ყველა მოსწავლის წარმომადგენლობამ სკოლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეას-

რულოს ინტერკულტურული სასკოლო გარემოს შექმნაში. არსებითად, სკოლის ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან და მშობლებთან თანამშრომლობით მოსწავლეთა თვითმმართველობას შეუძლია მრავალი საჭირო აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება.

მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა

მშობლის ჩართულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლის სასკოლო წარმატებაში. მშობლის წარმატებული მონაწილეობა შვილის განათლებაში ადასტურებს მის ცენტრალურ როლს ბავშვის განვითარებაში. შესაძლოა, მშობლისთვის არასასურველი იყოს შვილის სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა. ნაწილობრივ, ეს ალბათ ეხება იმ მშობელს, რომლისთვისაც სკოლის ენა არ არის მშობლიური ენა. სკოლის, მშობლებისა და ფართო საზოგადოების ხელსაყრელი კომუნიკაციისათვის სკოლამ შესაძლოა განსაზღვრულ ღონისძიებებს მიმართოს.

გთავაზობთ კითხვარს მშობელთა ჩართულობის სრულყოფილ სათვის.

• სკოლა შემოქმედებითად და მოქნილად უდგება სკოლაში მშობელთა ჩართვის გზების ძიებას (მაგ., მშობელთა მონაწილეობა კულტურათა ფესტივალში, სპორტულ აქტივობებში, ხელოვნების/მუსიკის სფეროს ღონისძიებებში).
• მშობლებთან წერილობითი კომუნიკაცია მათთვის გასაგებ ენაზეა.
• მშობლისა და მასწავლებლის შეხვედრის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მგრძნობელობა მშობლის ლინგვისტური და კულტურული ფონისადმი.
• ყალიბდება მშობელთა ქსელი, როგორც კომუნიკაციისა და მხარდაჭერის საშუალება.
• მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაცია ორმხრივად პოზიტიურია.
• შესაბამის შემთხვევებში სკოლა მშობლებს დახმარებას სთხოვს.
• ორგანიზებული საზოგადოებრივი ჯგუფები გარკვეულ როლს თამაშობენ სკოლაში.
• მშობლები იღებენ რჩევებს იმის შესახებ, როგორ დაეხმარონ შვილებს სახლში.

სკოლას ხშირად უჭირს განსაზღვროს, როგორ და რით დაიწყოს ინტერკულტურულ გარემოზე ზრუნვა. ქვემოთ მოცემული იდეები გზამკვლევის როლს შეასრულებს სკოლის დაგეგმვაში ინტერკულტურული პერსპექტივის ჩართვის თვალსაზრისით. დაგეგმვის პროცესი უნდა დაეხმაროს სკოლის საზოგადოების ყველა წევრს ინკლუზიური და ინტერკულტურული სკოლის განვითარებაში, რომელიც ყველა მოსწავლის საჭიროებების შესატყვისი იქნება. დაგეგმვის პროცესმა უნდა მოიცვას შემდეგი ასპექტები:

- სკოლის ინტერკულტურული მიმოხილვა
- ინტერკულტურული ცნობიერების ინტეგრირება (ჩართვა) სკოლის მისიაში, პოლიტიკასა და მოქმედების გეგმაში
- სკოლის გეგმის განხორციელება
- მოქმედების გეგმის მონიტორინგი და შეფასება

დაგეგმვის პროცესის პირველ საფეხურზე სასარგებლო იქნება იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობაა სკოლაში ინტერკულტურული გარემოს თვალსაზრისით. ქვემოთ მოცემული კითხვარი გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს გარემოს შესაფასებლად.

ყოველი კითხვისთვის მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. რაც მეტია დადებითი პასუხები, მით უფრო ინტერკულტურულია სკოლის კონტექსტი. უარყოფითი პასუხები განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომელსაც განვითარება სჭირდება. ამ პასუხებზე დაყრდნობით შესაძლებელია საჭიროებების განსაზღვრა და მათი მიღწევისთვის რეალისტური ვადების დადგენა.

სკოლის მისია/ხედვა	დიახ	გარკვეულწილად	ჯერ არა
არის თუ არა სკოლის მისია ისე ჩამოყალიბებული, რომ მისი გაგება ადვილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის?			
მოიცავს თუ არა მისია/ხედვა ყველა მოსწავლისთვის პოტენციალის სრულყოფილად რეალიზებაში დახმარების ვალდებულებას?			
ასახავს თუ არა მისია თანასწორობისა და მრავალფეროვნების პრინციპებს?			

უწყობს თუ არა მისია/ხედვა ხელს ყოველი მოსწავლის დადებით მე – კონცეფციას?			
მიმდინარე პრაქტიკა			
აქვს თუ არა სკოლის გეგმის ყველა ასპექტს ინტერკულტურული პერსპექტივა?			
არის თუ არა სკოლის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული პროცედურები სამართლიანი და ითვალისწინებს თუ არა ყველა მოსწავლის საჭიროებებს?			
ითვალისწინებს თუ არა სკოლის ენა – სალაპარაკო და წერილობითი – სკოლის ყველა წევრის კულტურას?			
ითვალისწინებს თუ არა სკოლის გარემო – ფიზიკური და სოციალური – სკოლის ყველა წევრის კულტურას?			
იცავს თუ არა სკოლა შესაბამის კანონმდებლობას ამ სფეროებში?			
სხვა გასათვალისწინებელი საკითხები			
როგორ შეიცვალა ჩვენი პრაქტიკა უკანასკნელ წლებში კულტურული მრავალფეროვნების ფონზე?			
რა სახის ინტერკულტურული საკითხები აქვს სკოლის პერსონალს გადასაჭრელი ამჟამად?			
ვინ იქნება ჩართული ინტერკულტურული სკოლისათვის გეგმის შედგენაში?			
სკოლის პოლიტიკისა და პრაქტიკის რა ასპექტებია გადასაჭრელი?			
რა სახის წყარო/რესურსები უნდა გამოვიყენოთ დაგეგმვის პროცესში?			
რა ადამიანური და კაპიტალური რესურსები უნდა გამოვიყენოთ ინტერკულტურული განათლების ხელშესაწყობად?			

ცხრილი 1: კითხვარი სკოლის გარემოს მიმოხილვისთვის

არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლის სოციალური და ფიზიკური გარემოს შეფასება ინტერკულტურული პერსპექტივიდან. ამ

შეფასებაში დაგვეხმარება ქვემოთ მოცემული კითხვარი. ყოველი კითხვისთვის მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. რაც მეტია დადებითი პასუხები, მით უფრო ინტერკულტურულია სკოლის კონტექსტი. უარყოფითი პასუხები განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომელსაც განვითარება სჭირდება. ამ პასუხებზე დაყრდნობით შესაძლებელია საჭიროებების განსაზღვრა და მათი მიღწევისთვის რეალისტური ვადების დადგენა.

ფიზიკური გარემო	დიახ	გარკვეულწილად	ჯერ არა
ასახულია თუ არა საქართველოს და სკოლის მრავალფეროვანი კულტურული ჯგუფები სკოლის ფიზიკური გარემოს ელემენტებში (ნახატებში/ფოტოებში, ნიშნებში)?			
სოციალური გარემო			
არსებობს თუ არა პროცედურები, რომელიც ეხმარება ახალ მოსწავლეს გახდეს სკოლის განუყოფელი ნაწილი და დარწმუნდეს, რომ მისი კულტურა აღიარებულია ახალ გარემოში?			
არსებობს თუ არა პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ახალი მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები აღიარებული იქნება?			
არის თუ არა სკოლის პროცედურები და მოლოდინები იმდენად მკაფიო, რომ ყველასათვის გასაგებია?			
არსებობს თუ არა განსხვავებულობის გამო ძალადობასთან ბრძოლის პროცედურები?			
არსებობს თუ არა სკოლისგარეშე აქტივობების ასარჩევი მრავალფეროვნება?			

იგეგმება ხოლმე თუ არა სკოლაში არსებული ყველა კულტურის მომცველი ღონისძიებები?			
აღიარებულია თუ არა სკოლის ყველა კულტურისთვის მნიშვნელოვანი ფესტივალები და განსაკუთრებული დღეები?			
წაახალისებს თუ არა სკოლა კულტურულ უმცირესობათა წევრებში საკუთარი იდენტობის მიმართ დადებითი გრძნობების ჩამოყალიბებას?			
აქტიურად რეაგირებს თუ არა სკოლა განსხვავებულობის გამო ძალადობრივ ქცევაზე ან შემთხვევებზე და ცდილობს თუ არა კონფლიქტების შემცირებას და ინტერპერსონალური უნარების ხელშეწყობას?			
რესურსების შერჩევა			
არსებობს თუ არა მეთოდი, რომლითაც მოწმდება სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სხვა რესურსებში არსებული თვალსაჩინოებისა და ტექსტის მიზანშეწონილობა?			

ცხრილი 2: კითხვარი სკოლის გარემოს შეფასებისთვის

თუკი შევძლებთ გაკვეთილებზე არსებული შესაძლებლობების დანახვას ინტერკულტურული პერსპექტივით, ჩვენი გაკვეთილები სულ ადვილად გახდება ინტერკულტურული. ასეთი შესაძლებლობები გაკვეთილებზე მუდამ არსებობს, მაგრამ იოლად შეიძლება გაგვეპაროს, თუკი არ ვეცდებით მათ დანახვას.

ინტერკულტურულ განათლებას სარგებელი მოაქვს ყველა მოსწავლისათვის მიუხედავად მათი კულტურული გამოცდილებისა. სასკოლო გარემოს კულტურული აგებულების მიუხედავად, ინტერკულტურულ განათლებას მოაქვს ცოდნა მრავალფეროვნების ბუნებრიობის შესახებ და ეხმარება მოსწავლეებს წარმოსახვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში, მიკერძოებისა

და დისკრიმინაციის დაძლევისა და სოციალური უნარების სრულყოფაში.

ინტერკულტურული განათლება არ არის შეზღუდული მხოლოდ კურიკულუმით ან თუნდაც, „ფორმალური კურიკულუმის“ საზღვრებით. ის ჩაშენებულია როგორც საკლასო კლიმატის პრაქტიკასა და განწყობებში, ასევე „უხილავ კურიკულუმში“. სკოლაში ორი სახის კურიკულუმი მოქმედებს: ხილული (მაგ., გაკვეთილის გეგმა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსები) და უხილავი (მაგ., მოსწავლეთა დამოკიდებულებები და ქცევა, რომელსაც სკოლაში სწავლობენ მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე). ორივე მათგანი თანაბარმნიშვნელოვანია გავლენის თვალსაზრისით.

კლასში არსებული პრაქტიკის მიმოხილვაში დაგვეხმარება ქვემოთ მოცემული კითხვარი. ყოველი კითხვისთვის მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. რაც მეტია დადებითი პასუხები, მით უფრო ინტერკულტურულია კლასის კონტექსტი. უარყოფითი პასუხები განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომელსაც განვითარება სჭირდება. ამ პასუხებზე დაყრდნობით შესაძლებელია საჭიროებების განსაზღვრა და მათი მიღწევისთვის რეალისტური ვადების დადგენა.

ფიზიკური გარემო	დიახ	გარკვეულწილად	ჯერ არა
კლასის ფიზიკურ გარემოში (ნახატებში/ფოტოებში, ნიშნებში) ასახულია თუ არა საქართველოს და სკოლის მრავალფეროვანი კულტურული ჯგუფები?			
სოციალური გარემო			
არსებობს თუ არა პროცედურები, რომელიც ეხმარება ახალ მოსწავლეს გახდეს კლასის განუყოფელი ნაწილი და დარწმუნდეს, რომ მისი კულტურა აღიარებულია ახალ გარემოში და მისი შესაძლებლობები და საჭიროებები ნაცნობია თანატოლებისთვის?			
არის თუ არა კლასის პროცედურები მკაფიო და გასაგები ყველა მოსწავლისათვის?			

მონაწილეობენ თუ არა მოსწავლე-ები თანამშრომლობით სასწავლო აქტივობებში, რომელიც საშუალებას აძლევს მათ აღიარონ ერთმანეთის ძლიერი მხარეების სარგებელი?			
იზიარებენ თუ არა მოსწავლეები საერთო პასუხისმგებლობას კლასის წინაშე და გრძნობენ თუ არა თავს კლასის სასურველ და განუყოფელ ნაწილად?			
წახალისებულია თუ არა კლასში კულტურულ უმცირესობათა წევრების იდენტობის მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბება?			
არსებობს თუ არა კულტურული განსხვავებულობის გამო ძალადობრივ ქცევასთან ბრძოლის სტრატეგიები?			
ექცევა თუ არა ყურადღება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის სათანადო ენისა და ინტერაქციის უზრუნველყოფას?			
შექმნილია თუ არა მეორე ენის შემსწავლელთათვის ხელშემწყობი გარემო?			
რესურსების შერჩევა			
არსებობს თუ არა მეოთხე, რომლითაც მოწმდება სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სხვა რესურსებში არსებული თვალსაჩინოებისა და ტექსტის მიზანშეწონილობა?			

ცხრილი 3. კითხვარი საკლასო გარემოს შემოწმებისთვის

უმნიშვნელოვანესია ფიზიკური გარემო, რომელიც საწყის შთაბეჭდილებას უქმნის მოსწავლესა და მშობელს სკოლის შესახებ. ინტერკულტურული საკლასო ოთახი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გარემო, სადაც ამაყოფენ ქვეყნისთვის დამახასიათებელი

მრავალფეროვნებით. ის ხელს უწყობს მოსწავლეებში დადებითი თვითმიჯის ჩამოყალიბებას მათი კულტურული მრავალფეროვნების მიუხედავად. შესაძლებელია გამოიყოს კლასში ფიზიკური გარემოს დაგეგმვისას გასათვალისწინებელი რამდენიმე ასპექტი:

- მრავალფეროვნება წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ცხოვრების ბუნებრივ და განუყოფელ მხარედ;
- უმცირესობათა წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ ორიენტირებული უმრავლესობის მხოლოდ „სანახაობით“ ელემენტებზე;
- კულტურული წარმომავლობის მიუხედავად ყველა მოსწავლე მშვიდად უნდა გრძნობდეს თავს კლასში;
- კლასში არსებული თვალსაჩინოებები, ფოტოები, ნახატები, ნიშნები და სხვა, უნდა ასახავდეს საზოგადოების მრავალფეროვნებას;
- თანაბრად უნდა იყოს უმრავლესობისა და უმცირესობის ცხოვრების ამსახველი თვალსაჩინოება, რათა მოსწავლეები დარწმუნდნენ რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებაში უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის არსებულ წონასწორობაში;
- თვალსაჩინოება უნდა ასახავდეს საზოგადოების (უმცირესობისა და უმრავლესობის) რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებას და არა მხოლოდ „სანახაობით“, გამორჩეულ დღესასწაულებს, რაც მოსწავლეებს დაეხმარება სტერეოტიპების დაძლევაში;
- კლასის გარემო უნდა წარმოადგენდეს და ხელს უწყობდეს დადებით როლურ მოდელებს და სხვ.

სახელმძღვანელოებისა და სხვა რესურსების შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სიტყვები და გრაფიკა არა მხოლოდ გამოხატავს იდეებს, არამედ საგანმანათლებლო გამოცდილების ნაწილია, რომელიც აყალიბებს კიდეც იდეებს. მაგალითად, სახელმძღვანელოში უმცირესობათა რომელიმე ჯგუფის მიმართ წარმოჩენილი დამოკიდებულება გავლენას ახდენს მოსწავლეთა დამოკიდებულებასა და ღირებულებებზე იმავე ჯგუფისადმი. კეთილგანწყობილი ისტორიები დადებით დამოკიდებულებას აყალიბებს, არაკეთილგანწყობილი – უარყოფითს. მიკერძოებული დამოკიდებულების გამოხატვის რამდენიმე ფორმას შეიძლება შევხვდეთ სახელმძღვანელოებში – უზუსტობა, სტერეოტიპიზაცია, გამოტოვება ან დამახინჯება და მიკერძოებული ენა. მიკერძოების

გამოვლენის უნარი საკვანძო უნარია, რომელიც მოსწავლეებს კრიტიკულ მკითხველებად აყალიბებს. ეს უნარი უნდა განვითარდეს არა მხოლოდ სახელმძღვანელოებთან მიმართებაში, არამედ ინტერნეტთან, ვიდეოებთან და მედიის სხვა ფორმებთან მიმართებითაც. სასურველია, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ არსებულ სახელმძღვანელოებსა და რესურსებს დაეყრდნოს და მოსწავლეებს მრავალფეროვნების შესწავლის, კრიტიკული აზროვნების განვითარების, თანასწორობის ხელშეწყობის სხვა შესაძლებლობებიც/რესურსებიც შესთავაზოს.

ქვემოთ მოცემული ასპექტები დაეხმარება მასწავლებელს სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს ტექსტი/რესურსი. ეს ეხება, როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ ლიტერატურას.

- რესურსში ასახული უნდა იყოს რეალისტური ვარაუდები მოსწავლეთა არსებული ცოდნის შესახებ;
- რესურსში (ტექსტში, ილუსტრაციებსა და სავარჯიშოებში) რეალისტურად და პოზიტიურად უნდა იყოს ასახული კულტურული მრავალფეროვნება;
- გამჭვირვალობის გამო შესაძლებელი უნდა იყოს რესურსში არსებული მიკერძოების ამოცნობა;
- რესურსმა შესაძლებელი უნდა გახადოს დისკუსია თანასწორობის, უთანასწორობის, ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის, კონფლიქტისა და მისი გადაჭრის და მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ;
- გარდა სამართლიანობისთვის ბრძოლისა, რესურსში სათანადოდ წარმოდგენილი უნდა იყოს სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანთა ღვაწლი;
- რესურსში ასევე დაბალანსებულად უნდა იყოს წარმოდგენილი ქალი და მამაკაცი, სხვადასხვა ასაკის ადამიანი და უნარშემო აღუდგენი ადამიანი.

საკლასო ქცევა

აღსანიშნავია, რომ ხშირად ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული ყველაზე საინტერესო მომენტები დაუგეგმავად, თვით მოსწავლეების მიერ წამოიჭრება ხოლმე. ასეთი შემთხვევე-

ბი დიალოგისთვის ძალზე კარგი რესურსია და ხშირად სწავლების საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს.

საკლასო ოთახში ურთიერთობები ყალიბდება ქცევის შეთანხმებული წესების საფუძველზე, სადაც ხაზგასმულია, რომ წევრები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან. ზოგჯერ მოსწავლეებს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მრავალფეროვნება (მაგ., კანის ფერი, ფიზიკური მონაცემები, ენა, სახელი და ა.შ.) და მას არაბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ. ამგვარ დამოკიდებულებას ხშირად აძლიერებს არასწორი წინასწარი შეხედულებები, რაც მოსწავლეთა უარყოფით რეაქციებს აძლიერებს და დაცინვის, ზედმეტსახელების, ლანდღვის ან აგრესიის ფორმას აძლევს. მოსწავლეთა ასეთი ქცევა ინტერკულტურული სწავლებისათვის ნოყიერ ნიადაგს სთავაზობს მასწავლებელს. სასურველი იქნება, თუკი ასეთ სიტუაციაში მასწავლებელი:

- მყისიერად ჩაერევა და არ დაელოდება არასასურველი ქცევის თავისთავად შეცვლას/შეწყვეტას;
- გააკრიტიკებს ქცევას, მოსაზრებას და არა პიროვნებას;
- ფაქიზად, მაგრამ მტკიცედ შეახსენებს, რომ გარკვეული ქცევა მიუღებელია და ეწინააღმდეგება თვით მოსწავლეების მიერ შექმნილ ქცევის წესებს;
- მხარს დაუჭერს დისკრიმინირებულ მოსწავლეს სხვა მოსწავლეების მგრძნობელობის გათვალისწინებით (მაგ., თუ რომელიმე მოსწავლეს სასაცილოდ ეჩვენება საკუთარი სახელი, შეახსენებს, რომ ეს სახელი მრავალ ადამიანს ჰქვია და ძალიან მოსწონს);
- დისკრიმინაციული ქცევის მქონე მოსწავლეს სთხოვს წარმოიდგინოს, როგორ იგრძნობდა თავს დისკრიმინაციის მსხვერპლი თავად რომ ყოფილიყო;
- დაენმარება მოსწავლეებს განსაზღვრონ, რატომ გრძნობდნენ თავს არაკომფორტულად განსხვავებულობის პირობებში. მაგალითად, მათ ქცევას ხომ არ უდევს საფუძვლად მცდარი ან მიკერძოებული შეხედულება, რომელიც შეიძლება შესაბამისი ინფორმაციის დახმარებით შეიცვალოს.

გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებლის უადგილო/გაუაზრებელმა რეპლიკამ გარკვეული ბიძგი მისცეს დისკრიმინაციას (მაგ., მასწავლებლის მიერ არასწო-

რად წარმოთქმულმა მოსწავლის საკუთარმა სახელმა). მასწავლებელს ასევე შეიძლება გაუაზრებლად ჰქონდეს მოსაზრებები კულტურული არტეფაქტების ნორმალურობის შესახებ („ნორმალური“ სახლი, საკვები, გარცხნილობის სტილი და სხვ.)

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მოსწავლეებისთვის უადგილო შეტყობინებების გადაცემა, მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს საკლასო ოთახში საკუთარ მეტყველებასა და ურთიერთობების სტილზე.

ზრუნვა თანამშრომლობითი სწავლის გარემოს შექმნაზე

კლასის ორგანიზების თანამშრომლობაზე აგებულ მოდელს დადებითი აკადემიური და სოციალური შედეგების მოტანა შეუძლია თითქმის ყველა მოსწავლისთვის. თანამშრომლობით სწავლა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მრავალი განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ადამიანთან ერთად იმუშაოს. ის შინაარსიანი და დადებითი ურთიერთობის კარგი ინსტრუმენტია, რომელიც ჯგუფის სხვადასხვა წევრთა ცოდნისა და შესაძლებლობების მრავალფეროვნება თვალსაჩინო და აღიარებული ხდება. ამგვარი ინტერპერსონალური ურთიერთობა წარმატებული სწავლის გასაღები ხდება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ მოსწავლეებს შორის ურთიერთობა და მათი აკადემიური მიღწევები მნიშვნელოვნად უმჯობესდება, თუკი ვიყენებთ შერეული ჯგუფების თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგიებს. ეს მოსწავლეებს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ განსაზღვრონ ის ცოდნა და უნარები, რომელიც შეაძლებინებთ ჯგუფში კონსტრუქციულად მუშაობას. კერძოდ, ეს გულისხმობს:

- ისეთ სპეციფიკურ თანამშრომლობით ქცევას, როგორიცაა კითხვების დასმა, მოსმენა, გასაგებად საუბარი, მიზეზების ახსნა და სხვ.;
- ჯგუფური მუშაობის ისეთ სოციალურ ნორმებს, როგორიცაა წვლილის შეტანის მზადყოფნა, დაგეგმვის, შეფასების პროცეს-

ში ჩართვა, სხვადასხვა როლის შესრულება (ლიდერი, მონაცემთა ჩამწერი და სხვ.);

- კონფლიქტის გადაჭრისთვის საჭირო ისეთ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს, როგორიცაა განსხვავებულ შეხედულებათა მნიშვნელობის აღიარება, მოსაზრებათა კონფლიქტის დეპერსონალიზაცია, საერთო ინტერესების განსაზღვრა და საერთო სარგებლის მიღწევის შესაძლებლობების განსაზღვრა.

ჯგუფებისა და დავალებების ორგანიზების დროს უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა თავისებურებები, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა და არ გაჩნდეს „სხვის ხარჯზე საქმის კეთების“ საფრთხე. შესაძლოა ჯგუფს დასჭირდეს მასწავლებლის მხარდაჭერა მაქსიმალური თანამშრომლობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ინკლუზიური საკლასო გარემოს ხელშესაწყობად სასურველია თუ საკლასო ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს ყველა მოსწავლე იტვირთებს და არა მხოლოდ შერჩეული მცირე ჯგუფი. შესაძლებელია ყველა მოსწავლემ მონაცვლეობით შეაგროვოს საშინაო დავალება, შეამოწმოს დასწრება, გაანაწილოს მასალები, მოაწესრიგოს ოთახი და ა.შ.

ახალი მოსწავლე კლასში

მრავალი კვლევით დადასტურებულია, მასწავლებლის მიერ სკოლაში/კლასში ახალგადმოსული მოსწავლის მხარდაჭერის აუცილებლობა. პოტენციურად მეტი რისკის ქვეშ არიან დაბალი შემოსავლების მქონე და უმცირესობათა კულტურის წარმომადგენელი ოჯახის წევრები. კვლევები ასევე ადასტურებს, რომ ნაკლებ სირთულეებს აწყდებიან ახალი მოსწავლეები იმ სკოლებში, რომლებსაც მოსწავლეთა ინტეგრაციის პროგრამები აქვთ შემუშავებული.

გთავაზობთ კითხვარს, რომლის საშუალებითაც მასწავლებელს შეუძლია შეამოწმოს, რამდენად არის მზად ახალი მოსწავლის მისაღებად და რა ინფორმაცია სჭირდება.

კითხვები	კომენტარი
როგორ წარმოითქმის მოსწავლის და მისი მშობლების სახელები?	
რა ენები იცის მოსწავლემ და რა დონეზე?	

როგორ წარმოითქმის ზოგიერთი საკვანძო ფრაზა მოსწავლის მშობლიურ ენაზე, მაგალითად, „გამარჯობა“, „გეთაყვა“, „შეჩერდი“, „კარგი ნამუშევარია“, „გმაღლობ“, „შემოგვიერთდი“ და სხვ.?	
რომელი საგანი/ები აინტერესებს მოსწავლეს ყველაზე მეტად?	
აქვს თუ არა მოსწავლეს რაიმე კულტურული გამოცდილება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კლასში ურთიერთობებზე?	
არსებობს თუ არა დომინანტურ კულტურაში ისეთი მოქმედებები, რომელიც უადგილოდ ან უხეშად მიიჩნევა მოსწავლის კულტურაში და პირიქით, მოსწავლის კულტურაში ხომ არ არის ისეთი მოქმედებები, რომელსაც შეუსაბამოდ მიიჩნევენ დომინანტური კულტურა (მაგ., საუბრის დროს უფროსისთვის თვალებში ყურება მიუღებელია ზოგიერთი კულტურისათვის, დისტანცია საუბრის დროს განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში და ა.შ.)?	
რამდენად მისაღებია ახალი მოსწავლისთვის სკოლის კულტურა?	
რა რელიგიური აღმსარებლობისაა ახალი მოსწავლე და რამდენად რელიგიურია?	
ხომ არ უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის რელიგიური შეხედულებები საკლასო აქტივობების დაგეგმვისას?	
ხომ არ აქვს ახალ მოსწავლეს სპეციფიკური მოთხოვნები საკვებთან, სამკაულებთან ან ტანსაცმელთან დაკავშირებით?	

ცხრილი 4. კითხვარი ახალი მოსწავლის შესახებ ინფორმაციის დაზუსტებისთვის

აქვე გთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო რჩევას, რომელიც დაგეგმარებათ ახალი მოსწავლის ინტეგრაციაში.

ახალი მოსწავლე დადებითად გააცანით კლასს და ეცადეთ ყურადღება მის შესაძლებლობებზე გაამახვილოთ. მაგალითად, სასურველი იქნება გამოიყენოთ ფრაზა „საიდი თავისუფლად საუბრობს აზერბაიჯანულად, მაგრამ ცოტა ქართულიც იცის“ ნაცვლად ფრაზისა „საიდი ქართულად კარგად ვერ საუბრობს“.

პირველ დღეებში ახალი მოსწავლისათვის მოიფიქრეთ სტრუქტურირებული შესაძლებლობები სხვა მოსწავლეებთან სამუშაოდ. თუკი მის მიერ ენის ცოდნა საშუალებას იძლევა დაგეგმეთ წყვილებში და ჯგუფურად სამუშაო აქტივობები. ამ თვალსაზრისით ხელსაყრელ გარემოს ქმნის ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები, სადაც ენობრივი ფაქტორი ნაკლებად იწვევს სირთულეებს ურთიერთობაში.

ეცადეთ საკლასო რუტინა მაქსიმალურად გასაგები გახადოთ ახალი მოსწავლისათვის. ეს გარკვეულ საფუძველს შეუქმნის მოსწავლეს სკოლის კულტურის გაცნობისთვის.

მხარი დაუჭირეთ ყველა მოსწავლეს თვითონ შექმნან კლასში ინკლუზიური საზოგადოება – ერთად განსაზღვრეთ, როგორ და როდის გრძნობენ თავს კომფორტულად და როდის უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა. შესაძლოა ეს იმის წინაპირობა გახდეს, რომ მოსწავლეები თვითონ შეთანხმდნენ ურთიერთინკლუზიის სტრატეგიებზე.

ენობრივი ბარიერი

ენა მოსწავლის იდენტობის საკვანძო კომპონენტია და ცენტრალურ როლს ასრულებს სწავლება-სწავლის პროცესში. საკუთარი ენის უფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და უზრუნველყოფს ძლიერი დადებითი თვითშეფასების განვითარებას. როგორც წესი, კომპლექსური აზროვნება მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე უადვილდებათ. სწორედ ეთიკური და საგანმანათლებლო მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის მშობლიური ენა აღიარებული და დაფასებული იყოს სკოლის კონტექსტში. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მეორე ენის შესწავლას.

მულტილინგვურ გარემოში სწავლა დადებით გამოცდილებად უნდა მივიჩნიოთ ყველა მოსწავლისათვის – ის ხაზს უსვამს სამყაროს ენობრივ მრავალფეროვნებას და მნიშვნელოვან რესურსს გვთავაზობს ყველა მოსწავლის ინტერკულტურული უნარების განვითარებისთვის.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას ენობრივი მრავალფეროვნების ხელშემწყობისთვის:

- მასწავლებელი და მოსწავლე რამდენიმე საკვანძო სიტყვას/ ფრაზას (მისალმება, დამშვიდობება, მარტივი ინსტრუქციები და სხვ.) სწავლობენ ახალი მოსწავლის მშობლიურ ენაზე;
- ეცადეთ დადებითი დამოკიდებლობა ჩამოუყალიბდეთ მოსწავლეებს ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და მულტილინგვური მოსწავლის მიმართ. ხაზი გაუსვით მეორე ენის შემსწავლელის პოტენციალს და ნუ ეცდებით მისთვის „ენობრივი ბარიერის მქონეს“ იარლიყის მიკერებას.
- შეძლებისდაგვარად, უზრუნველყავით მულტილინგვური რესურსები.
- საჭიროების შემთხვევაში თქვენც და მოსწავლეებმაც გამოიყენეთ მინიშნებები, ჟესტები, ნახატები და კომუნიკაციის სხვა არავერბალური საშუალებები, რათა ახალმა მოსწავლემ თავი ახალი საზოგადოების სრულფასოვან და საჭირო წევრად იგრძნოს.
- ხელი შეუწყეთ ისეთი საკლასო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც მოსწავლეები სხვა საგნებთან ერთად ენასაც სწავლობენ და შეცდომის დაშვების გამო დაცინვის არ ეშინიათ.
- შესთავაზეთ მოდელები და როლური თამაშები, რომელიც დაეხმარებათ საკითხის არსში წვდომაში.

მასწავლებლისა და მოსწავლეთა ამგვარი პოზიტიური ურთიერთქმედება ხელსაყრელი იქნება არა მხოლოდ ახალი მოსწავლისთვის, არამედ მთელი კლასისთვის და ხელს შეუწყობს ინტერკულტურული უნარების განვითარებას.

4.2. ინტერკულტურული განათლება კურიკულუმში³⁷


განათლების მუშაკები რამდენიმე მიდგომას იყენებენ კურიკულუმში კულტურის შინაარსის ინტეგრაციის მიზნით. ეს მიდგომებია: მონაწილეობითი (1-ლი დონე), რომელიც ფოკუსირებულია გმირებზე, დღესასწაულებზე და ცალკეულ კულტურულ ელემენტებზე; დამატებითი (მე-2 დონე) – კურიკულუმს ემატება შინაარსი, კონცეფციები, თემები და პერსპექტივები, რომელიც არ ცვლის მის

37. ქვეთავი მომზადდა წიგნის James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014, მიხედვით.

სტრუქტურას; ტრანსფორმაციული (მე-3 დონე) – კურიკულუმის სტრუქტურა იცვლება, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს კონცეფციები, საკითხები, მოვლენები და თემები სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფის პერსპექტივიდან განიხილონ; სოციალური ქმედება (მე-4 დონე) – მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე და მოქმედებენ მათ გადასაჭრელად.

მოკლედ განვიხილოთ კურიკულუმში ეთნიკური შინაარსის ინტეგრაციის ოთხი მიდგომა (*იხ. სქემა 5*). მონაწილეობით მიდგომაში, გმირები, კულტურის კომპონენტები, დღესასწაულები და ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებული სხვა ცალკეული ელემენტები დამატებულია კურიკულუმს მისი სტრუქტურის შეცვლის გარეშე. დამატებითი მიდგომა გულისხმობს კურიკულუმისთვის ახალი მასალის, თემებისა და პერსპექტივების დამატებას მისი სტრუქტურის შეუცვლელად. ტრანსფორმაციული მიდგომის დროს კურიკულუმის სტრუქტურა, მიზნები და ხასიათი იცვლება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურულ მახასიათებლებზე აქცენტების შემოტანით.

სოციალური აქტიურობის მიდგომა მოიცავს ტრანსფორმაციის მიდგომის ყველა ელემენტს და მოწოდებულია მოსწავლეებს მისცეს სულ უფრო მეტი საშუალება გამოავლინოს მისთვის (მისი ეთნიკური ჯგუფისთვის) მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები, განმარტოს მისი ჯგუფის ღირებულებები, მიიღოს გონივრული გადაწყვეტილებები, და იმოქმედოს მათ განსახორციელებლად. ეს მიდგომა მიზნად ისახავს მოსწავლეების გააქტიურებას საზოგადოებრივ ასპარეზზე, არსებული სტერეოტიპებისა და სოციალური კლიშეების მიმართ მათგან კრიტიკული დამოკიდებულების გაზრდას და მათ ფორმირებას მომავალი პოზიტიური ცვლილებების „აგენტებად“ (განმახორციელებლებად). სოციალური ქმედების წახალისება მაშინ არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეები რეალურად იმუშავებენ სოციალურ საკითხებზე. მოსწავლეთა ჩართულობის მრავალი ფორმა არსებობს: წერილის მიწერა, საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოებაში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება და სხვ. მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს ადგილობრივი მოსწავლეების ისეთი ქმედება ან ისეთი რამის თქმა, რაც ეწინააღმდეგება მათ შეხედუ-



სქემა 5. კურიკულუმის მულტიკულტურული რეფორმის მიდგომები

ლებებს. მან უნდა აჩვენოს საზოგადოების საჭიროებების შესაბამისი კონსტრუქციული ქმედების გზები.

ძირითად ჯგუფზე ორიენტირებულ კურიკულუმს მრავალი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, როგორც ძირითადი ჯგუფის ისე უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის. ასეთი კურიკულუმი აძლიერებს ცრუ წარმოდგენებს/ დამოკიდებულებებს ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეების უპირატესო-

ბაზე და არ ასახავს უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეების კულტურებს. მრავალი გარემოება აფერხებს მულტიკულტურული კურიკულუმის ინსტიტუციონალიზაციას სკოლებში. ამ ფაქტორთაგან აღსანიშნავია იდეოლოგიური წინააღმდეგობები, ეთნიკური ჯგუფების შესახებ ცოდნის დეფიციტი მასწავლებელთა მხრიდან, მათი მიჯაჭვულობა სახელმძღვანელოებზე და ა.შ. ამის მიუხედავად, ბოლო წლებში სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ეთნიკური შინაარსის კურიკულუმების ინსტიტუციონალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, რადგან კურიკულუმების ტრანსფორმაცია, მათი სრულყოფის მიზნით, დაუსრულებელი პროცესია.


მრავალი გარემოება აფერხებს მულტიკულტურული კურიკულუმის ინსტიტუციონალიზაციას სკოლებში. ამ ფაქტორთაგან აღსანიშნავია იდეოლოგიური წინააღმდეგობები, ეთნიკური ჯგუფების შესახებ ცოდნის დეფიციტი მასწავლებელთა მხრიდან, მათი მიჯაჭვულობა სახელმძღვანელოებზე და ა.შ. ამის მიუხედავად, ბოლო წლებში, სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ეთნიკური შინაარსის კურიკულუმების ინსტიტუციონალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, რადგან კურიკულუმების ტრანსფორმაცია, მათი სრულყოფის მიზნით, დაუსრულებელი პროცესია.

ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები

ტრანსფორმაციული კურიკულუმის მთავარი მიზანია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, იზრუნონ და იმოქმედონ ისეთი დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად და ხელშესაწყობად, რომელშიც ყველა ჯგუფი შეძლებს კულტურული დემოკრატიითა და კულტურული უფლებამოსილებით სარგებლობას. ცოდნა, ზრუნვა და მოქმედება, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ცნებებია³⁸. სწორედ მათი ურთიერთკავ-

38. ცოდნა, ზრუნვა და მოქმედება პედაგოგიურ ლიტერატურაში სამი H-ის სახელითაც არის ცნობილი ინგლისური სიტყვების Head, Heart, Hand-ის მიხედვით და შეიძლება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ.

შირით შეძლებენ მასწავლებლები გლობალური საზოგადოებისთვის მოსწავლეთა მომზადებას (იხ. სქემა 6).




სქემა 6. ცოდნის, ზრუნვისა და ქმედების ურთიერთდამოკიდებულება

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის უფსკრულის გაღრმავების მუდმივი საფრთხე მომავალი მოქალაქეებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას სძენს ინტერკულტურულ წიგნიერებას და კროსკულტურულ უნარებს.

ცოდნის შექმნის პროცესი და შედეგი ასახავს მის შემქმნელ ისტორიკოსთა, სოციალური მეცნიერებების მკვლევართა და განათლების მუშაკთა ბიოგრაფიას, კულტურას, პერსპექტივებს და ფასეულობებს. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თვითონ როგორ შექმნან ცოდნა და იცოდნენ, როგორ მოქმედებს მათი ფასეულობები, პერსპექტივა და ბიოგრაფია მათ მიერვე შექმნილ ცოდნაზე.

ბენკსი ცოდნის ხუთ ტიპს ასახელებს: (1) პერსონალური/კულტურული ცოდნა; (2) პოპულარული ცოდნა; (3) ძირითადი აკადემიური ცოდნა; (4) ტრანსფორმაციული აკადემიური ცოდნა; და (5) პედაგოგიური ცოდნა. ცოდნის ამ ხუთ კატეგორიას შორის კავშირი ინტერაქტიურია და არა სტატიკური (იხ. სქემა 7).



სქემა 7. ცოდნის ტიპები და მათი ურთიერთკავშირი

ტრანსფორმაციული სამოქალაქო განათლება და განათლების რეფორმა იმას ემსახურება, რომ მოსწავლეებმა ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები შეიძინონ, რომელიც მოქალაქეებისთვის არის საჭირო, რათა მათ თავიანთი საზოგადოება და მსოფლიო უფრო სამართლიანი და ადამიანური გახადონ. ისინი შეძლებენ იმგვარ მოქმედებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურ სამართლიანობას და ადამიანთა უფლებების დაცვას ყველა დონეზე – ადგილობრივ საზოგადოებაში, ქვეყანაში, რეგიონში და მთელ მსოფლიოში.

გთავაზობთ ცოდნის იმ სახეებს, რომელიც წარმატებულ მულტიკულტურულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

1. ინტერკულტურული განათლების ძირითადი პარადიგმების ცოდნა;
2. ინტერკულტურული განათლების ძირითადი კონცეფციების ცოდნა;
3. ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ისტორიისა და კულტურის ცოდნა;
4. ცოდნა, თუ როგორ უნდა მოარგოს კურიკულუმი და სწავლება განსხვავებული კულტურული, ეთნიკური, ლინგვისტური და სოციალური ჯგუფის მოსწავლეთა უნიკალურ მოთხოვნებს.

ცოდნის შექმნა მნიშვნელოვანია ინტერკულტურულ განათლებაში, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების შემუშავება, რაც მოსწავლეებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის მათეული ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს.

როგორც წესი, ადამიანები უფრო მნიშვნელოვან იდეებს იმახსოვრებენ, ვიდრე ფაქტობრივ დეტალებს. ეს მათ არა მხოლოდ ხანგრძლივ დამახსოვრებაში ეხმარება, არამედ მოვლენისა თუ ფენომენის შესახებ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის, უადვილებს კატეგორიზაციას, დაკვირვებათა კლასიფიკაციას და ცოდნის ერთი სიტუაციიდან მეორეში ტრანსფერს. ისეთ მნიშვნელოვან იდეებს, რომელსაც ვიმახსოვრებთ და რომელიც ცოდნის გაგებასა და ტრანსფერში გვეხმარება, ბენკსი კონცეფციებსა და განზოგადებას უწოდებს. სწავლებისადმი ამგვარი კონცეპტუალური მიდგომისას კურიკულუმი, ისევე როგორც თემები და გაკვეთილები ორგანიზებულია სხვადასხვა დისციპლინის საკვანძო კონცეფციებისა და განზოგადებების ირგვლივ. ეს მოსწავლეებს ეხმარება დიდი მოცულობის მონაცემთა/ინფორმაციის ორგანიზებასა და სინთეზში და საგნის, საკითხის არსის წვდომაში, რასაც ჯერომ ბრუნერი „სტრუქტურას“ უწოდებს თავის კლასიკად ქცეულ წიგნში „განათლების პროცესი“.³⁹

ინტერკულტურული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია კურიკულუმის გარდაქმნა ისე, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, როგორ იქმნება ცოდნა და რა გავლენას ახდენს ამ პროცესზე მისი შემქმნელების პიროვნული, სოციალური, კულტურული თუ გენდერული გამოცდილება.

მულტიკულტურულ ორიენტირებზე საუბრისას ხაზგასასმელია ინტერკულტურული განათლების ძირითადი კომპონენტები. უნდა განისაზღვროს ის ძირითადი ნიშნულები, რომლის გამოყენებაც განათლების სფეროს მუშაკს შეუძლია, რათა განსაზღვროს, რა დოზით არის სკოლა მულტიკულტურული და რა ნაბიჯებია გადასადგმელი გამოვლენილ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად.

39. Jerome Bruner, *The Process of Education*. 2003, Harvard University Press. ქვეთავი მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

მულტიკულტურული სკოლის ორიენტირები მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ინტერკულტურული განათლების პოლიტიკა
- სკოლის პერსონალის დამოკიდებულება
- ტრანსფორმაციული კურიკულუმი
- სწავლების სტრატეგიები
- სკოლის პერსონალის მრავალფეროვნება
- მშობლების მონაწილეობა
- სასწავლო მასალები
- მუდმივი მონიტორინგი

ინტერკულტურალიზმის საკითხების ინტეგრაცია საგნობრივ პროგრამებში⁴⁰

ინტერკულტურული შინაარსის ინტეგრაცია სხვადასხვა დისციპლინებში მოსწავლეს სწავლის უფრო თანმიმდევრულ და მდიდარ გამოცდილებას სთავაზობს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეებს უფრო ადვილად ჩამოუყალიბდებათ შესაბამისი დამოკიდებულებები და ფასეულობები თუკი ინტერკულტურული განათლება მოსწავლეებს ერთჯერადად და ფრაგმენტულად კი არ მიეწოდებათ, არამედ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი შემადგენელი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაცია მრავალი გზით შეიძლება მოხდეს, თემატური მიდგომა უფრო სასარგებლოდ ჩავთვალეთ. ინტერკულტურული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ინტეგრაციისათვის ინტერკულტურული განათლების შინაარსი ხუთი ძირითადი თემის კონტექსტში წარმოვადგინეთ. ეს თემები ხშირად ურთიერთგანმაპირობებელი და ურთიერთგამფარავია:

- იდენტობა და მიკუთვნებულობა
- მსგავსება და განსხვავება
- ადამიანის უფლებები და პასუხისმგებლობები
- დისკრიმინაცია და თანასწორობა
- კონფლიქტი და კონფლიქტის გადაჭრა

40. ქვეთავი მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

ეს შინაარსი რელევანტურია ყველა მოსწავლისათვის მათი კულტურული წარმომავლობის მიუხედავად. მისი მიწოდება განსხვავებული იქნება საკლასო საზოგადოების, მოსწავლეთა ასაკისა და საგნის მიხედვით.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლება-სწავლას საფუძვლად უდევს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობა ძირითადად დეკლარაციულად და არასისტემურად არის წარმოდგენილი. ესგ-ს ეს ნაკლოვანება, ცხადია, ავტომატურად ვრცელდება ნებისმიერი საგნის სახელმძღვანელოზე, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზეა აგებული. ნაკლოვანების გარკვეულწილად აღმოფხვრა, მრავალფეროვან გარემოში სწავლების სტრატეგიების ეფექტური შერჩევა, უმეტესწილად, მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. სწორედ ამ მიზნით, ყოველი თემის ბოლოს საჭიროდ ჩავთვალეთ სანიმუშო აქტივობების შეთავაზება.

თავი 5

ინტერკულტურული განათლების მეთოდოლოგია

ამ თავში მიმოვიხილავთ იმ მეთოდებს, რომლებიც სპეციფიკურია ინტერკულტურული განათლებისთვის.

5.1. იდენტობა და მიკუთვნებულობა⁴¹

ინტერკულტურული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია იმ სამყაროს მდიდარი მრავალფეროვნების გაცნობა, რომელშიც მოსწავლეებს ცხოვრება და მუშაობა მოუწევთ მომავალში.

იმ კონცეფციების გაცნობა, რასაც ისტორიულად და ამჟამად ემყარება ეროვნული კულტურა მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეებისათვის იდენტობის გრძნობის განვითარების თვალსაზრისით.

საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა იდენტობის ფორმირებისას ასევე მნიშვნელოვანი იქნება დასავლურ და მსოფლიო მრავალფეროვან კულტურასთან კავშირების გაცნობიერება. ეს ცოდნა დაეხმარება მათ პერსონალურ და სოციალურ განვითარებაში და ხელს შეუწყობს საქართველოს და გლობალური სამყაროს მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში.

„მე“-ს დადებითი განცდის განვითარება ზოგადად განათლების და, მათ შორის, ინტერკულტურული განათლების ღერძია. უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინირებულ წევრებს ან მათ, ვისი კულტურა და ცხოვრების წესი არანორმალურად და არატიპურად არის მიჩნეული, შესაძლოა დაბალი თვითშეფასების ან საკუთარი კულტურული და ფიზიკური მემკვიდრეობის უარყოფის საფრთხე დაემუქროთ.

უმრავლესობათა ჯგუფის წევრებისთვისაც არსებობს საფრთხე – მათი თვითშეფასება შესაძლოა მათი კულტურის აღმატებულობის განცდას მიეზღოს.

41. ქვეთავი 5.1. მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

მოზარდებში თვითშეფასება მათი ფიზიკური და კულტურული ატრიბუტებისა (მშობლიური კულტურა, კანის ფერი და ა.შ.) და სხვების ატრიბუტების თანაბარ ფასეულობად გაცნობიერების გზით ვითარდება. ეს დადებითი განცდა „მე“-ს, როგორც ინდივიდის, როგორც კულტურული ჯგუფისა და როგორც მულტიკულტურული საზოგადოების წევრის ინტერკულტურული განათლების გზით კიდევ უფრო მყარდება.

გთავაზობთ თემასთან „იდენტობა და მიკუთვნებულობა“ დაკავშირებულ საორიენტაციო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს:

იდენტობა და მიკუთვნებულობა
უნარები • დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის; • ჯგუფების სტერეოტიპული წარმოდგენების კრიტიკული ანალიზის; • განსხვავებული მოსაზრებებისა და პერსპექტივების შედარება-შეპირისპირების; • განსხვავებულ ადამიანებთან დიალოგის წარმართვისა და თანაზიარი მოსმენის.
ღირებულებები და დამოკიდებულებები • თვითპატივისცემა: საკუთარი ჯგუფური და ინდივიდუალური იდენტობის დაფასება; • კულტურებისა და ტრადიციების სიმდიდრის აღიარება და დაფასება; • დემოკრატიული პრინციპების ერთგულება, რომელიც იზიარებს ყველას თვითგამოხატვისა და პატივისცემის უფლებას და ამ უფლებების დაცვისა და წახალისების პასუხისმგებლობის აღიარება; • რწმენა, რომ ადამიანს შესწევს ცვლილების ძალა.
ცოდნა • ეროვნული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა ჯგუფების წვლილის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში; • სხვა კულტურების შესახებ; • ცოდნა ეროვნული კულტურის წვლილის შესახებ სხვა (მსოფლიო) კულტურებში; • იდენტობის გამოხატვის მრავალფეროვანი გზების შესახებ; • იდენტობისა და მიკუთვნებულობის ურთიერთკავშირის შესახებ; • წინასწარი შეხედულების, რასიზმისა და სტერეოტიპების გავლენის შესახებ.

გთავაზობთ თემასთან „იდენტობა და მიკუთვნებულობა“ დაკავშირებულ სანიმუშო აქტივობებს:

აქტივობა №1

მასწავლებელი წინასწარ ავალებს მოსწავლეს მოიტანონ რამდენიმე საკუთარი ფოტო. გაკვეთილზე მათ სთხოვს გადახედონ ფოტოებს, მოგონებებს და დაწერონ თხზულება სათაურით „მე“: მოსწავლეები სრულიად თავისუფლები არიან თხზულების შინაარსის, სტრუქტურის, ფორმის, მოცულობის არჩევაში.

მასწავლებელი წინასწარ უთანხმდება მოსწავლეებს, რომ თხზულების გაზიარება-არგაზიარება კლასისთვის მათი პირადი გადაწყვეტილებაა. ისინი ასევე ერთპიროვნულად წყვეტენ აჩვენონ თუ არა ნამუშევარი მასწავლებელს.

მასწავლებელი სთხოვს ნამუშევრის შენახვას ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში. ასევე სთხოვს პერიოდულად (მაგ., წელიწადში ერთხელ) გადახედონ ნამუშევარს და დააკვირდნენ „მე“-ში მომხდარ ცვლილებებს.

ეს აქტივობა შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტად განხორციელდეს:

- მოსწავლეები საკუთარ დახასიათებას წერენ, შემდეგ უკითხავენ მეწყვილეს და ერთმანეთს უკეთ ეცნობიან.
- მოსწავლეები ანონიმურად წერენ საკუთარ დახასიათებას და ერთ ყუთში ათავსებენ. შემდეგ მორიგეობით იღებენ ყუთიდან რომელიმე დახასიათებას, უკითხავენ კლასს და ცდილობენ გამოიცნონ, ვისზეა საუბარი.
- მოსწავლეები ირჩევენ ერთ-ერთ თანაკლასელს, წერენ მის დახასიათებას და ერთ ყუთში ათავსებენ. შემდეგ მორიგეობით იღებენ ყუთიდან რომელიმე დახასიათებას, უკითხავენ კლასს და ცდილობენ გამოიცნონ, ვისზეა საუბარი.

აქტივობა №2

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ ის ადამიანები და მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. სთხოვს განმარტონ ამ გავლენის არსი.

შემდეგ აცნობს ცნება „იდენტობის“ განსაზღვრებას. სიტყვა „იდენტობა“ სათავეს იღებს ლათინური ფრაზიდან – „Idem et Idem“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ერთსა და იგივეს“. იდენტობა არის

ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, სქესი, პროფესია და ა. შ.). სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და ჯგუფურ იდენტობებს. იდენტობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, გადაცემის პროცესში.⁴²

სლაიდზე მოცემული (ან დაფაზე დახაზული) სქემის საშუალებით უზიარებს პერსონალური იდენტობის განზომილებებს (*იხ. სქემა №8*)⁴³.

პერსონალური იდენტობის განზომილებების მოდელი⁴⁴ (Arredondo & Glauner, 1992) გვთავაზობს პერსონალური იდენტობის კონტექსტუალიზებულ და ჰოლისტურ ხედვას. მოდელი მრავალმხრივი და უნივერსალურია, რის გამოც ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდენტობის მრავალგანზომილებიანი არსის აღსაქმელად. მოდელი მოიცავს სამ პირველად განზომილებას.

„ა“ **განზომილება** მოიცავს იდენტობის იმ ელემენტებს, რომლებიც მყარი და უცვლელია მთელი ცხოვრების მანძილზე. ის მოიცავს ისეთ ცვლადებსაც, როგორიცაა ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, რასა, სოციალური მდგომარეობა და სექსუალური ორიენტაცია. თითოეული წარმოადგენს იდენტობის იმ მახასიათებელს, რომელიც ინდივიდის მიერ არ არის არჩეული. ამ განზომილების ყველა ელემენტი შეიძლება სხვათა პოზიტიურ ან ნეგატიურ რეაქციას იწვევდეს.


„ბ“ **განზომილება** ჩვენი თანდაყოლილი მახასიათებლებისა (ან განზომილება) და გარემომცველი რეალობის (გ განზომილება) ურთიერთქმედების შედეგია. ის მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო გამოცდილება. ასეთი მახასიათებლები ხშირად განიხილება, როგორც ცვალებადი.

42. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9982>

43. წყარო: Arredondo & Glauner 1992 Empowerment Workshops, Inc.

44. Arredondo, P., & Glauner, T. (1992). Personal dimensions of identity model. Boston: Empowerment Workshops.

პერსონალური იდენტობის განზომილებები



სქემა 8: პერსონალური იდენტობის განზომილებები

ბადი და ინდივიდის მიერ არჩეული იმდენად, რამდენადაც ასეთი არჩევანის გაკეთების თავისუფლება აქვს მას მინიჭებული.

„გ“ განზომილება წარმოადგენს იმ კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის იდენტობაზე. ის მოიცავს ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციოკულტურულ და ეკონომიკურ რეალობებს, რომელშიც ინდივიდი დაიბადა და რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური იყო ცხოვრების/ინდივიდის ფორმირების ადრეულ ეტაპზე. გარდა ამისა, ეს განზომილება წარმოადგენს ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ინდივიდმა გამოსცადა თავის ოჯახის, თემის, ქვეყნის და მსოფლიო კონტექსტში. ამ კონტექსტური ფაქტორების

მნიშვნელობის ხაზგასმა ხელს უწყობს იმ როლის გათვალისწინებას, რასაც გარემო ასრულებს ინდივიდისა და ჯგუფის იდენტობის ფორმირებაში.

დასარიგებელი ფურცელი „ჩემი იდენტობა“:

ინსტრუქცია: მიმოიხილეთ პერსონალური იდენტობის თითოეული განზომილება (ა, ბ, და გ) და შეარჩიეთ იდენტობის ის ასპექტები, რომლებიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. თითოეულ განზომილებაში შეარჩიეთ ერთი (ან მეტი) ერთეული, რომელიც, თქვენი აზრით, თქვენს ცხოვრებას აზრს და მიზანს სძენს და დაწერეთ, რატომ არის ის თქვენთვის მნიშვნელოვანი.

„ა“ განზომილება: _____

„ბ“ განზომილება: _____

„გ“ განზომილება: _____

5.2. მსგავსება და განსხვავება⁴⁵

განათლების ნებისმიერი სისტემა აღიარებს ინდივიდის უნიკალურობას მისი პერსონალური ისტორიის, გამოცდილების, სურვილების, ოცნებებისა და სხვათა თვალსაზრისით. ჩვენს უნიკალურობას გარკვეულწილად განაპირობებს ის, რომ ვართ კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრები, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიზიარებთ ჯგუფის სხვა წევრთა გარკვეულ გამოცდილებას, სურვილებსა და ოცნებებს. განსხვავებული კულტურის ჯგუფებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ. სამართლიანია ისეთი საზოგადოება, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთო იდენტობებს.

პიროვნება მარტივად, მისი ცხოვრების მხოლოდ ერთი ასპექტით როდი განისაზღვრება. ადამიანის იდენტობა რთული და მრავალმრიანია. ერთსა და იმავე დროს ადამიანი შეიძლება იყოს დედა, და

45. ქვეთავი 5.2. მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

რომელიმე სპორტული გუნდის გულშემატიკვარი, მსახიობი და ა.შ. როგორც წესი, ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს სხვა ჯგუფის წევრებთან და, შესაბამისად, ეს თანაზიარობის განცდას გვიჩენს.

მოზარდების მიერ იმის გააზრება, რომ ადამიანთა მოდგმა მრავალფეროვნებით ხასიათდება და არ არსებობს ცხოვრების ერთადერთი „სწორი“ გზა, მხოლოდ მათ ირგვლივ არსებული სამყაროს, მასში არსებული ხატებისა და კულტურული არტეფაქტების მრავალფეროვანი ნაზავის გაცნობით შეიძლება მოხდეს. მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ კულტურათა ურთიერთქმედება საყოველთაო სიკეთის მომტანია კაცობრიობის განვითარების თვალსაზრისით. ეს ცოდნა ასაკთან ერთად თანდათან გაღრმავდება და განუვითარებს მათ კრიტიკულ უნარს, რომელიც საშუალებას მისცემს გამოიცნონ მიკერძოება და სტერეოტიპი სხვადასხვა რესურსში და გააცნობიერონ მისი გავლენა დამოკიდებულებისა და ქცევის ჩამოყალიბებაზე.

გთავაზობთ თემასთან „მსგავსება და განსხვავება“ დაკავშირებულ საორიენტაციო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს:

მსგავსება და განსხვავება
უნარები • განსხვავებული მოსაზრებებისა და პერსპექტივების შედარება-შეპირისპირების; • დიალოგში ჩართვის და ურთიერთგაგების ძიების; • დიალოგზე, რეფლექსიასა და ანალიზზე დაფუძნებული ცვლილები-სადმი ლიაობის; • განსხვავებულ ადამიანებთან დიალოგის წარმართვისა და თანაზიარი მოსმენის; • ჯგუფების სტერეოტიპული წარმოდგენის კრიტიკული ანალიზის; • განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად მშვიდობიანი მოლაპარაკების.
ღირებულებები და დამოკიდებულებები • თვითპატივისცემა და სხვების პატივისცემა; • მრავალფეროვნების პატივისცემა – განსხვავებული შეხედულებებისა და კულტურული თვითგამოხატვის ფასეულობის აღიარება; • დიალოგისადმი ლიაობა და ურთიერთგაგების ძიება; • ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების დაფასება; • რწმენა, რომ ინდივიდს შესწევს ცვლილების ძალა.

ცოდნა

- მრავალფეროვან საზოგადოებებში დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების სირთულეებისა და შესაძლებლობების შესახებ;
- იმის შესახებ, რომ კულტურა არ განსაზღვრავს ინდივიდს;
- რასიზმისა და მისი ფუნქციონირების შესახებ როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეებზე;
- ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

გთავაზობთ თემასთან „მსგავსება და განსხვავება“ დაკავშირებულ სანიმუშო აქტივობებს:

აქტივობა №1⁴⁶

სათაური: ვაშლები

კლასი: დაწყებითი და საბაზო საფეხური

საგნებთან კავშირი: სამოქალაქო განათლება, ისტორია, გეოგრაფია (ან როგორც თემის `მსგავსება და განსხვავება~ ნაწილი)

საჭირო დრო: 35 წუთი.

მოკლე შინაარსი: ყოველი ჩვენგანის ცხოვრების ხარისხისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ მსგავსებათა და განსხვავებათა პატივისცემისა და მიღების/გაზიარების უნარს. ხშირად ადამიანები თავს უფრო დაცულად გრძნობენ მსგავსების პირობებში, ემინიათ იყვნენ განსხვავებულები/გამორჩეულები ან დაუახლოვდნენ იმას, ვინც განსხვავებულია. მოსწავლეები შეძლებენ ინდივიდუალურ მსგავსებათა და განსხვავებათა გაგებას და პატივისცემას.

მიზანი:

- გაიგებენ, რომ ადამიანები გარეგნულად შესაძლოა განსხვავდებიან, თუმცა შინაგანად ერთმანეთს ჰგვანან;
- გაიგებენ, რომ ადამიანთა კულტურული განსხვავებები საზოგადოებისათვის ღირებულია;
- ამგვარი განსხვავებები ჩვენს ცხოვრებას ხარისხიანს, საინტერესოსა და ფასეულს ხდის;
- გააცნობიერებენ, რომ მიუხედავად განსხვავებულობისა, ადამიანებს მრავალი საერთო აქვთ.

46. http://www.uni.edu/gai/sites/default/files/lesson_plans/k_2/good_apples.pdf

მასალები:

- თითო ვაშლი ყოველი მოსწავლისათვის (ასევე დამატებით რამდენიმე ვაშლი). ვაშლები უნდა იყოს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის. ასევე კარგი იქნება თუ შევარჩევთ განმასხვავებელი თავისებურებების მქონე ვაშლებს – ფოთლები, ნაოჭები და ხაზები, ლაქები და დაჟეჟილი ადგილები.
- მჭრელი დანა;
- თაბახის დიდ ფურცელზე ან დაფაზე დახატული დიდი ვაშლი წარწერით „კარგი ვაშლი“;
- მცირე ზომის ქაღალდის (თუ შესაძლოა სხვადასხვა ფერის ან თავად გააფერადონ) ვარსკვლავი ყოველი მოსწავლისათვის;
- მცირე ზომის ქაღალდის ვაშლი (თუ შესაძლოა სხვადასხვა ფერის ან თავად გააფერადონ) ყოველი მოსწავლისათვის.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. უთხარით მოსწავლეებს, რომ გსურთ დაადგინოთ ადამიანთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.
2. დაალაგეთ ვაშლები მოსწავლეების წინ მაგიდაზე და აარჩევინეთ ყოველ მათგანს თითო ვაშლი.
3. სთხოვეთ კარგად დააკვირდნენ და მოძებნონ მისი განსაკუთრებული (სპეციფიკური) თავისებურება.
4. სთხოვეთ, შექმნან ამბავი საკუთარ ვაშლზე და უამბონ მეგობარს. შესაძლოა დავუთმოთ დრო მათ მიერ შეთხზული ამბების გაზიარებას მთელი კლასისთვის.
5. უთხარით, რომ ვაშლები მაგიდაზე დააბრუნონ. ვაშლები აურიეთ და სთხოვეთ მოსწავლეებს „საკუთარი“ ვაშლის მოძებნა.
6. როდესაც ადგილებზე დაბრუნდებიან ჰკითხეთ, როგორ გამოიცნეს საკუთარი ვაშლი (ისინი აუცილებლად ისაუბრებენ ფერზე, ფორმაზე, ზომაზე და განსაკუთრებულ თავისებურებებზე).
7. ჰკითხეთ რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ადამიანებთან. სთხოვეთ შექმნან ადამიანთა განსხვავებული თავისებურებების სია. იმსჯელეთ განსხვავებულობის მნიშვნელობაზე.
8. სთხოვეთ ადამიანთა საერთო ნიშნების ჩამონათვალის შექმნა (შესაძლოა ასეთი სიები მცირე ჯგუფებში ან წყვილებში შეიქმნას და შემდეგ ერთმანეთს გაუზიარონ).

გაკვეთილის შეჯამება: შეაჯამეთ ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებისა და მსგავსების მნიშვნელობა. უთხარით, რომ ადამი-

ანებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი საერთო ნიშანია მათში არსებული ვარსკვლავი – რაღაც განსაკუთრებული, რაც შიგნიდან ასხივებს და მათ (და სხვებსაც) ყველაზე მეტად მოსწონთ საკუთარ თავში). სწორედ ასევე ყოველ ვაშლში დამალულია ვარსკვლავი. გაჭირვით ყოველი ვაშლი ნახევრებად, მაგრამ არა ჩვეული წესით სიგრძეზე, არამედ სიგანეზე. დაანახეთ თითოეულ ბავშვს ვარსკვლავი თავიანთი ვაშლის შიგნით. დაურიგეთ ქაღალდის ვაშლები და ვარსკვლავები. სთხოვეთ ვარსკვლავზე დახატონ საკუთარი თავი და დააწებონ ვაშლის ცენტრში. სთხოვეთ ვარსკვლავზე დაწერონ 5 თავისებურება, რაც მათ განსაკუთრებულს ხდის და ვარსკვლავით ბრწყინვის საშუალებას აძლევს. სთხოვეთ თავიანთი ვაშლები დააწებონ თაბახის დიდ ფურცელზე დახატულ დიდ ვაშლზე. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ვარსკვლავის, საკუთარი ღირსებებისა და ინდივიდუალურობის შესახებ.

მაფორმირებელი შეფასება: დაკვირვების ფურცელი, რომელზეც ვინიშნავთ მოსწავლეების ჩართულობას.

შეფასება: დასრულებული თაბახის ფურცელი „კარგი ვაშლი“, რომლითაც ვამოწმებთ, რამდენად კარგად გაიაზრეს პრობლემა.

აქტივობის ზოგადი და სპეციფიკური შედეგები:

საუბარი და მოსმენა, კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხი, მითითებების შესრულება, ინფორმაციის თავმოყრა, გაგება, ცოდნის დემონსტრირება.

აქტივობა №2⁴⁷

აქტივობის მოკლე აღწერა: სხვა კულტურების სწავლებისას ადვილია სხვა ადამიანებისა და ადგილების განსხვავებულად წარმოდგენა. მაგალითად, თბილისის სკოლების მოსწავლეებს შესაძლოა მიკერძოებული შეხედულება ჰქონდეთ სხვა (არათბილისის) ადგილების მოსწავლეების შესახებ, რასაც გარკვეულწილად მედიაც უწყობს ხოლმე ხელს. თუ გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეებს ვთხოვთ გონებრივი იერიშით დაახასიათონ „ხევსურეთი“, მათი მოსაზრებები თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მედიის გავლენის კვალს: ხევ-

47. Education in Multicultural Environment – Teaching/Learning Support Activities (On the Example of Georgia). Intercultural Education, Routledge. 2016

სურეთი არის ადგილი, სადაც მთებია, საქონელს უვლიან, ლამაზი, მაგრამ მკაცრი ბუნებაა, ორთაბრძოლა უყვართ, სისხლის ალების ტრადიცია ჰქონდათ და ა.შ.

აქტივობებში ე.წ. „საერთო მოთხოვნილებების“ მიდგომას ვიყენებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს საერთო მოთხოვნილებები აქვთ და მათ დაკმაყოფილებას სხვადასხვაგვარად ახერხებენ საცხოვრებელი ადგილიდან და საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე. გარემო, რომელშიც ხევსურები ცხოვრობენ, მათი ისტორია, კულტურა, შეხედულებები განსაზღვრავს ხევსურების მიერ საკვებისა და საცხოვრებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების წესს. განსხვავებების გაცნობამდე აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ადამიანთა გამოცდილების მსგავსებას.

გაკვეთილზე განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ჯგუფებიდან და აქტივობები თანამშრომლობითი სწავლების ხელშეწყობას ემსახურება – არსებულ ცოდნას მოსწავლეები ახლისა და განსხვავებულის გასაცნობად იყენებენ. ჯგუფის წევრები დავალების შესრულების პროცესში ერთმანეთს ეხმარებიან და ცოდნას ქმნიან ან იღრმავებენ.

საფეხური №1 პოსტერი

მიზანი: მოსწავლეები შეძლებისდაგვარად მეტ ინფორმაციას აგროვებენ ხევსურეთის სოფელ ხახაბოში მცხოვრები ადამიანების შესახებ პოსტერის „წაკითხვის“ საფუძველზე (ფერადი ფოტოებით შედგენილ პოსტერზე ასახულია ხახაბოში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება და იქაური ბუნება. პოსტერის საშუალებით ისინი ხახაბოს ცხოვრების მაგალითზე შეძლებენ საწყისი მოსაზრებების ჩამოყალიბებას ხევსურთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

რესურსები: ხახაბოს ცხოვრების ამსახველი პოსტერი (რომელსაც მასწავლებელი წინასწარ ამზადებს), ფლიფჩატი და მარკერები. მოსწავლეები სამად ჯგუფებიდან. თითოეული იწერს ჯგუფის წევრების მოსაზრებებს, რომელსაც შემდგომ სხვა ჯგუფს გაუზიარებენ.

პირველი ჯგუფის მუშაობა გარემოსადმი მიმართული – ისინი აკვირდებიან პოსტერს და იწერენ ხახაბოს გარემოსთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

საორიენტაციო კითხვები: სად მდებარეობს? რა ცხოველები ცხოვრობენ? რა მცენარეები ხარობს? როგორი კლიმატია?

მეორე ჯგუფის მუშაობა გავრცელებული საქმიანობისადმიამი მართული. პოსტერზე დაკვირვებით ისინი იწერენ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

საორიენტაციო კითხვები: რას საქმიანობენ ხახაბოს მკვიდრნი? როგორ ირჩენენ თავს?

მესამე ჯგუფის ცხოვრების წესს სწავლობს და პოსტერზე დაკვირვებით ცხოვრების წესთან დაკავშირებულ მოსაზრებებს იწერენ.

საორიენტაციო კითხვები: სად ცხოვრობენ ადამიანები? რითი ერთობიან? რა დღესასწაულები აქვთ?

პროცედურა: აქტივობაში გამოყენებული თანამშრომლობითი სწავლის მეთოდი „ჯიგსოუ“ მოსწავლეებს ეხმარება თავიანთი „წილი“ ცოდნა ერთ მთლიან სურათად გააერთიანონ. ყოველი ჯგუფი ირჩევს წარმომადგენელს, რომელიც ჯგუფის წევრთა შეხედულებებს აცნობს სხვა ჯგუფებს. სამივე ჯგუფის მუშაობის შედეგად ამგვარად თავმოყრილი მოსაზრებები ხახაბოში ცხოვრების შესახებ ინფორმაციას აცნობს მთელ კლასს. ამას გარდა, მეთოდი მოსწავლეთა ჩართულობას უზრუნველყოფს, ვერც ერთი მათგანი ვერ დარჩება სხვების იმედად, ყველას თავისი წვლილი აქვს შესატანი საერთო ცოდნის შექმნაში.

საფეხური №2 რუკაზე მუშაობა

მიზანი: სოფელ ხახაბოს ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

რესურსები: Google Maps-ი, Google Earth-ი ან მსოფლიოს და საქართველოს რუკები.

პროცედურა: მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და რუკის დახმარებით ეძებენ სოფელ ხახაბოს. აქტივობის გაფართოება შესაძლებელია ხახაბოს მოსაზღვრე სოფლების მოძებნით.

საფეხური №3 უკანასკნელი ხახაბოელი

მიზანი: მოსწავლეები გაიფართოვებენ ცოდნას სოფელ ხახაბოს შესახებ.

რესურსი: არჩილ ქიქოძის ადაპტირებული სტატია „უკანასკნელი ხახაბოელი“, ჟურნ. „მშვენიერი საქართველო“ #2 (8), 2008 (იხ. დანართი №1).

პროცედურა: მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ან ერთად მუშაობენ. მასწავლებელი უკითხავს ა. ქიქოძის ადაპტირებულ სტატიას, მოსწავლეები თავიანთთვის ინიშნავენ საინტერესო დეტალებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეხედონ პოსტერს და პოსტერისა და წაკითხულის საფუძველზე იმსჯელონ სოფლის გარემოს, საქმიანობისა და ცხოვრების წესის შესახებ. სთხოვეთ ყოველ ჯგუფს დაასახელოს ერთი ახალი ინფორმაცია.

მასწავლებელი აცნობს ახალ კონცეფციებს „თვითკმარი“ და „ურთიერთდამოკიდებული“. ეს საკვანძო ცნებებია, რომელთა საშუალებით მოსწავლეები დაინახავენ განსხვავებას საკუთარ ცხოვრებასა და პაატა ხახიაურის ცხოვრებას შორის. თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ნარჩენების პრობლემის გადაჭრა ხახაბოსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. სოფლად, როგორც წესი, ნარჩენებს აჯგუფებენ ხრწნადობისა და უხრწნადობის ნიშნით. ხრწნადი ნარჩენები მიწას უბრუნდება და სასუქის როლს ასრულებს, ხოლო უხრწნადს წვავენ. ქალაქის პირობებში ნარჩენების ასეთი კლასიფიკაცია არ ხდება. ყველანაირი ნარჩენი კონტეინერებში გროვდება, რომელიც შემდგომ სპეციალური მანქანებით ნაგავსაყრელებზე მიაქვთ.

საფეხური №4 როლური თამაში

მიზანი: პაატა ხახიაურის ოჯახის ცხოვრების აღწერის მიზნით მოსწავლეები გაითამაშებენ როლებს.

პროცედურა: წრეში მჯდომ მოსწავლეებს მასწავლებელი სთხოვს დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ, რომ ხახაბოში ცხოვრობენ. ისინი პაატას ოჯახის წევრები არიან. მათ უნდა აღწერონ გონების თვალთ დანახული სცენები. მოსაფიქრებლად გამოყოფილი დროის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ხახაბოს ცხოვრების აღწერას და განსახიერებას. (მაგ., „ეს პაატას მამაა და ფუტკარს უვლის“, „დედა ძროხას წველის“ და ა.შ. საუბართან ერთად მოსწავლეები „ასრულებენ“ აღწერილ მოქმედებას. მასწავლებელმა მშვიდად უნდა მიიღოს ის ფაქტიც, რომ რომელიმე მოსწავლეს შესაძლოა არ სურდეს საქმიანობის დასახელება და შესრულება.

საფეხური №5 გონებრივი რუკა

მიზანი: საკუთარ და პაატას ოჯახის ცხოვრების წესს შორის მსგავსებისა და განსხვავების მოძებნა.

რესურსი: ორმაგი ბუშტისებრი გონებრივი რუკა (ე. წ. ვენის დიაგრამა)

პროცედურა: მასწავლებელი დაფაზე ხატავს ორმაგ ბუშტისებრ რუკას, ერთ-ერთ დიდ წრეში წერს „ჩემი ოჯახი“, ხოლო მეორეში – „პაატას ოჯახი“. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს შუაში მდებარე „საერთო“ წრეებში ის სიტყვები/ფრაზები ჩაწერონ, რომლებიც საერთოა ამ ორი ოჯახისთვის. მთავარ წრეებთან დაკავშირებულ გარე წრეებში კი, ის სიტყვები/ფრაზები, რომელიც ამ ორ ოჯახს ერთმანეთისაგან განასხვავებს. მაგალითად, საერთო წრეებში შესაძლებელია ჩაიწეროს ოჯახის წევრთა ერთნაირი რაოდენობა, მათი სიყვარული/მეგობრობა/ზრუნვა, საოჯახო შრომის დანაწილება, ხოლო განსხვავებად შესაძლებელია მივიჩნიოთ ოჯახის წევრთა საქმიანობა, ურთიერთობისთვის, გართობისთვის გამოყოფილი დრო.

დანართი №1 უკანასკნელი ხახაბოელი

ხახაბო კლდეზე აგებული სოფელია, რომელშიც საღი ნაგებობა აღარაა დარჩენილი, ამიტომ სრულიად მიტოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ერთ-ერთ სახლში უკანასკნელი ხახაბოელი – პაატა ხახიაური ცხოვრობს. აქვე ინახავს ყველის გულებს და მთელ თავის ავლა-დიდებას. ის ოცდაექვსი წლისაა და სამოც სულ საქონელს უვლის. წელიწადში ორჯერ ყველი არდოტში ჩააქვს (ყველაზე მახლობელ სოფელში, რომელსაც სამანქანო გზა უდგება). მისი თევობით ნაგროვები ყველის არდოტში ჩატანა არის ნამდვილი წვალეზა, რადგან გულებს ვირებზე კიდებს და ციცაბო, ვიწრო ბილიკზე მრავალი გზის გაკეთება უწევს, სანამ თავის წლის მოსავალს მთლიანად ჩაიტანს და ბარში მიმავალი სატვირთო მანქანის ძარაზე დააბინავებს. იმავე მანქანას მისთვის ბარიდან ამოაქვს ფქვილი, ნავთი, ასანთი, შაქარი, თამბაქო, ჩაი.... ყველაფერი, რაც მომდევნო ნახევარი წლის მანძილზე დასჭირდება. პაატას ზუსტად აქვს გათვლილი, თუ რამდენ ნავთს წვავს მისი ლამპა წლის განმავლობაში. ხანდახან მას ბარიდან სტუმრობს მამა, რომელიც უკვე მრავალი წელია, დუშეთის რაიონში ცხოვრობს და სხვა ოჯახი ჰყავს. მამა ზოგჯერ რამდენიმე თვეც რჩება და საქონლის მოვლაში ეხმარება. სხვა დროს კი პაატა მარტოა, სულ მარტო.

ყველაზე მძიმე თოვლიანი ზამთარია, როცა გარეთ გამოსვლაც კი ჭირს. ხახაბოს ციცაბო ფერდობები ზვავსაშიშია. პაატა მომიყვა იმას, რაც სხვებისგან უკვე გამეგონა – როდესაც 9 წლის იყო, მათ სახლს ზვავი დაეცა, დედა და და-ძმა დაუხოცა. პაატას გაუმართლა, რადგან ის თოვლის ნაკადმა სახლიანად გამოაგდო, სადაც მეზობლებმა იპოვეს, ოჯახის დანარჩენი წევრები კი ზვავით ჩანგრეულ სახლში დაიღუპნენ. „აი, ეგეთი ტრაგედია იყო“, ზუსტად ამ სიტყვებით მეუბნება პაატა და ცოტა ხანს ჩუმად ვეწევით. მის ჩაბნელებულ სახლში, რომლის ერთადერთ ცელოფანგადაკრულ ფანჯარაში დღისითაც ვერ აღწევს შუქი, მდუმარება ისადგურებს, მდუმარება, რომელიც სახლის პატრონისთვის ასე ჩვეულებრივია. ჩვენს ფეხებთან პაატას კატა დადის, ხან ერთს გველაქუცება, ხანაც მეორეს. კედლებზე ქართული ჟურნალებიდან ამოხეული უცხო ტომის ქალების მაცდური პოსტერებია გაკრული. მონიკა ბელუჩი ვიცანი – ისედაც ლამაზი აქ, ამ კედელზე მთლად გულისშეღონებამდე ლამაზი ჩანს.

მერე პაატა თავის ყოფაზე მიყვება, აქაურ ფათერაკებზე, დათვებთან პირისპირ შეხვედრაზე, თოვლიან ზამთარზე, როდესაც ყველაზე ძნელია მარტოობა. „პოეზიის ნიჭი მაინც მქონდეს, ლექსებს დაეწერდიო“.. მე ვუმხელ, რომ მოთხრობებს ვწერ, რაზეც პაატა ზუსტად ასე მპასუხობს: „მოთხრობების წერას კი ბევრი არაფერი არ უნდა, ლექსების წერაა ძნელიო“. ალბათ მართალიც არის. ციფრული ფოტოაპარატით რამდენიმე სურათს ვუღებ ჩემს მასპინძელს და მის ბინას. როდესაც გადაღებულს ვაჩვენებ, „როგორ გავმნდარვარო“, – მეუბნება. მას თიბვა ჯერ არა აქვს დამთავრებული და ყოველდღე მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა. პაატა ხახიაური იმ დროს ელოდება, როცა მისი საქონელის რიცხვი ასამდე გაიზრდება, მაშინ იმის საშუალებაც ექნება, რომ დამხმარედ მწყემსიც აიყვანოს და შრომაც გაუიოლდება, აღარც ეგეთი მოწყენილობა იქნება... კიდევ ბევრ რამეს ვუამბობთ ერთმანეთს და ბოლოს: „დაღლილი ხარ და ჯობია დაიძინო უკვეო“ – მეუბნება და მეც ვიძინებ უსიზმრო ტკბილი ძილით, პაატას დაგებულ ლოგინზე მძიმე საბნის ქვეშ. ძალიან რომ გავძლიანებოდი, არ დავაგებინებდი თეთრეულს და ჩემს თბილ საძილე ტომარაში დავიძინებდი, მაგრამ ვითაგზედე და უარი ვერ ვთქვი ლოგინში დაძინებაზე – ეტყობა, ბოლომდე მომინდა აქაურობის შეგრძნება.

დილით გამომშვიდობებამდე, რა თქმა უნდა, დავუტოვე ჩემი მისამართიც და ტელეფონიც, რომელზეც თბილისში მოხვედრილი პაატა, რა თქმა უნდა, არ დარეკავს. აი, ეგეთები არიან ხევსურები, სახლში ძნელად შესატყუებლები, მთაში ლაღები და ბარში მორცხვები, ყველაზე მივარდნილი და ყველაზე უპატრონო კუთხის ყველაზე ამაყი შვილები.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს და აქედან უკვე კარგად ნაცნობი ბილიკით ახალი ხახაბოსკენ დავეშვი. ეს ულამაზესი გზაა, რომელზეც მარტო მოვაბიჯებდი და ათას რაღაცას ვფიქრობდი, უფრო ჩემსას, მაგრამ სულ კარგს. გავიარე ახალი ხახაბო, სადაც მხოლოდ ერთი ოჯახი და კიდევ არაჩვეულებრივი და გაუტყნელი ქალი – ქვრივი მარიამ წელაური ცხოვრობს. სახლიდან ორი ბავშვი – დამა გამოვიდა, რომლებმაც ისე მათვალისწიერეს და ისე გამსინჯეს ხელით, თითქოს ციდან ვიყავი ჩამოფრენილი. აქ აღარ გავჩერებულვარ, დავიწროებულ ხეობაში სწრაფად ვიარე, ორიოდ საათში ჩავედი ბახაოს ორწყალთან, სადაც ხახაბოს წყალი ანდაქისას ერთვის და მარცხნივ არდოტისკენ მიედინება.

5.3. ადამიანის უფლებები და პასუხისმგებლობები⁴⁸

ჩვენ ყველანი სხვადასხვა ჯგუფების წევრები ვართ. ამის შედეგია ის, რომ ჯგუფის წევრებთან ერთად ვიზიარებთ გარკვეულ უფლებებსა და ამ უფლებათა დაცვის პასუხისმგებლობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ უფლებათა და პასუხისმგებლობათა პრაქტიკაში განხორციელების კონკრეტული აქტივობების ცოდნა. ცხადია, ადამიანის უფლებები ყველაზე უკეთ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ (1948) და „ბავშვთა უფლებების კონვენციაში“ (1989) აღწერილი. ამ უფლებათა დაცვის პასუხისმგებლობა ყოველ ჩვენგანს აკისრია: „ყველა ადამიანი და საზოგადოების ყოველი ნაწილი, მუდამ ექნებათ რა მხედველობაში წინამდებარე დეკლარაცია, მიისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას

48. ქვეთავი 5.3. მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ეროვნული თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში“ („ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, პრეამბულა). უფლებები არის უნივერსალური – ყოველ ადამიანს შეუძლია გამოყენება და განუყოფელი – ყველა უფლება თანაბარმნიშვნელოვნად არის აღიარებული.

არსებითია იმის გაცნობიერება, რომ უფლებები და პასუხისმგებლობები ერთნაირად მნიშვნელოვანია. თუკი რომელიმე ჯგუფი (უმრავლესობა ან უმცირესობა) მოითხოვს მათი უფლებების დაცვას, თავის მხრივ ამ ჯგუფსაც აქვს სხვა ჯგუფების უფლებების დაცვის პასუხისმგებლობა. ხშირად კონფლიქტის მიზეზი უფლებათა აშკარა დაპირისპირება ხდება ხოლმე. ამგვარი კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრის უნარი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უფლებებისა და პასუხისმგებლობების კონცეფციის ყველას მიმართ თანაბარი ხარისხით გამოყენების უნარზე.

უფლებები ადამიანებს გვაერთიანებს და, შესაბამისად, გთავაზობს თანაზიარობის განვითარების საშუალებას. ის ასევე ქმნის კონტექსტს, რომლის ფარგლებში იმიგრაცია და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გაგება შესაძლებელია კულტურული უპირატესობის იდეის ხელშეწყობის გარეშე.

სწავლების შედეგად მოზარდებს უადვილდებათ სამართლიანისა და უსამართლოს გამიჯვნა და უფლებათა კონცეფციას მრავალპრაქტიკულ სიტუაციაში გამოიყენებენ (სიტყვის უფლება, დისკუსიაში მონაწილეობა, სამართლიანი წილის მიღება და ა.შ.).

ისინი ასევე გააცნობიერებენ, რომ წესების ცოდნა და დაცვა მნიშვნელოვანია და ყოველი ადამიანის ცხოვრებას ბევრად უფრო კომფორტულს ხდის. წესების ნაწილი მოსწავლეებმა დაწყებით საფეხურზე ისწავლეს, თუმცა, სკოლის მომდევნო საფეხურებზე გაიღრმავებენ ცოდნას და გაეცნობიან საერთაშორისო ინსტიტუტების როლს, კანონმდებლობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საკითხებს, უფლებების დაცვის საქმეში ინდივიდებისა და ჯგუფების როლსა და პასუხისმგებლობას და სხვ.

გთავაზობთ თემასთან „უფლებები და პასუხისმგებლობები“ და-კავშირებულ საორიენტაციო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებუ-ლებებს:

უფლებები და პასუხისმგებლობები
უნარები • ადგილობრივ და გლობალურ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა კონცეფციისა და სტანდარტების გამოყენების; • ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების ყოველდღიურ სიტუაციებში გამოყენების; • ადამიანის უფლებათა ხელშეწყობასა და დაცვაში გააზრებული მონაწილეობის.
ღირებულებები და დამოკიდებულებები • იმ ადამიანთა თანაგანცდა, ვისი უფლებებიც ირღვევა; • სწრაფვა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა პრინციპები; • სწრაფვა ხელი შეუწყოს თანასწორობასა და სამართლიანობას; • რწმენა, რომ ინდივიდს შესწევს ცვლილების ძალა.
ცოდნა • „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (1948) და „ბავშვთა უფლებების კონვენციისა“ (1989) და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესახებ; • ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართული ეროვნული კანონმდებლობისა და ინსტიტუტების შესახებ; • ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ისტორიული და თანამედროვე გამოცდილების შესახებ; • ადამიანის უფლებათა განუყოფლობის შესახებ; • რასიზმის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.

გთავაზობთ თემასთან „უფლებები და პასუხისმგებლობები“ და-კავშირებულ სანიმუშო აქტივობებს:

აქტივობა №1⁴⁹

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ყურადღებით გაეცნონ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“ (1948) და „ბავშვთა უფლებების კონვენციას“ (1989). შეარჩიონ მათთვის ყვე-

49. აქტივობის ავტორია ნ. ჭიაბრიშვილი.

ლაზე სასურველი, საინტერესო, საჭირო, აქტუალური მუხლი და მოიფიქრონ კლასისთვის მისი გაცნობის გზები. ეს გზები შესაძლოა იყოს: პრეზენტაცია, ინსცენირება, სასამართლო პროცესი, პლაკატი და სხვ. მოსწავლეებმა შესაძლებელია იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში და ჯგუფებად.

წარმდგენი/ები ასაბუთებს, რამ განაპირობა კონკრეტული მუხლის არჩევა. მოსწავლეები ცდილობენ გამოიყენონ უფლებების წარმოდგენილი მუხლი. გაიხსენონ ცხოვრებისეული სიტუაცია, როცა ამ კონკრეტული მუხლის მიხედვით უფლების დარღვევის მოწმეები გახდნენ.

აქტივობის ბოლო ეტაპზე შესაძლებელია ვთხოვოთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ წარმოდგენილი უფლების დაცვის ინსტრუმენტებზე.

5.4. დისკრიმინაცია და თანასწორობა⁵⁰

პირდაპირი მნიშვნელობით დისკრიმინაცია ნიშნავს განსხვავების აღიარებას და ამის გამო განსჯას. დისკრიმინაციას უძველესი ისტორია აქვს – დისკრიმინაცია ხდება საჭმლის არჩევისას, ადამიანის სამუშაოზე აყვანისას და სხვ. დისკრიმინაცია მაშინ ხდება პრობლემა, როდესაც არჩევანი უსამართლოდ კეთდება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით დაუშვებელია ადამიანის დისკრიმინაცია სქესის, ოჯახური სტატუსის, ასაკის, უნარის/უუნარობის, რასის, სქესობრივი ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის და სხვათა გამო.

აღიარებულია ორგვარი დისკრიმინაცია – პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი). პირდაპირი დისკრიმინაციის განსაზღვრა ძალზე მარტივია, მას ხედავ, ან ისმენ. თუკი ტრანსპორტში ვხედავთ, რომ კონკრეტულ ადამიანს განსხვავებულად მხოლოდ მისი ჩაცმულობის გამო ექცევიან, ეს პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია. ამგვარ ქცევას ხშირად შევხვდებით ქუჩაში, კაფეში, მაღაზიაში და სხვ.

50. ქვეთავი 5.4. მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

ირიბი დისკრიმინაციისას შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ერთი და იგივე შესაძლებლობებს სამართლიანად სთავაზობენ განსხვავებულ ადამიანებს, სინამდვილეში კი, სამართლიანობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, თუკი ამ შესაძლებლობათა შედეგებიც ერთნაირი იქნება. მაგალითად, თუკი ბიჭებსა და გოგონებს ერთსა და იმავე საგანს ასწავლიან, მაგრამ საგნის ფარგლებში მოცემული მაგალითები მხოლოდ ბიჭების ინტერესებს ითვალისწინებს, ეს გოგონების დისკრიმინაციაა. თუ მოსწავლეს მხოლოდ მაშინ იღებენ სკოლაში, თუკი მისი და ან ძმა სწავლობს იმავე სკოლაში, ეს სკოლის მიერ მოსწავლის დისკრიმინაციაა. ადამიანებისადმი მსგავსი მოპყრობა ერთმნიშვნელოვნად თანასწორ მოპყრობას არ გულისხმობს.

ასაკთან ერთად საკუთარ საზოგადოებაში და მთელ მსოფლიოში არსებული უთანასწორობის გააზრების საფუძველზე, მოსწავლეები სიღრმისეულად შეძლებენ დისკრიმინაციის კონცეფციის გაგებას. ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, მოსწავლეები უნდა წავახალისოთ, რომ ეცადონ მონახონ გზები უთანასწორობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლთა დასაცავად.

გთავაზობთ თემასთან „დისკრიმინაცია და თანასწორობა“ დაკავშირებულ საორიენტაციო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს:

დისკრიმინაცია და თანასწორობა
უნარები • ტექსტში, ნახატში, დისკუსიაში და საკუთარ თავში სტერეოტიპებისა და მიკერძოების განსაზღვრის; • ინფორმაციის წყაროს ეჭვქვეშ დაყენების; • ინფორმირებული და გაწონასწორებული მსჯელობის; • დისკრიმინაციასთან ბრძოლის.
ღირებულებები და დამოკიდებულებები • დისკრიმინირებულთა მიმართ თანაზიარობა; • თანასწორობის ხელშეწყობის პასუხისმგებლობა; • ჯანსაღი სკეპტიციზმი მიკერძოებისა და სტერეოტიპების მიმართ; • რწმენა, რომ ინდივიდს შესწევს ცვლილების ძალა.

ცოდნა

- „დისკრიმინაციის“, „თანასწორობის“, „შევიწროების“, „გარიყვის“, „ძალადუფლებისა“ და სხვა კონცეფციების შესახებ;
- პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის შესახებ;
- რასიზმის, როგორც დისკრიმინაციის ფორმის შესახებ;
- მიკერძოებისა და სტერეოტიპების, როგორც დისკრიმინაციის ფორმების შესახებ;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ანტიდისკრიმინაციული კანონების შესახებ.

გთავაზობთ თემასთან „დისკრიმინაცია და თანასწორობა“ დაკავშირებულ სანიმუშო აქტივობებს:

აქტივობა №1⁵¹

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს „მასწავლებლის დღიური“. მოსწავლეები ყურადღებით ეცნობიან და ჯგუფებად ამზადებენ დღიურის სხვადასხვა მათთვის სასურველი ფრაგმენტის (მაგ., კოდისა და ფილიპის კონფლიქტი, მასწავლებლისა და სასწავლო ნაწილი საუბარი, მასწავლებლისა და კოდის მამის საუბარი) ინსცენირებას.

ამ მცირე სცენების შემდეგ წრეში დამსხდარი მოსწავლეები მსჯელობენ დისკრიმინაციის პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებზე.

იხსენებენ საკუთარი ცხოვრებიდან შემთხვევებს, როცა იყვნენ დისკრიმინაციის შემსწრე, დისკრიმინაციის მსხვერპლი ან დისკრიმინაციის ინიციატორი. მსჯელობენ თითოეულ სიტუაციაში საკუთარი განცდების შესახებ.

სამუშაო ფურცელი: „მასწავლებლის დღიური“

8 ოქტომბერი, ორშაბათი

ყველაფერი ამ სემესტრში დაიწყო – დაძაბულობა კოდისა და ფილიპს შორის. ვერასოდეს გავიგებ ფილიპის მოზღვრებისას – თუკი დედაქალაქში დასახლებას აპირებდნენ, რაღა მაინცდამაინც ეს სკოლა აირჩიეს. სხვა ფერადკანიანები, რომლებიც თავიდან მოხარულები იყვნენ ფილიპის გადმოსვლით, ახლა აქცენტის გამო დასცინიან, რომელიც არც ისე შესამჩნევია. თეთრკანიანები საერ-

51. http://www.edchange.org/multicultural/activities/model_case.html

თოდ უცხოოდ მიიჩნევენ კანის ფერისა და სამხრეთ აფრიკული წარმოშობის გამო.

დღეს კოდიმ ფეხი დაუდო ეზოში წყლის დასაღვებად მისულ ფილიპსს. ფილიპი წაბორძიკდა, ყველამ გაიცინა. ფილიპი გაიმართა და გზა გააგრძელა. ფილიპის ურეაქციოებაზე თითქმის ისევე ვიდარდე, როგორც კოდის თავდასხმაზე.

აღარ ვაპირებ კოდის მამასთან კიდევ ერთხელ დარეკვას. მინდა ღირექტორის მოადგილეს დაველაპარაკო, იქნებ რაიმე შემომთავაზოს ამ სიტუაციის მოსაგვარებლად.

10 ოქტომბერი, ოთხშაბათი

დღეს ღირექტორის მოადგილეს ვესაუბრე ფილიპისა და კოდის შესახებ. მოვუყევი კოდის მამასთან საუბრის შესახებაც... ნამდვილი კომმარი იყო. შევეცადე ჩემი და კოდის მამის საუბარი შეძლებისდაგვარად დეტალურად მომეთხრო:

მე: ბატონო ვილარდ, თქვენი ვაჟი გამუდმებით დასცინის ფილიპსს. წინ მთელი სასწავლო წელია და მათი ურთიერთობა კი უკვე სერიოზულ პრობლემად იქცა. კლასის დატოვება კოდს უკვე ორჯერ ვთხოვე ფილიპის შეურაცხყოფისთვის. როგორც კი ფილიპთან რომელიმე კლასელი დააპირებს დაახლოებას, საქმე კიდევ უფრო რთულდება.

ბ-ნი ვილარდი: ვაფასებ თქვენს ზარს ქ-ნო მანსონ. თუმცა, ვერ გამიგია თქვენნაირი ახალგაზრდა ქალი რატომ იწუხებს თავს ზანგი ბიჭის გამო. კოდიმ მიაბო, რომ ის ბიჭი არავის ელაპარაკება, ქედმაღლობს. არავინ სთხოვდა მის მშობლებს აქ ჩამოსახლებას. თუმცა, რაც არ უნდა იყოს ისინი მეხუთეკლასელები არიან და რა უნდა დაუშავონ ერთმანეთს.

მე: ვწუხვარ, რომ ასე ფიქრობთ ბ-ნო ვილარდ. მე პასუხისმგებელი ვარ ვასწავლო ამ ბავშვებს და ვერ შევეგუები თქვენი შვილის უსაქციელობას. არ ვაპირებ ჭკუა დაგარიგოთ, მაგრამ გეტყვით, რომ კოდის რასისტულ გავლენას ჩემს კლასში ვერ მივესალმები.

ველოდებოდი, რომ ღირექტორის მოადგილე რაიმე გონივრულ რჩევას მომცემდა. მრავალი წლის წინ მასაც საკუთარ თავზე ჰქონდა ნაწვნივი, რას ნიშნავდა ფერადკანიანობა ამ სკოლაში. მან მითხრა, რომ ამ ეტაპზე ვერ ჩაერეოდა და პრობლემა თავად უნდა მომეგვარებინა. მთხოვა, მეცნობებინა საქმის ვითარება.

როგორც ჩანს, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა მქონდეს. ფილიპის მშობლებს უნდა დავურეკო.

15 ოქტომბერი, ორშაბათი

ფილიპის დედას ხუთშაბათს ველაპარაკე. მითხრა, რომ ფილიპს არაფერი უთქვამს მისთვის. „ის ძლიერი ბიჭია. არაფერს შეუძლია, მისი მდგომარეობიდან გამოყვანა. მამას ჰგავს“.

ვთხოვე, იქნებ დალაპარაკებოდა შვილს. ვკითხე, რაიმე დაძაბულობა ხომ არ უგრძნიათ ახალ გარემოში. მითხრა, რომ ის და მისი მეუღლე სახლში თითქმის არ არიან, ხშირად უწევთ მივლინებაში სიარული და აქ ყოფნისას მსგავსი არაფერი შეუნიშნავს.

გადავწყვიტე ამ თემაზე აღარ მესაუბრა.

თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა კლასში, თუმცა, შევნიშნე, რომ სხვა თეთრკანიანი ბავშვები კოდიში ერთგვარ ლიდერს ეძებდნენ. მის ჭკუაზე დადიოდნენ, ბაძავდნენ. თუ ის ხმაურობდა, სხვებიც ხმაურობდნენ, თუ წყნარად იყო, სხვებიც მშვიდად იყვნენ. ამაზე ვწუხდი, თუმცა, დროებითი სიმშვიდით ვტკებოდი.

თითქოს ფილიპი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, თუმცა, მაინც ჩაკეტილია. მაღალი შეფასებები აქვს, რაც თავისთავად კარგის ნიშანია, თუმცა, თავს მაინც გარიყულად გრძნობს. ხვალ სავარჯიშოს მოვიტან, რომელიც ერთმანეთთან დაახლოებაში დაეხმარებათ.

16 ოქტომბერი, სამშაბათი

კოდსა და ფილიპს სამი დღით სკოლაში მოსვლა აეკრძალათ. სავარჯიშო, რომელიც ხსნად მესახებოდა, უკუღმა შემომიტრიალდა.

მოსწავლეებს ვთხოვე ფეხზე ამდგარიყვნენ და ეთქვათ სამი რამ: სახელი, ადგილი, სადაც დაიბადნენ და საყვარელი საგანი სკოლაში. ცხადია, მოსწავლეთა ორი მესამედი ამერიკაში – მამაპაპისეულ სახლში დაბადებული აღმოჩნდა. კოდის ოჯახიც წლების განმავლობაში იმ სახლის მკვიდრი იყო, სადაც კოდი ამჟამად ცხოვრობს. როგორც კი საუბარი დაამთავრა, ხმაური დაიწყო და სხვებს ლაპარაკს აღარ აცლიდა. იმის ცდუნება, რომ დირექტორის მოადგილესთან გამეგზავნა, ძალიან დიდი იყო, თუმცა, გადავწყვიტე, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა აქტივობის ბოლომდე კლასში დარჩენილიყო. მას უნდა გაეგო, რომ კლასში იყვნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც დედაქალაქს გარეთ დაიბადნენ.

როცა ფილიპის ჯერი დადგა, კოდი განსაკუთრებით ახმაურდა. სხვა თეთრკანიანი მოსწავლეებიც აჰყვნენ. ჯონი, აფროამერიკელი მოსწავლე, კოდის მიუბრუნდა და ხმა გაკმინდევ, უყვირა. კლასს დამშვიდება ვთხოვე, ხოლო კოდის გარეთ გასვლა.

„სიჩუმე! ჩემი რიგია!“ სამი კვირის განმავლობაში პირველად დაიყვირა ფილიპმა.

კოდის მკლავში ხელი მოგვიდევ და კარებისაკენ წავიყვანე. ამ დროს ფილიპმა ისევ დაუდო მას ფეხი, როგორც წინა კვირას თვითონ მას დაუდო კოდიმ. კოდი ხელიდან გამისხლტა, ფილიპი წააქცია და ზედ დაახტა. რამდენიმე წამი დამჭირდა, სანამ კოდის ავაგლეჯდი ფილიპს და მანდატურს დავეუძახებდი დასახმარებლად.

საბედნიეროდ, კლასის სხვა მოსწავლეები, გაოცებულები ფილიპის მოქმედებით სამი კვირის უმოქმედობის თავზე, არ ჩარეულან. ან იქნებ სულაც ამ ინციდენტის შესახებ ფიქრობდნენ და არ ეცალათ. რა თქმა უნდა, ჩემი მრავალწლიანი საქმიანობისას ამგვარი დაძაბულობა შემხვედრია, თუმცა, ასე აშკარად გამოხატული არასოდეს.

სრულიად ძალაგამოცლილად ვგრძნობ თავს. ნეტავ, როგორ უნდა მოვიქცე ხვალ?

პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული მოდელი. მოდელის მიზანია შევისწავლოთ, გავიგოთ და შესაბამისი რეაქცია გამოვხატოთ მრავალფეროვნებასა და უთანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკლასო ოთახში/სკოლაში. საუკეთესო შედეგის მისაღებად მნიშვნელოვანია შევექმნათ დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვანი ჯგუფები, რომლებიც თანამშრომლობის მეთოდით ეცდებიან პრობლემის მოგვარებას.

1. პრობლემის იდენტიფიკაცია

განსაზღვრეთ ან სახელი დაარქვით სიტუაციას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. რა სახის კონფლიქტია? რა არის კონფლიქტის წყარო?

2. პერსპექტივები

შექმენით ყველა ადამიანის, ჯგუფისა თუ ინსტიტუტის სია, რომლებზეც კონფლიქტმა იქონია გავლენა და იმსჯელეთ, რა სახის გავლენა მოახდინა შექმნილმა სიტუაციამ მათზე? სიაში შეიტანეთ მსხვერპლი, მოძალადე, საზოგადოების წევრები, ყველა, ვისაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხო ინციდენტი.

3. გამოწვევები და შესაძლებლობები

სიტუაციაში ჩართული სხვადასხვა მხარის თვალთახედვით განიხილეთ კონკრეტული სიტუაციის განვითარების პერსპექტივები.

4. სტრატეგიები

მოძებნეთ სიტუაციიდან გამოსვლის გზები. გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება განსხვავებულად იმოქმედებს სხვადასხვა ადამიანზე.

5. გადაჭრა

შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა.

6. მოსალოდნელი შედეგები

დაასახელეთ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზების მოსალოდნელი შედეგები.

5.5. კონფლიქტი და მისი გადაჭრის სტრატეგიები⁵²

ზოგჯერ ადამიანთა განსხვავებულობა კონფლიქტის წყარო ხდება. მაგალითად, განსხვავებულმა კულტურულმა ტრადიციებმა, შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს. ინტერკულტურულ განათლებას შეუძლია მოსწავლეებში კონფლიქტის მიზეზის განსაზღვრისა და მისი მშვიდობიანად გადაჭრის უნარების განვითარება. ეს უნარები სასარგებლო და აუცილებელია მაშინაც, თუკი მოსწავლეებს რეგულარულად არ უწევთ განსხვავებული კულტურული ჯგუფების წევრებთან ურთიერთობა. კონფლიქტი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორი ბუნებრივი და ნორმალური მოვლენა ადამიანთა ურთიერთობაში, როგორც პრობლემის გადაჭრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და დადებითი ცვლილების შესაძლებლობა.

პიროვნებათაშორის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონფლიქტებს გარკვეული პრინციპები უდევს საფუძვლად:

კონფლიქტს არ უნდა გავექცეთ. რაკი კონფლიქტი ბუნებრივი მოვლენაა, ის რაღაც დადებითი ცვლილების შესაძლებლობასაც იძლევა. მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ კონფლიქტის მოგვარების და არა მათი თავიდან უნარები არიდება.

52. ქვეთავი 5.5. მომზადდა Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf გამოყენებით.

ადამიანები უნდა გავმიჯნოთ პრობლემისგან. კონფლიქტურ სიტუაციაში შესაძლებელია იყოს მძაფრი ემოციები, კომუნიკაციის რღვევა, ფაქტების ან მათი მნიშვნელობის განსხვავებული აღქმა. აუცილებელი არ არის განსხვავებული ადამიანების მოსაზრებათა შეთანხმება, მაგრამ მხარეებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთთან საუბარი, ერთმანეთის მოსმენა და მოვლენის დანახვა სხვისი თვალით.

ფოკუსირება ინტერესებზე და არა პოზიციებზე. სასურველია გავიგოთ, რატომ სურთ კონფლიქტში ჩართულ ადამიანებს ამა თუ იმ შედეგის მიღწევა. დაპირისპირებული პოზიციების ანალიზისას შესაძლოა აღმოვაჩინოთ, რომ ადამიანებს საერთო ინტერესები აქვთ, რაც დაგვეხმარება კონფლიქტის წარმატებულად გადაჭრაში.

ორმხრივი სარგებლის არსებობა. გადახედეთ პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტებს. განიხილეთ რამდენიმე შესაძლებლობა და არ იჩქაროთ დასკვნების გამოტანა.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით კონფლიქტის გადაჭრის მრავალი მოდელი არსებობს. ცხადია, მოლაპარაკების გამართვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ორივე მხარეს შეუძლია და მზად არის ჩაერთოს პროცესში. როცა კონფლიქტის მონაწილეებს შესაბამისი ცოდნა და უნარები აკლიათ, გაწაფული შუამავლის მონაწილეობა სასურველ შედეგამდე მიიყვანს. მიუხედავად ამ შესაძლებლობის არსებობისა, სასურველია კონფლიქტის გადაჭრის უნარების განვითარებაზე ორიენტაცია, რომ ადამიანებმა სხვების დაუხმარებლად მართონ კონფლიქტი. დაწყებით კლასებში მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარების ჩამოყალიბება ეფუძნება თანამშრომლობის, გაზიარების, ქცევის შესაძლო შედეგის გაანალიზების, საკუთარი განცდების სახელდებისა და გამოხატვის უნარების განვითარებას. მომდევნო საფეხურებზე ეს უნარები კიდევ უფრო რთულდება და მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ემოციების მართვა, კომპრომისი, ჯგუფის გადაწყვეტილების მიღება. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები მსჯელობენ და გამოხატავენ ემოციებს, არ ცდილობენ მეორე მხარის დაშინებას, აქტიურად უსმენენ ერთმანეთს, იწყებენ მოლაპარაკებას და კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზების ძიებას.

გთავაზობთ თემასთან „კონფლიქტი და კონფლიქტის გადაჭრა“ დაკავშირებულ საორიენტაციო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს:

კონფლიქტი და კონფლიქტის გადაჭრა
უნარები • გადაწყვეტილების მიღებამდე სხვადასხვა წყაროების შესწავლის; • კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების დანახვის; • კონფლიქტის გადაჭრის უნარების პრაქტიკის; • განსხვავებული კულტურული ჯგუფების წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და მათი თანაზიარი მოსმენის.
ღირებულებები და დამოკიდებულებები • მშვიდობიანი პროცესებისადმი, როგორც უთანხმოების გადაჭრის საშუალებისადმი ერთგულება; • სხვების პოზიციისადმი ღიაობა; • სხვების პოზიციის საფუძველზე სწავლისადმი პასუხისმგებლობა; • რწმენა, რომ ინდივიდს შესწევს ცვლილების ძალა.
ცოდნა • იმის შესახებ, რომ კონფლიქტი ადამიანის ცხოვრების ჩვეული ნაწილია; • იმ ფაქტორების შესახებ, რომელსაც შეუძლია კონფლიქტის გამოწვევა ინტერპერსონალურ, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე; • კონფლიქტის გადაჭრის პრინციპებისა და უნარების შესახებ; • სხვადასხვა საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესის სირთულებების შესახებ; • ინტერპერსონალურ, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე კონფლიქტის შედეგების შესახებ.

გთავაზობთ თემასთან „კონფლიქტი და კონფლიქტის გადაჭრა“ დაკავშირებულ სანიმუშო აქტივობებს:

აქტივობა №1⁵³

მასწავლებელი ორ ჯგუფად გაყოფილ მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს „სკოლა სხვადასხვა მოსწავლეებისთვის“ და „კოლეჯი ყველასთვისაა“. მოსწავლეები ყურადღებით ეცნობიან ტექსტში აღწერილ სიტუაციებს და პასუხობენ ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს და ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნას. თითო ჯგუფიდან თითო მოსწავლე ჯგუფის

53. გოლობი რ., ჰუდლესტონი ტ., კრაფი პ., როუვი დ., ტაელმანი უ. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროსაბჭო. 2009.

სახელით წარმოადგენს პრეზენტაციას კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრის კონკრეტული ვარიანტის შესახებ.

სამუშაო ფურცელი: „სკოლა სხვადასხვა მოსწავლეებისთვის“

ულრანი ტყის პირას ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობდა. ეს სხვა კულტურის მატარებელი თემი იყო და ბავშვებსაც წინაპართა რელიგიური და კულტურული შეხედულებების მიხედვით ზრდიდნენ; მათი რელიგიისა და კულტურის მიხედვით, არ არსებობდა განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის.

ამ თემის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით იყო ზეგანი, სადაც განსხვავებული კულტურის მქონე თემი ბინადრობდა; ეს იყო მეზობელი ხალხი, სადაც დომინანტურ ფუნქციას მამაკაცები ასრულებდნენ. ქალებს ძალიან აფასებდნენ, მაგრამ ქალი ხელმძღვანელები არ ჰყავდათ.

ტყის თემს არაფერი ჰქონდა საერთო ზეგანის თემთან; მათ ერთმანეთთან სიძულვილი და შიში აკავშირებდათ. წარსულში ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი მივიდა ტყის პირას მაცხოვრებელ თემთან და სკოლის აშენება შესთავაზა. ამ სკოლაში ორივე თემის ბავშვები ივლიდნენ, რაც მათ დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

მალე ააშენეს ხის მოკრძალებული შენობა და მასწავლებელიც მოძებნეს. ორივე თემის ბავშვები სკოლაში წავიდნენ. მშობლები და თემის ხელმძღვანელები გულდასმით ელოდნენ მოვლენათა განვითარებას.

თავდაპირველად იყო გარკვეული პრობლემები ბავშვებს შორის; ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. მალე ბავშვები დარწმუნდნენ, რომ სკოლაში სიარული სასარგებლო იყო და ერთმანეთს უკეთესად ეგუებოდნენ. მასწავლებელი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და ყველა ბავშვს თანასწორად ეპყრობოდა. მასწავლებელი ორივე თემის ცხოვრების წესს სცემდა პატივს და ბავშვებს ამ ორ თემს შორის არსებული განსხვავებების შესახებ ასწავლიდა. უფრო და უფრო მეტი ბავშვი დადიოდა ამ სკოლაში.

თანდათანობით გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს ზეგანზე მაცხოვრებლები შეადგენდნენ. სკოლაში ყოველი 4 ბავშვიდან მხოლოდ ერთი იყო ტყის თემიდან. მასწავლებელი ორი-

ვე თემის წარმომადგენლებთან საუბრობდა და არწმუნებდა, რომ ბავშვების სკოლაში გამოშვება აუცილებელი იყო.

ერთ დღეს სკოლაში მისულ მასწავლებელს სკოლა გადამწვარი დახვდა:

კითხვები:

ვის შეიძლებოდა სკოლის დაწვა მოენდომებინა? რატომ?

ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, თუ სკოლას არ აღადგენენ?

ამ სკოლის მოსწავლე რომ იყოთ, მასწავლებლის როგორ ქცევას ისურვებდით?

თქვენი აზრით, თქვენი თემის წარმომადგენლებს ეს მასწავლებელი მოეწონებოდათ?

როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუძლია პიროვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედება? მოიტანეთ მაგალითები.

რამდენად უწყობს ხელს ადამიანების ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის მშვიდობის დამყარებას მათი ბავშვების ერთად სწავლა?

რა გამოწვევების წინაშეა სკოლა და მასწავლებლები, სადაც სხვადასხვა ღირებულებისა და კულტურის მქონე მოსწავლეები სწავლობენ? როგორ შეიძლება ამ გამოწვევების აღმოფხვრა?

სამუშაო ფურცელი: „კოლეჯი ყველასთვისაა“

კოლეჯის ღირეცტორი ძალიან ჰუმანური და სულგრძელი ადამიანი გახლდათ; მას ღრმად სწამდა, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. ღირეცტორი თანამშრომლებს ყოველთვის ეუბნებოდა: „ყველა ადამიანი იმსახურებს ცხოვრების კარგ დასაწყისს. არ უნდა მოეპყრათ რომელიმე მოსწავლეს უფრო მეტი კეთილგანწყობით, ვიდრე სხვებს. ეს არ იქნება სამართლიანი“.

ერთ დღეს სკოლაში განსხვავებული იდენტობის მქონე დევნილ მოსწავლეთა ჯგუფი მოვიდა; მათი ოჯახები მეზობელი სახელმწიფოდან კონფლიქტს გამოექცნენ. ღირეცტორმა თანამშრომლებს განუცხადა: „ამ საწყალმა ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს. ხელგაშლილი მიეგებეთ მათ. დროა, ამ ადამიანებს შევუმსუბუქოთ ტკივილი; მათი ბრალი არ არის, რომ ომის მსხვერპლნი გახდნენ“.

თანამშრომლები ღირეცტორს დაეთანხმნენ. დევნილი მოსწავლეები ასაკის მიხედვით გადაანაწილეს კლასებში. ძირითადად, ყველა არსებულ კლასში ერთი დევნილი მოსწავლე შევიდა. მხოლოდ ერთ კლასში აღმოჩნდა 4 დევნილი ბიჭი.

მასწავლებლებმა მალე აღმოაჩინეს, რომ რთული იყო დევნილებისა და მათი ძველი მოსწავლეებისადმი თანაბარი მოპყრობა. მასწავლებლები პრობლემების შესახებ ღირექტორს შესჩიოდნენ: „დევნილმა ბავშვმა ჩვენი ენა და კულტურა არ იცის. მე არ მაქვს დრო, რომ მას ყველაფერი ვუთარგმნო. თარგმნას ძალიან დიდი დრო სჭირდება და ეს დრო დანარჩენ მოსწავლეებს აკლდებათ.“ „ჩემს კლასში დევნილი მოსწავლე არავისთან ამყარებს კომუნიკაციას. ეს, შესაძლოა, ომისგან მიყენებული ტრამვის შედეგი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მას პრობლემები ჰქონდეს სწავლასთან დაკავშირებითაც. როგორ მოვიქცე?“ „ჩემს კლასში დევნილი ბავშვი დასახიჩრებულია; მას არ შეუძლია სიარული; ის ფიზიკურ აქტივობებში ვერ მონაწილეობს, ლაბორატორიაშიც კი ვერ ამოდის, რადგან კიბეებია ასავლელი.“

პრობლემები არ მცირდებოდა. სადილზე, შესვენების დროს, ადგილობრივები დევნილ ბავშვებს ჩაგრავდნენ და დასცინოდნენ, ზოგჯერ შეურაცხყოფელი სიტყვებითაც მიმართავდნენ. სკოლის ძველი მოსწავლეები დევნილებს მოუწოდებდნენ, იქ დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც მოვიდნენ.

იმ ოთხმა დევნილმა, რომელიც ერთ კლასში მოხვდა, საკუთარი ინტერესების დასაცავად დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ერთ დღეს, ერთ-ერთმა დევნილმა ბიჭმა ადგილობრივთან იჩხუბა და მძიმე ფიზიკური ტრამვა მიაცენა. მასწავლებლები თვლიდნენ, რომ ეს დევნილი ბიჭი სკოლიდან გარიცხვის ღირსი იყო. ღირექტორი კი საკუთარ თავს ეკითხებოდა, რამდენად სამართლიანი იქნებოდა დევნილი მოსწავლის სკოლიდან გაგდება. მასწავლებლები ამბობდნენ: „ჩვენ ვეცადეთ მათთან გვემუშავა. ჩვენი მოსწავლეები ზარალდებიან. არ შეგვიძლია ერთდროულად დევნილებსაც ვასწავლოთ და ჩვენს ძველ მოსწავლეებსაც.“

მოგვიანებით, დევნილი ბავშვების მშობლებმაც მოისურვეს ღირექტორთან შეხვედრა და განუცხადეს მას: „ჩვენ არ მოგვწონს, რომ გოგონებსა და ბიჭებს ერთად უტარდებათ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ეს ჩვენს რელიგიასა და კულტურას ეწინააღმდეგება.“

ღირექტორს მოთმინება ეწურებოდა; ის იდგა ძალიან რთული დილემის წინაშე და იცოდა, რომ იმედის დაკარგვა ასეთ დროს არ შეიძლებოდა.

კითხვები:

რამდენად მიაღწია ღირეუტორმა დასახულ მიზანს, რაც ყველა მოსწავლისადმი თანასწორ მოპყრობაში მდგომარეობდა?

უნდა გაითვალისწინოს თუ არა ღირეუტორმა დევნილი მშობლების სურვილი და ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე კლასებში გაანაწილოს? მოიყვანეთ არგუმენტები;

უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ დევნილ მოსწავლეებს ცალკე კლასში ესწავლათ? მოიყვანეთ არგუმენტები.

როგორ შეიძლება მოგვარდეს სკოლაში არსებული პრობლემები? საჭიროა თუ არა, რომ სკოლამ მოახდინოს ზოგიერთი პრობლემის იგნორირება და რატომ?

რამდენად შესაძლებელია ყველა ბავშვისთვის, მათი კულტურული კუთვნილების მიუხედავად, საუკეთესო განათლების შესაძლებლობის მიცემა, მისი საჭიროებების სრულად გათვალისწინებით? რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ და რა დახმარება სჭირდება მას გარედან?

აქტივობა №2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მათ ცხოვრებაში მომხდარი რომელიმე კონფლიქტური ინციდენტი, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ურიგებს ქვემოთ მოცემული სამუშაო ფურცლის „კრიტიკული ინციდენტის ანალიზი“ – ასლებს და სთხოვს დასმული კითხვების მიხედვით მოამზადონ მცირე პრეზენტაცია მომხდარი ინციდენტის შესახებ.

სამუშაო ფურცელი: „კრიტიკული ინციდენტის ანალიზი“⁵⁴

რა ტიპის კრიტიკული ინციდენტია? (ბუნებრივი კატასტროფა, ადამიანური შეცდომა, კონფლიქტი, უბედური შემთხვევა, მიზანმიმართული ადამიანური ქმედება)

1. ინციდენტის მნიშვნელობა

რა მოხდა, სად, როდის? ვინ მონაწილეობდა?

რა როლს ასრულებდი ინციდენტში?

რა გარემოში მოხდა ინციდენტი?

54. <http://www.education.vic.gov.au/childhood/professionals/support/Pages/reflectframework.aspx>

იმ მომენტში რა გასურდა?

2. პირველი რეაქცია ინციდენტის შესახებ

როგორი იყო შენი გრძნობები და ფიქრები ინციდენტის მსვლელობისას?

როგორი პასუხები გასცეს ძირითად კითხვებზე? თუკი პასუხები არ მოგისმენიათ, თქვენი აზრით, როგორი პასუხები შეიძლება ყოფილიყო?

3. რა საკითხებს და დილემას გაეცა ხაზი ამ ინციდენტით

მოინიშნე ნებისმიერი დილემა, რომელიც ამ კონკრეტულ ინციდენტს ეხება.

მოინიშნეთ ინციდენტში მოცემული ნებისმიერი ღირებულება და ეთიკური პრობლემა.

რამ გაგაკვირვებდა ან რა მოხდა ისეთი, რასაც არ ელოდი?

4. შედეგი

როგორი იყო ინციდენტის შედეგი თითოეული მონაწილისთვის? გამოიწვია თუ არა (ან შეიძლება თუ არა გამოიწვიოს) ამ ინციდენტმა ცვლილებები? როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს ამ ცვლილებების შემთხვევაში?

რას ფიქრობთ და გრძნობთ ამ ინციდენტის შესახებ?

5. სწავლა

რა ისწავლე საკუთარი თავის შესახებ?

ამ ინციდენტის შედეგად რა დაისახე მიზნად მომავალში?

როგორ შეიძლება ამას მიაღწიო?

5.6. ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია⁵⁵

ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია არის რესურსი, რომელიც გვეხმარება გავაანალიზოთ ინტერკულტურული ურთიერთობის ის ეპიზოდები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაში. ეს ურთიერთობები შესაძლოა იყოს უშუალო (პირისპირ) ან ისეთი ვიზუალური მედიის საშუალებით, როგორიცაა ტელევიზია, ჟურნალები, ფილმები, ინტერნეტი და სხვ. შესაბამისად, არსებობს ორი დამოუკიდებელი, თუმცა პა-

55. http://www.coe.int/t/dg4/autobiography/default_en.asp

რალელური ინსტრუმენტი: ინტერკულტურული ურთიერთობის ავტობიოგრაფია (მოკლედ, „ავტობიოგრაფია“) და ინტერკულტურული ურთიერთობის ავტობიოგრაფია ვიზუალური მედიის საშუალებით. კულტურათაშორისი ურთიერთობის შინაგანი მექანიზმის გაცნობით ადამიანი უკეთ იაზრებს საკუთარ ინტერკულტურულ გამოცდილებას და, ამრიგად, ივითარებს შესაბამის კომპეტენციას.

ინტერკულტურული ურთიერთობა გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ან ერთი ქვეყნის ორი მაცხოვრებლის ურთიერთობას, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ, რასობრივ, კულტურულ, ეთნიკურ ან ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ავტობიოგრაფიის მწარმოებელი საკუთარ ინტერკულტურულ კომპეტენციას კულტურათაშორისი ურთიერთობების არსებული გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საშუალებით ივითარებს. ამგვარი ურთიერთობის ცალკეული ეპიზოდების შერჩევით და შემდეგ მათი აღწერით ის აანალიზებს დაგროვილ გამოცდილებას, ავლენს ინტერკულტურული კომპეტენციის სხვადასხვა ასპექტებს მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

ავტობიოგრაფიის მეთოდის გამოყენება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საშუალო სკოლაში თუ უწყვეტი განათლების ნებისმიერ სხვა ინსტიტუტში. ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია დამოუკიდებლადაც თვითგანვითარებისა და თვითშეფასების მიზნით.

არსებობს ავტობიოგრაფიის ორი ვერსია:

- **დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის** (11-12 წლამდე), მათი ჩათვლით, ვინც ჯერ წერა-კითხვა არ იცის;
- **სტანდარტული ვერსია** უფროსკლასელებისთვის, სტუდენტებისა და ზრდასრულებისთვის.

მეთოდური რეკომენდაციები: რა არის ავტობიოგრაფია?

ავტობიოგრაფია მოსწავლის დოკუმენტია, მისი საკუთრებაა და მისივე შეხედულების მიხედვით გამოიყენება. ავტობიოგრაფია ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკულად გაიზარონ ინტერკულტურული გამოცდილება, მაგალითად, სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთან ურთიერთობა. ეს შესაძლოა იყოს სხვა ქვეყნის ან მათივე ქვეყნის სხვა რეგიონის, სხვა ეთნიკური, რელიგიური, სოციალური კლასის წარმომადგენელი. ავტობიოგრაფია იწერება

ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის (ყოველ ახალ გამოცდილებას ავტობიოგრაფიის სხვა ეგზემპლარი სჭირდება.)

ავტობიოგრაფიაში წარმოდგენილია კითხვების რიგი, რომელსაც მოსწავლე პასუხობს კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, თუმცა, არ არის ვალდებული ყველა კითხვას უპასუხოს – ის სურვილის მიხედვით არჩევს კითხვებს.

ავტობიოგრაფიას ორი ურთიერთდაკავშირებული მიზანი აქვს:

- **თვითშეფასება:** მოსწავლეებს ეხმარება შეაფასონ საკუთარი ქცევა კონკრეტულ ურთიერთობასთან დაკავშირებით; გარკვეული დროის შემდეგ მას შეუძლია მიუბრუნდეს ურთიერთობის წარსულ გამოცდილებას, ამ გამოცდილების მისეულ შეფასებას და გაიფართოოს წარმოდგენა საკუთარ თავზე;
- **სწავლება და სწავლა:** მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ავტობიოგრაფია მოსწავლეთა რეფლექსიისა და ანალიზის უნარის სტიმულირების და, ამგვარად, გააზრებული სწავლის ხელშეწყობისთვის.

ორივე მიზანი ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა განსხვავდება, როგორც შინაარსის, ისე გამოყენების მიდგომების მიხედვით.

- **ზოგიერთი მოსწავლის მიერ განსჯისთვის შერჩეულ ინტერკულტურულ გამოცდილებას** შესაძლოა მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს და ძლიერი გავლენა მოახდინოს მის მიერ კულტურული განსხვავებების გაცნობიერებაზე. ასეთი შემთხვევებისთვის ავტობიოგრაფიაში შემუშავებულია ზოგიერთი შედარებით რთული კითხვა.
- **ზოგიერთმა კი, შეიძლება შედარებით უმნიშვნელო (მაგ., სხვა ქვეყანაში ყოფნისას მალაზიაში პურის ყიდვა ან უცხოელისთვის გზის სწავლება) შემთხვევის ანალიზი მოინდომოს.** ასეთი შემთხვევებისთვის შესაძლოა ავტობიოგრაფიის ზოგიერთი კითხვა არარელევანტური აღმოჩნდეს და მასზე პასუხის გაცემა აღარ არის სავალდებულო.

როგორ გამოვიყენოთ ავტობიოგრაფია?

ავტობიოგრაფიის გამოყენება შესაძლებელია გაკვეთილზე და ასევე არაფორმალურ გარემოში მოსწავლისათვის სასურველ ნებისმიერ დროსა და ადგილზე.

ის შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების ინსტრუმენტად ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისას, ასევე როგორც სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული საშუალება. ავტობიოგრაფია შეიძლება პირადად გამოვიყენოთ ინდივიდმა, როგორც თვითშეფასების ალტერნატიული ფორმა – ერთგვარი დღიური, რომელიც შესაძლოა კონფიდენციალური დარჩეს.

ავტობიოგრაფიის გამოყენებას ერთი ან რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს:

- მასწავლებლის განზრახვა შეიტანოს ავტობიოგრაფია სასწავლო პროცესში;
- მოსწავლის სურვილი ავტობიოგრაფიის კონფიდენციალურობის შესახებ;
- მოსწავლის ასაკი და ავტობიოგრაფიის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი.

გთავაზობთ ავტობიოგრაფიის გამოყენების რამდენიმე შესაძლო ვარიანტს:

არდადეგების შემდეგ

ავტობიოგრაფია შეიძლება გამოვიყენოთ უმცროსკლასელებთან სასკოლო არდადეგების შემდეგ, როცა ისინი სახლიდან შორს, შესაძლოა სხვა ქვეყანაში, ქვეყნის სხვა რეგიონში ან ბანაკში ისვენებდნენ და წავახალისოთ დაფიქრდნენ არდადეგების დროს მიღებულ კონკრეტულ გამოცდილებაზე. შესაძლოა მასწავლებელმა ინდივიდუალური ინტერვიუ გამოვიყენოთ ამ სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან.

ექსკურსიის შემდეგ

მოსწავლეები სკოლიდან ხშირად მიდიან ქვეყნის სხვა რეგიონების გასაცნობად. ამისთვის მოსწავლეებს ზედმიწევნით ამზადებენ, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია დავებმართოთ მოსწავლეებს ამ მოვლენის შემდგომ რეფლექსიაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ერთად იყვნენ ექსკურსიაზე, ყოველ მათგანს საკუთარი გამოცდილება დაუგროვდა და ავტობიოგრაფია დაეხმარება ექსკურსიის შემდგომი გამოცდილების ინდივიდუალიზებასა და რეფლექსიაში. ავტობიოგრაფიის დაწერის შემდეგ, შესაძლოა მათ საკუთარი გამოცდილების გაზიარება მოისურვონ და მასწავლებლის დახმარებით, ინდივიდუალური გამოცდილების არასაჭირო განზო-

გადების ნაცვლად, ისინი კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან გამოცდილებათა მრავალფეროვნებაზე.

საზღვარგარეთ სწავლისთვის სამზადისის და სწავლის პერიოდში

საზღვარგარეთ სწავლისთვის მომზადებისას ისეთი პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა ევროსაბჭოს მიერ მოსწავლეთა გაცვლა ან ერაზმუსი, მოსწავლეები და სტუდენტები ეცნობიან ავტობიოგრაფიას და ავსებენ მას უკვე არსებული კონკრეტული გამოცდილების საფუძველზე (მაგალითად, მენტორ სტუდენტთან ურთიერთობა). შემდეგ ავტობიოგრაფიას ავსებენ უცხოეთში სწავლისა და ცხოვრების პერიოდში მიღებული კონკრეტული გამოცდილების საფუძველზე ან შინ დაბრუნებისას კრიტიკული რეფლექსიის მიზნით.

მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ

მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ, მაგალითად, მოსწავლე შეესწრო რასობრივ საფუძველზე ვისიმე შეურაცხყოფის ფაქტს. ავტობიოგრაფია გამოიყენება მოსწავლის რეაქციის ანალიზისთვის. ანალიზი შესაძლოა მასწავლებლის მიერ საკლასო ოთახში წარმართოს ან ინდივიდუალურად განხორციელდეს იმ პირობით, რომ დაცული იქნება კონფიდენციალურობა.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ავტობიოგრაფია შეგვიძლია მოქნილად გამოვიყენოთ და მოვარგოთ სხვადასხვა გარემოებას. სავალდებულო არ არის მომხმარებელმა ყველა კითხვას უპასუხოს; **ეს არ არის კითხვარი.**

შესაძლოა მასწავლებელს მოუნდეს ქვეთავში კითხვის ფორმულირების შეცვლა მოსწავლეთა ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ქვეთავის დასათაურება, მისი შესავალი ნაწილი და ნაწილების/კითხვების თანმიმდევრობა არის ერთადერთი, რისი შეცვლაც არ არის მიზანშეწონილი.

რა პრინციპებზეა აგებული ავტობიოგრაფია?

ავტობიოგრაფია სამ მნიშვნელოვან დებულებას ეფუძნება:

- განსაკუთრებულ ან „იშვიათ“ მოვლენას ადამიანის ცხოვრებაზე გრძელვადიანი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს;
- გამოცდილების ანალიზის ინსტრუმენტმა, განსაკუთრებით „იშვიათი“ მოვლენების ანალიზისას, შესაძლოა გამოცდილების მნიშვნელობა გაზარდოს;

- ცვლილებები ყოველთვის არ აკუმულირდება; გამოცდილების შედეგად ინტერკულტურული კომპეტენცია შესაძლოა ამაღლდეს ან პირიქით, შემცირდეს.

ავტობიოგრაფიის სტრუქტურას, კონკრეტულ კითხვებსა და მათ თანმიმდევრობას განაპირობებს ინტერკულტურული კომპეტენციის განსაზღვრება, ანუ მოდელი მთელ რიგ მაიდენტიფიცირებელ ელემენტებთან ერთად. მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს იფიქრონ საკუთარ ინტერკულტურულ კომპეტენციაზე ამ ელემენტებთან მიმართებაში, თუმცა ტექნიკური ტერმინების მითითების გარეშე.

მასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მოსწავლეების დახმარებას, თუ ეცოდინება რა იგულისხმება ავტობიოგრაფიაში დასმული კითხვების მიღმა და რა არის ზემოხსენებული ელემენტები. ეს ელემენტები განხილულია აქაც და თეორიულ ინდიკატორებშიც. ავტობიოგრაფია წარმოდგენილია ყოველი კითხვისა და შესაბამისი ელემენტების ბმულებით.

ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელი დამოკიდებულებები და გრძნობები

- *სხვათა იდენტობების აღიარება:* სხვათა განსხვავებული იდენტობის შემჩნევა და მათი ღირებულებებისა და შეხედულებების მიღება.
- *განსხვავებულის პატივისცემა:* სხვების მიმართ ცნობისმოყვარეობის გამოვლენა და მზადყოფნა ეჭვქვეშ დააყენო ის, რაც თავისთავად იგულისხმება და „ნორმალურად“ მიიჩნევა.
- *ემპათიის უნარი:* უნარი სხვისი პერსპექტივით დაინახო მოვლენა, წამოიდგინო მისი ფიქრები და განცდები.
- *დადებითი და უარყოფითი ემოციების განსაზღვრა და მათი დაკავშირება დამოკიდებულებებთან და ცოდნასთან.*
- *ბუნდოვანების მიმართ ტოლერანტულობა:* იმის აღიარება, რომ სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის გამო ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები და ღირებულებები აქვთ და ამიტომ შესაძლებელია არსებობდეს ნებისმიერი მოცემული სიტუაციის მრავალი პერსპექტივა და ინტერპრეტაცია.

ქცევა

- *მოქნილობა:* ქცევის ადაპტაცია ახალ სიტუაციასთან და ადამიანთა მოლოდინებთან.

- *მგრძნობელობა კომუნიკაციის ფორმებისადმი:* სხვა ენებში მეტყველებისა და კომუნიკაციის ფორმების განსხვავებულობის ან ერთი და იმავე ენის განსხვავებული გამოყენების აღიარება.

ცოდნა და უნარები

- *სხვა ადამიანების შესახებ ცოდნა:* ფაქტების ცოდნა იმ ადამიანების შესახებ, რომელსაც ვხვდებით, როგორ და რატომ გახდნენ ისეთები, როგორიც არიან.
- *ცოდნის აღმოჩენა:* გარკვეული უნარების გამოყენება იმ ადამიანების გასაცნობად, რომელსაც ვხვდებით – კითხვების დასმა, ინფორმაციის მოძიება და ამ უნარების გამოყენება რეალურ ურთიერთობებში.
- *ინტერპრეტაცია და დაკავშირება:* ადამიანების, ადგილებისა და საგნების გაცნობა; ნაცნობ ადამიანებთან, ადგილებთან, საგნებთან მათი შედარებით, მსგავსებისა და განსხვავების დადგენა.
- *კრიტიკულობა:* სხვა ადამიანების ფიქრებსა და მოქმედებებზე დაკვირვების უნარი და საკუთარი ფიქრებისა და მოქმედებებისგან გამიჯვნა, რათა შეძლოს მათი (საკუთარი ფიქრებისა და მოქმედებების) ახსნა და განსჯა.
- *საკუთარი ვარაუდების, წინასწარი შეხედულებების, სტერეოტიპებისა და მიკერძოებული აზრის გაცნობიერება.*

მოქმედება

- ყველა ზემოთქმულის შედეგად სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი და შესაძლებლობა გარემომცველი სამყაროს უკეთესობისაკენ შესაცვლელად.

როგორია ავტობიოგრაფიის ეთიკური ასპექტები?

ამ მოდელის მიხედვით ავტობიოგრაფიის მიზანია წაახალისოს მოსწავლეები იფიქრონ საკუთარი დამოკიდებულებების, ქცევის, ცოდნა/უნარების და შესაძლო მოქმედებების შესახებ. ზოგიერთ გარემოებაში (შესაძლო სცენარები იხილეთ ზემოთ ქვეთავში „როგორ გამოვიყენოთ ავტობიოგრაფია“) მასწავლებელმა შესაძლოა გამოიყენოს კითხვები, რათა წაახალისოს მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და კრიტიკულად იფიქრონ საკუთარ გამოცდილე-

ბაზე. კერძოდ, წაახალისონ, რომ სხვებთან ურთიერთობის საფუძველზე უკეთესობისკენ შეცვალონ საკუთარი თავი და გარემო.

ავტობიოგრაფიის გამოყენებისას შესაძლოა წამოიჭრას ეთიკური საკითხები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსწავლე უარყოფითად ან მტრულად არის განწყობილი „სხვების“ მიმართ. ექსტრემალურ უარყოფით დამოკიდებულებაზე მოგვიანებით უნდა ვიზრუნოთ. შედარებით რბილი უარყოფითი რეაქციები, საბოლოო ჯამში, შესაძლოა დაეხმაროს მოსწავლეს ავტობიოგრაფიის დახმარებით განივითაროს ინტერკულტურული განსხვავებებისადმი დადებითი დამოკიდებულება (ან, სულ მცირე, მათი აღიარება).

აქ არ შეევუდგებით წამოჭრილი ეთიკური საკითხების დეტალურ განხილვას. მასწავლებლისთვის სასარგებლო იქნება იცოდეს რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით არსებული რესურსების შესახებ, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ არის გამოცემული (ბევრი მათგანი ქართულ ენაზეც არსებობს):

- Young People Facing Difference. Council of Europe, Strasbourg, 1995.
- All Different, All Equal: Education Pack – Ideas, Resources, Methods and Activities for Informal Intercultural Education with Young People and Adults. Council of Europe, Strasbourg, 2005.
- დომინო – სახელმძღვანელო, როგორ გამოვიყენოთ თანატოლთა ურთიერთგანათლება, როგორც რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, ევროპის საბჭო, 2004, <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/publications>
- კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. ევროპის საბჭო, 2004 <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/publications>
- Companion: A Campaign Guide about Education and Learning for Change in Diversity, Human Rights and Participation. Council of Europe, Strasbourg, 2007.
- კომპასიტო, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისათვის. ევროპის საბჭო, 2004წ. <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/publications>
- Living in Democracy, EDC/HRE Volume III, Council of Europe Publishing, 2008.

კულტურათშორისი სწავლება, T-kit. ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2000 http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/coe_ge.asp

ვის შეუძლია ავტობიოგრაფიის გამოყენება?

ავტობიოგრაფია მოსწავლის საკუთრებაა და მრავალგვარად შეიძლება გამოიყენოს მასწავლებლის დახმარებით ან მის გარეშე. გთავაზობთ რამდენიმე შესაძლო ვარიანტს:

- სკოლამ შეიძლება გადაწყვიტოს შესთავაზოს ავტობიოგრაფია მოსწავლეებს და მასწავლებლებმა წახალისონ მოსწავლეები მის გამოსაყენებლად. მაგალითად, გეოგრაფიის ან ისტორიის მასწავლებელმა ექსკურსიის შემდეგ ან მშობლიური ენის მასწავლებელმა ექსკურსიის დროს ან მის შემდეგ;
- კონკრეტული მასწავლებელი, მაგალითად, კლასის დამრიგებელი, წახალისებს მოსწავლეებს გამოიყენონ ავტობიოგრაფია;
- უნივერსიტეტის ენების ცენტრმა შესაძლოა გამოიყენოს ავტობიოგრაფია, როგორც სტუდენტის დოსიეს ნაწილი;
- ახალგაზრდობის ცენტრმა მოზარდებს შორის იდეებისა და გამოცდილების კონფლიქტის დასარეგულირებლად;
- თვით მოსწავლეებმა სურვილის მიხედვით, შესაძლოა მშობლების დახმარებით და წახალისებით (მშობლებს დაეხმარებათ ეს გზამკვლევი);
- რამდენიმე მასწავლებელმა (მაგალითად, მშობლიური ან უცხო ენის, სამოქალაქო განათლების, ისტორიის ან გეოგრაფიის) შეიძლება კოორდინირებულად გამოიყენოს ავტობიოგრაფია კროსკულტურული თემების ახსნისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ავტობიოგრაფიის ორი ვერსია: **უმცროსკლასელებისთვის** (დაახლოებით 10-12 წლამდე) და **სტანდარტული** – ყველა სხვა ასაკისთვის.

გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომელ ვერსიას შესთავაზებს 10-12 წლის მოსწავლეებს მასწავლებელი თვითონ იღებს.

რა პასუხისმგებლობა აკისრია მასწავლებელს?

ავტობიოგრაფია მოსწავლის საკუთრებაა და ძალზე პირადული დოკუმენტი შეიძლება იყოს. ეს განაპირობებს მასწავლებლისთვის მუშაობის ზოგიერთ სპეციფიკურ ასპექტს:

- მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეების მიერ ავტობიოგრაფიის, როგორც პირადი დღიურის გამოყენება; ის არ ეცნობა ავტობიოგრაფიას მოსწავლის სურვილისა და თანხმობის გარეშე და არც ავალდებულებს მოსწავლეს მის გამოყენებას;
- მასწავლებელი მოქმედებს როგორც „მენტორი“, კითხულობს და მსჯელობს ავტობიოგრაფიის შესახებ მოსწავლესთან ერთად (ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჩანაწერების წარმოება; შესაძლოა გაკეთდეს აუდიო-ჩანაწერი, რომელსაც მოსწავლე ინახავს);
- მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეთა წყვილებს ერთმანეთის მიმართ შეასრულონ „მენტორის“ როლი; წყვილში ერთი შესაძლებელია ასაკით უფროსი იყოს;
- ავტობიოგრაფია შესაძლებელია შეივსოს მთელი კლასის მიერ სპეციფიკურ მოვლენასთან დაკავშირებით (მაგალითად, ექსკურსია) ან მაშინ, როცა მოსწავლეებს სურთ.

ყველა ამ და სხვა გარემოებებში მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა მოსწავლის სურვილის მიხედვით.

თუ მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და ავტობიოგრაფიაში დაწერილი ინფორმაცია, ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მათ.

მოქმედება/ქცევა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვები იმ ქმედებებისა და ქცევის შესახებ, რომელიც მოსწავლეებმა განახორციელეს ან გეგმავენ ინტერკულტურული გამოცდილების შედეგად. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რამდენად და როგორ წაახალისებს მოსწავლეებს კონკრეტული აქტივობისთვის. არსებობს ეთიკური საკითხები იმის შესახებ, უნდა იკისროს თუ არა მასწავლებელმა ასეთი პასუხისმგებლობა.

გადაწყვეტილება მიიღება თითოეული მასწავლებლის, მასწავლებელთა ჯგუფის ან საგანმანათლებლო ინსტიტუტის მთლიანი პო-

ლიტიკის მიხედვით. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მასწავლებელი, ინსტიტუტი ან განათლების სისტემა არსებული ტრადიციისა და პერსონალური/ინსტიტუციური პასუხისმგებლობის მიხედვით.

პრაქტიკული საკითხები

ავტობიოგრაფიის ინტერპრეტაცია

თუ მასწავლებელი ან მენტორი ეხმარება მოსწავლეებს ავტობიოგრაფიის შევსებაში არ უნდა განიხილოს ის ტიპურ კითხვარად:

- არ არის აუცილებელი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა – ივსება მხოლოდ ის კითხვები, რომელიც კონკრეტულ შემთხვევასთან არის დაკავშირებული;
- მასწავლებელს/მენტორს შეუძლია კითხვების ინტერპრეტაცია/ახსნა/პერიფრაზი და მათი გამოყენება ინტერკულტურული გამოცდილების შესახებ დისკუსიის ჩარჩოდ.

როგორ ჩავიწეროთ გამოცდილება

არსებობს ორი ძირითადი მიდგომა (თუმცა, შესაძლებელია სხვა მიდგომების გამოყენებაც):

- მოსწავლეები საკუთარი სიტყვებით წერენ, რისი თქმაც სურთ (კონფიდენციალურად ან მასწავლებელთან დისკუსიის დროს/შემდეგ);
- მოსწავლეები და მასწავლებელი მსჯელობენ საკუთარ გამოცდილებაზე და ახდენენ საუბრის აუდიო-ჩანაწერს ან ასეთ ჩანაწერს აკეთებენ სახლში (შესაძლოა მშობლების დახმარებით).

სასურველია, გამოყენებამდე მასწავლებელმა თავად შეავსოს ინტერკულტურული ურთიერთობების ავტობიოგრაფია.

თეორიული ინდიკატორები

1. შეხვედრა

სათაური

დაასათაურეთ შემთხვევა ისე, რომ გარკვეულწილად ასახოს შინაარსი...

აღწერა

რა მოხდა, როცა პირველად შეხვდით ამ ადამიანს/ადამიანებს?

დრო

როდის შეხვდით?

ადგილი

სად შეხვდით? რას აკეთებდით იქ?

ეს შეხვედრა მოხდა... (გთხოვთ, მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი)

– სწავლის პერიოდში

– დასვენებისას

– არდადეგების დროს

– სამსახურში

– სკოლაში

– სხვა _____

მნიშვნელობა

რატომ შეარჩიეთ სწორედ ეს გამოცდილება?

იმიტომ, რომ (გთხოვთ, მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი)

– მაიძულა დავფიქრებულობიყავი ისეთ საკითხზე, რაზეც ადრე არ მიფიქრია

– ჩემთვის პირველი გამოცდილება იყო

– უახლოეს წარსულში მოხდა

– გამაოცა

– იმედი გამიცრუა

– სასიამოვნო იყო

– გამაბრაზა

– შემცვალა

დაამატეთ ნებისმიერი სხვა რეაქცია თქვენი სიტყვებით და მიუთითეთ, თქვენი აზრით, რა გახდა ასეთი რეაქციის მიზეზი...

2. სხვა ადამიანი ან ადამიანები

ვინ იყო ჩართული?

თეორია – იდენტობის ცოდნა

თუ იცით, დაწერეთ ადამიანის ან ადამიანების სახელი...

დაწერეთ მათზე რაიმე...

პირველად რა შეამჩნიეთ მათი დანახვისას? როგორ გამოიყურებოდნენ? რა ეცვათ?

ქალი იყო თუ მამაკაცი? თქვენზე უფროსი თუ უმცროსი? იყო თუ არა სხვა ეროვნების, რელიგიის, რეგიონის წარმომადგენელი? (დაწერეთ მათზე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევთ).

3. თქვენი გრძნობები

ქვემოთ მოცემული წინადადებების დახმარებით აღწერეთ რა იგრძნოთ:

ჩემი გრძნობები ან ემოციები მაშინ...

მაშინ ვფიქრობდი...

მაშინ რაც მოვიმოქმდე...

(მაგალითად, იქნებ თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს რაღაც უჩვეულო ვერ შენიშნეთ. იქნებ უხერხული საუბრის თემა შეცვალეთ. იქნებ კითხვები დასვით, თქვენი აზრით, უჩვეულოს შესახებ)...

4. სხვა ადამიანის გრძნობები

წარმოიდგინეთ თავი სხვა ადამიანის ადგილზე...

თქვენი აზრით, იმ სიტუაციაში და იმ დროს, როგორ გრძნობდნენ თავს სხვა ადამიანები?

შესაძლოა რთული იყოს, მაგრამ ეცადეთ წარმოიდგინოთ, რას გრძნობდნენ ისინი.

ბედნიერები იყვნენ თუ ნაწყენები? სხვა რა ემოცია ჰქონდათ? როგორ გაიგეთ მათი გრძნობები?

თქვენი აზრით, რას ფიქრობდნენ ისინი, როცა ეს ყველაფერი მოხდა?

თქვენი აზრით, მათთვის ეს უჩვეულო იყო, საინტერესო თუ სხვაგვარი რეაქციის გამომწვევი?

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი ან დაამატეთ საკუთარი ვერსია და ახსენით არჩევანის მიზეზი.

თეორია – ტოლერანტობა

მათთვის ეს ყოველდღიური /უჩვეულო/გასაოცარი/ ამაღელვებელი გამოცდილება იყო, რადგან...

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე ვარიანტი და დაასრულეთ წინადადება და/ ან დაამატეთ საკუთარი მოსაზრებები.

სიტუაციაში ჩართულ სხვა ადამიანებს ემჩნეოდათ: გაოცება / აღელვება / სიამოვნება / არანაირი განსაკუთრებული ემოცია /

თეორია – განსხვავებულისადმი პატივისცემა
ამას მათი ქცევის/ნათქვამის/გამოხედვის გამო აღვნიშნავ, მაგალითად მათ.... (დაწერეთ რა შენიშნეთ)
არა ვარ დარწმუნებული, რადგან ისინი საკუთარი გრძნობების დამალვას ცდილობდნენ...

5. მსგავსი და განსხვავებული

დაფიქრდით რა მსგავსება და განსხვავება იყო იმ სიტუაციაში თქვენს ფიქრებსა და განცდებს და მათ ფიქრებსა და განცდებს შორის...

იცოდით თუ არა იმ მომენტში რომელიმე მსგავსება, კერძოდ, რომელი?

თეორია – ემპათია

იცოდით თუ არა იმ მომენტში რომელიმე განსხვავება, კერძოდ, რომელი?

მიუზღუნდით სიტუაციას...

ამჟამად, შეგიძლიათ თუ არა რომელიმე მსგავსების დასახელება, კერძოდ, რომლის?

ამჟამად, შეგიძლიათ თუ არა რომელიმე განსხვავების დასახელება, კერძოდ, რომლის?

ამჟამად, როგორ დაახასიათებთ საკუთარ ფიქრებს, გრძნობებსა და ქმედებებს?

პირველი ფიქრები

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე ვარიანტი და დაასრულეთ წინადადება და/ ან დაამატეთ საკუთარი მოსაზრებები.

იმ სიტუაციაში ჩემი მოქმედება შესატყვისი იყო, რადგან რაც მე გავაკეთე...

ვფიქრობ, სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავი...

ჩემი აზრით, საუკეთესო იქნებოდა ჩემი რეაქცია, თუ...

ჩემი რეაქცია ნორმალური იყო, რადგან...

მე ასე დავმალე საკუთარი ემოციები...

6. საუბარი

გაიხსენეთ, სხვა ადამიანებთან საუბრისას ან წერილის მიწერილას გიწევდათ თუ არა ადაპტირება (სიტყვების შერჩევა/მორგება)?

პირველი ფიქრები

თეორია – კომუნიკაციური ცნობიერება

შემდგომი ფიქრები – მაგალითი:

მათ ჩემს ენაზე ვესაუბრებოდი და შევნიშნე, რომ გარკვეული ცვლილებები იყო საჭირო უკეთ რომ გაეგოთ ჩემი ნათქვამი, მაგალითად...

მათ ჩემს ენაზე არ ვესაუბრებოდი და გარკვეული ცვლილებები დამჭირდა, რომ უკეთ გაეგოთ ნათქვამი – გამარტივება / შესტების გამოყენებით ახსნა, სიტყვის ახსნა...

შევნიშნე, როგორ საუბრობდნენ – ამარტივებდნენ, იყენებდნენ შესტებს, ნელა საუბრობდნენ...

გქონდათ თუ არა რაიმე ცოდნა ან გამოცდილება, რომელიც უკეთ კომუნიკაციაში დაგეხმარათ?

პირველი ფიქრები

თეორია – ცოდნა

შემდგომი ფიქრები – მაგალითი:

ვიცოდი, როგორ ურთიერთობენ და იქცევიან ადამიანები სხვა ჯგუფებში და ეს დამეხმარა გამეცნობიერებინა მოცემული გამოცდილება და გამეუმჯობესებინა კომუნიკაცია. მაგალითად, ვიცოდი რომ...

ვიცოდი, რომ სიტუაციის მონაწილე სხვა ადამიანები განსხვავებულად ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ ბავშვობაში ნასწავლის მიხედვით, მაგალითად...

7. მეტის გაგება

შესაძლოა იმ სიტუაციაში იყო ისეთი რამ, რამაც თავსატეხი გაგიჩინათ და ეცადეთ მეტი გაგეგოთ ამის შესახებ.

თუ ასე იყო, როგორ მოიქცეით?

თუკი პასუხი იპოვეთ, როგორ შეძელით ამის გაკეთება?

მაგალითად,

იყო ისეთი რამ, რაც ვერ გავიგე, ამიტომ ვცადე პასუხის მოძებნა კითხვების დასმით / წაკითხვით / ინტერნეტში მოძიებით...

ინფორმაციის მოსაძიებლად გამოვიყენე შემდეგი წყაროები...

ინფორმაციის ძიებისას შევნიშნე შემდეგი მსგავსება და განსხვავება იმასთან, რაც ვიცოდი საკუთარ საზოგადოებაში ცხოვრების გამოცდილებიდან...

დღემდე თავსატეხს მიჩენს შემდეგი...

თეორია – ცოდნის აღმოჩენა (შემეცნებითი საქმიანობა)

8. შემეცნება შედარების საშუალებით

ადამიანები ხშირად ადარებენ საკუთარ და სხვა ჯგუფსა თუ კულტურას.

თქვენც ასე მოიქცეით? დაგეხმარათ ეს მომხდარის გაგებაში?

თეორია – ინტერპრეტაცია და დაკავშირება

მაგალითად, ამ გამოცდილებაში იყო რაღაც მსგავსი, რაც ვიცოდი ჩემი საკუთარი ჯგუფის გამოცდილებიდან, კერძოდ...

ამ გამოცდილებაში იყო რაღაც ჩემი ჯგუფის გამოცდილებისაგან განსხვავებული, კერძოდ...

9. გახსენება და მომავლის ფიქრები

თეორია – კრიტიკული კულტურული ცნობიერება

წარსულის გახსენებისას რა დასკვნებს გააკეთებდით?

დაასრულეთ შეძლებისდაგვარად მეტი წინადადება...

მომეწონა გამოცდილება, რადგან...

არ მომეწონა გამოცდილება, რადგან...

იყო ცალკეული მომენტები, რომელიც **მისაღები** იყო, რადგან...

იყო ცალკეული მომენტები, რომელიც **მიუღებელი** იყო, რადგან...

წარმოიდგინეთ, რომ ამის შესახებ კარგად ნაცნობ ადამიანს უყვებით (მაგალითად, დას ან ძმას).

თქვენი აზრით, მათაც იგივე შეხედულება ექნებათ როგორიც თქვენ გაქვთ? მათთვისაც იგივე მომენტები იქნება მისაღები ან მიუღებელი?

ეცადეთ მოიფიქროთ და დაწეროთ, რატომ შეიძლება ჰქონდეთ თქვენთვის კარგად ნაცნობ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე ჯგუფს მიეკუთვნებიან (ოჯახი, რელიგია, ქვეყანა, რეგიონი და სხვ.) თქვენი მსგავსი რეაქცია.

შეგცვალათ თუ არა გამოცდილებამ? როგორ?

თეორია – ქმედებაზე ორიენტაცია

გადაწყვიტეთ თუ არა გარკვეული მოქმედება ამ გამოცდილების შედეგად?

რა მოიმოქმედეთ?

გადაწყვეტთ თუ არა მიმართოთ გარკვეულ მოქმედებას ამ ავტობიოგრაფიის შედეგად?

თუ გადაწყვეტთ, რა იქნება ეს მოქმედება?

მაგალითისთვის გთავაზობთ ავტობიოგრაფიის სანიმუშო ნაწილს

ავტობიოგრაფია დაგეხმარებათ გააანალიზოთ ინტერკულტურული ურთიერთობების ის კონკრეტული შემთხვევები, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდით. სხვადასხვა კითხვებზე პასუხისას აანალიზებთ თქვენს მიერ შერჩეულ სიტუაციას.

ინტერკულტურული ურთიერთობა გულისხმობს სხვა ქვეყნის მცხოვრებთან ან თქვენივე ქვეყნის მცხოვრებ სხვა კულტურის წარმომადგენელთან შეხვედრას. ეს შესაძლოა იყოს თქვენი ქვეყნის სხვა რეგიონის მცხოვრები, სხვა ენაზე მოლაპარაკე ან სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. ავტობიოგრაფიაში ვაანალიზებთ ინტერკულტურული ურთიერთობის მხოლოდ ერთ შემთხვევას.

გთავაზობთ ინტერკულტურული შეხვედრების რამდენიმე მაგალითს:

ინგლისელ მოზარდ გოგონას პირველად ჰქონდა ურთიერთობა უცხოელთან, როცა დედასთან ერთად თურქეთში მყოფნი დაიკარგნენ ქალაქში და უცხოელს მიმართეს დახმარებისთვის.

ათი წლის გოგონა არდადეგების პერიოდში ეგვიპტეში იყო, სადაც ადგილობრივი 11 წლის გოგონა გაიცნო. ისინი ერთმანეთს სანაპიროზე შეხვდნენ და თავდაპირველად ჟესტების ენაზე ისაუბრეს. გოგონამ შეიტყო, რომ მისი ახალი ნაცნობის მშობლები იმ სასტუმროში მუშაობენ, სადაც თავად ცხოვრობს საკუთარ მშობლებთან ერთად.

გერმანელი ბიჭი მეგობარს სტუმრობს. მეგობრის მშობლები გერმანიაში იაპონიიდან ჩამოვიდნენ, თუმცა თვითონ გერმანიაში დაიბადა.

ახალგაზრდა ბულგარელმა გოგონამ შეერთებული შტატების საერთაშორისო აეროპორტში უნგრელი და თურქი ბიჭები გაიცნო. ის გააოცა ბიჭების ძალზე განსხვავებულმა რეაქციამ განცხადებაზე, რომ რეისი გადაიდო.

საფრანგეთში ჩასული დაღლილი და განერვიულებული სტუდენტი გააოცა ავტობუსის მძღოლის თავაზიანობამ და ყურადღებამ.

ბულგარელმა ბიჭმა სომეხ მეგობარს შობა მიულოცა, თუმცა გაიგო, რომ სომხეთში სხვა დღეს ზეიმობენ შობას და ამის გამო თავი უხერხულად იგრძნო.

ასეთი შემთხვევები ყველგან შეიძლება მოხდეს – თქვენსავე ქვეყანაში, რეგიონში, სახლში, სხვა ქვეყანაში მოგზაურობისას.

შეარჩიეთ ურთიერთობის ის ეპიზოდი, რომელიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თქვენთვის – დაგაფიქრათ, რაღაცით გაგაოცათ, სასიამოვნო შთაბეჭდილება დაგიტოვათ, თავი უხერხულად გაგრძნობინათ და ა.შ.

დაასათაურეთ თქვენი კომენტარი, მაგალითად, „თურქეთში ურთიერთობის გამოცდილება“, „უცხო ენაზე ჩემი პირველი საუბარი“, „ჩემი იაპონელი მეგობრის სახლში ცხოვრება“, „აეროპორტში რეისი გადაიდო“, „საფრანგეთში ვიზიტი“, „შობის დღესასწაულის აღნიშვნის თარიღი“ და ა.შ.

გთავაზობთ ავტობიოგრაფიას, სადაც მოცემულ კითხვებზე პასუხი საშუალებას მოგცემთ იფიქროთ მიღებული გამოცდილების შესახებ. ეცადეთ მაქსიმალურად გულწრფელად უპასუხოთ კითხვებს იმის მიუხედავად, ურთიერთობის დადებით გამოცდილებას ანალიზებთ, თუ უარყოფითს. ნებისმიერი გამოცდილება მნიშვნელოვანია!

ვინ ვარ მე?

როგორ განსაზღვრავდით საკუთარ თავს?

მოიფიქრეთ რა არის თქვენთვის უმნიშვნელოვანესი საკუთარი თავის თქვენეულ ხედვაში. როგორ გსურთ, რომ სხვები გხედავდნენ? _____

თუ აუცილებლად ჩათვლით საკუთარ თავზე შემდეგი ინფორმაციის გაზიარებას, მიუთითეთ: სახელი, ასაკი, სქესი, ეროვნება, ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი ან სოფელი, რელიგია, ენა და ა.შ.

შეხვედრა

სათაური

დაასათაურეთ თქვენი შეხვედრა ისე, რომ სათაური ასახავდეს შინაარსს.

აღწერა

რა მოხდა ამ ადამიანთან/ადამიანებთან შეხვედრისას? _____

დრო

როდის შეხვდით? _____

ადგილი

სად შეხვდით? იქ რას აკეთებდით? _____

ეს შეხვედრა მოხდა... (აღნიშნეთ შესაბამისი ვარიანტი)

- ☐ სწავლის პერიოდში
- ☐ დასვენებისას
- ☐ არდადეგების დროს
- ☐ სამსახურში
- ☐ სკოლაში
- ☐ სხვა _____

მნიშვნელობა

რატომ შეარჩიეთ ინტერკულტურული ურთიერთობის სწორედ ეს ეპიზოდი?

იმიტომ, რომ (გთხოვთ მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე ვარიანტი)

- ☐ მაიძულა დავფიქრებულებიყავი ისეთ საკითხზე, რაზეც ადრე არ დავფიქრებულვარ
- ☐ ჩემთვის პირველი გამოცდილება იყო
- ☐ უახლოეს წარსულში მოხდა
- ☐ გამოაცა
- ☐ იმედი გამიცრუა
- ☐ სასიამოვნო იყო
- ☐ გამაბრაზა
- ☐ შემცვალა

აღწერეთ თქვენი ნებისმიერი სხვა რეაქცია თქვენი სიტყვებით და მიუთითეთ, თქვენი აზრით რა გახდა ასეთი რეაქციის მიზეზი...

რას დაამატებდით? _____

5.7. ABCD-გვირგვინი⁵⁶


ABCD-გვირგვინი სწავლება-სწავლის ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა ინტერკულტურულ განათლებაში. ის სამართლიანი პედაგოგიკის კარგი ნიმუშია (ბენკსი, 1994) მულტიკულტურულ საკლასო ოთახში სწავლებისთვის. ABCD-გვირგვინი საუკეთესოდ წარმოაჩენს სწავლება-სწავლის ჰოლისტიურ მიდგომას. ჩვენ გენეტიკური წინასწარი განწყობებით ვიბადებით, თუმცა, ცხოვრების მანძილზე გენეტიკური წინასწარგანწყობა იცვლება მთელი რიგი გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით. ყველა ეს ფაქტორი ურთიერთქმედებს ერთმანეთზე და, საერთო ჯამში, გენეტიკურ წინასწარგანწყობაზე. ამ ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება პიროვნების იდენტობა და საკუთარი თავის იმიჯი. ამა თუ იმ ფაქტორს შეიძლება ჰქონდეს დამცავი ან საფრთხის მატარებელი ზეგავლენა. სხვადასხვა ფაქტორების ერთმანეთზე ზემოქმედება კომპლექსური და დინამიური პროცესია. ამ ზეგავლენების უკეთ გასაგებად არნჰემის (ჰოლანდია) დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადების კოლეჯში შემუშავდა ქვემოთ მოცემული მოდელი:

ეს მოდელი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვზე გარემო (ზოგჯერ გარემოს ეკოსისტემადაც მოიხსენიებენ). თუმცა, არსებობს საპირისპირო ვექტორიც – უშუალოდ ბავშვის გავლენა გარემოზე.

წარმოდგენილ გრაფიკში ისრები სწორხაზოვანი და ურთიერთ-მიმართულია. სქემა უაღრესად კომპლექსურ და დინამიურ პროცესს ასახავს. თითოეული ბავშვისთვის ოჯახი და სამეზობლო/თემი ძალზე მნიშვნელოვანია. ყველა ბავშვი დადის სკოლაში და მოდელი ამ ურთიერთკავშირსაც ასახავს. ოჯახი, სამეზობლო/თემი და სკოლა, გენეტიკურ წინასწარგანწყობასთან ერთად, დიდწილად განაპირობებს ბავშვის განვითარებას. მთავრობა ე.წ. „გარსს“ ქმნის ამ პროცესების გარშემო. ის ძლიერ ზეგავლენას ახდენს ოჯახზე, სამეზობლოზე/თემზე და სკოლაზე (გარკვეულწილად, მართალია

56. http://www.tickle-project.eu/toolbox/material/materials_netherlands/Link_7_ABCD_crown.pdf
http://www.tickle-project.eu/toolbox/material/materials_netherlands/Link_7_THE%20ABCD_%20OF_%20INTERCULTURAL_%20CLASSROOM_%20EDUCATION.pdf

საპირისპიროს მტკიცებაც). აქედან გამომდინარე, მთავრობას ირი-
ბი ზეგავლენა აქვს ბავშვზე. ამ მოდელის თითოეული კომპონენტი
მოიცავს უამრავ ფაქტორს. **1-ლ დანართში** წარმოდგენილია გავლე-
ნის ეკოლოგიური სფეროები, სადაც ამ მოდელის თითოეული კომ-
პონენტი შემდგომ გაშლილია ფაქტორებად. თითოეულ ფაქტორს
ბავშვზე შეიძლება ჰქონდეს დადებითი (დამცავი) ან უარყოფითი
(სარისკო) გავლენა.



თუ დავაკვირდებით გავლენის ეკოლოგიურ სფეროს, დავინა-
ხავთ, რომ სკოლა ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მო-
დელში. სკოლაში მასწავლებელი ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია.
ის ზემოქმედებს სხვა ფაქტორებზე, თუმცა არა ყველაზე. მისი გავ-
ლენის სფერო შეზღუდულია. შესაძლოა მასწავლებელს სურდეს
მეტი გავლენა მოსწავლის ოჯახზე ან სამეზობლოზე, მაგრამ ეს
არ არის მისი ამოცანა. უმჯობესია მასწავლებელმა ყურადღებით
შეისწავლოს, როგორ შეუძლია ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე
საკუთარ კლასში. ქვემოთ გთავაზობთ მასწავლებელთან დაკავში-
რებულ ფაქტორებს:


- თავისებურებები, ინტელექტი, საკუთარ თავზე წარმოდგენა (თვითიმიჯი), ავტობიოგრაფია/ბიოგრაფია და ყოველდღიური მოვლენები
- განათლება/გამოცდილება
- სამუშაოთი კმაყოფილება/სტრესი
- აღზრდის ტიპი (ავტორიტარული, დემოკრატიული, laissez-faire) /სწავლების უნარები
- ჰარმონიზაციის ხარისხი (მგრძნობელობა და გულისხმიერება)
- დაფიქრების/რეფლექსიის უნარი
- ურთიერთობა შშობლებთან, გარეშე მხარეებთან და სხვ.

რეფლექსია: მოკლედ ჩამოაყალიბეთ, როგორი ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა ფაქტორებმა თქვენზე, როგორც მასწავლებელზე მულტიკულტურულ საკლასო ოთახში

.....

.....

სამართლიანი მიდგომა ემყარება დიალოგს, როგორც მიდგომას ინტერკულტურულ განათლებაში და იდო აბრამისეულ (Ido Abram, 2001) ABCD-გვირგვინს.⁵⁷



აღნიშნული მოდელი იწყება A-თი – ავტობიოგრაფიით. ავტობიოგრაფია არის საკუთარი ცხოვრების ისტორიის აღწერა. ეს არის

57. http://www.tickle-project.eu/toolbox/material/materials_netherlands/Link_7_THE%20ABCD_%20OF_%20INTERCULTURAL_%20CLASSROOM_%20EDUCATION.pdf

იმ მოვლენების ნაკრები, რომლებსაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. ამდენად, ავტობიოგრაფია ავლენს, თუ როგორ ვხედავთ საკუთარ თავს. ის გვიჩვენებს ვინ ვართ და ასახავს ჩვენს იდენტობას. ავტობიოგრაფია არის ადამიანის ისტორია. აქედან გამომდინარე, ის გვიჩვენებს, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ საკუთარ ცხოვრებას. ავტობიოგრაფია ასევე ავლენს, რამდენად ვაფასებთ საკუთარ თავს და საკუთარ ცხოვრებას (თვითმიჯი). ავტობიოგრაფია ჩვენი ცხოვრების ჩვენეული ვერსიაა. სხვა ადამიანებს შეიძლება ჩვენი ცხოვრების მიმართ განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ. იმიჯი, რომელიც სხვებს აქვთ ჩვენს შესახებ, ზოგჯერ იწოდება ბიოგრაფიად (B). ბიოგრაფიას სხვები წერენ და აღნიშნავენ, როგორ აფასებენ და როგორ ხედავენ ჩვენს ცხოვრებას. ის აღწერს სხვების მიერ დანახულ ჩვენს იმიჯს. ბიოგრაფია ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ ხედავს ერთი ადამიანი მეორის ცხოვრებას, რას ფიქრობს ერთი – მეორეზე. შეგვიძლია ნაცნობ ადამიანებს ვთხოვოთ გვითხრან რას ფიქრობენ ისინი ჩვენზე. მეგობრებს/ოჯახის წევრებს ხშირად ძალიან ნათელი წარმოდგენა აქვთ ჩვენს ცხოვრებაზე/ცხოვრების სტილზე. ამასთან, მათ შესაძლოა ჩვენი მსგავსი ცხოვრება/ცხოვრების სტილი ჰქონდეთ, ამიტომ უფრო საინტერესო იქნება იმ ადამიანებს ვთხოვოთ ჩვენი ბიოგრაფიის შედგენა, რომლებიც ახლოს არ გვიცნობენ. ძალზე საინტერესო იქნება ასეთი თხოვნით მივმართოთ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს.

რეფლექსია: თქვენი აზრით, რა არის თქვენი დადებითი და/ან საყურადღებო თვისებები? შეავსეთ ინდივიდუალურად ქვემოთ მოცემული შეკითხვების მიხედვით და შემდეგ გაუზიარეთ სხვებს. იცით თუ არა, როგორ შევიძინე ეს თვისებები?

- რამდენად ღია ვარ განსხვავებული ადამიანების მიმართ?
- რამდენად შემიძლია ადაპტირება სხვა კულტურის ადამიანთა წრეში?

ABCD მოდელს საუძვლად უდევს მოსაზრება, რომ სხვადასხვა ავტობიოგრაფიებსა და ბიოგრაფიებს შეუძლიათ მიგვიყვანონ კონფლიქტამდე (C). ბიოგრაფია, რა თქმა უნდა, ჩვენს ავტობიოგ-

რაფიაზე დაყრდნობით იქმნება. მოვლენებს ყველანი საკუთარი თვალთახედვით ვაფასებთ. სწორედ ეს გარემოებაა კონფლიქტის საფუძველი. კონფლიქტები ხშირად ინიღბება სიმშვიდის შენარჩუნების ან კონფრონტაციის თავიდან აცილების გამართლებით. ამგვარ მიდგომას შეიძლება მოყვეს დაძაბულობის ზრდა და, საბოლოო ჯამში, ემოციების უკონტროლო აფეთქება. ამდენად, მნიშვნელოვანია კონფლიქტების ამოცნობა და სახელდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ადამიანები ერთმანეთთან დიალოგის (D) დაწყებას. ეს არც ისე იოლია, რადგან ხშირად ადამიანები მიდრეკილნი არიან დიალოგის ნაცვლად კამათში ჩაებას. კამათის/დისკუსიის დროს ერთი მხარე ცდილობს დაარწმუნოს მეორე, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებობს „მცდარი“ და „მართალი“, „გამარჯვებული“ და „დამარცხებული“. დიალოგის მიზანია მონაწილეთა გამარჯვების უზრუნველყოფა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები აუცილებლად უნდა ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. დიალოგი იწყება აზრების ოპონირებით. განსხვავებების განხილვით დიალოგის მონაწილეებს შეიძლება სავსებით ახლებური ხედვა ჩამოუყალიბდეთ. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, თუმცა, დიალოგის გზით შესაძლებელია ამ აზრის სრულყოფა ან შეცვლა.

რეფლექსია: თქვენი აზრით, ინტერკულტურულ სიტუაციაში რამდენად ხარტ მიდრეკილი კონფლიქტის და/ან დიალოგისადმი? მოიყვანეთ მაგალითები მულტიკულტურულ ჯგუფებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და უპასუხეთ კითხვებს ინდივიდუალურად:

სიტუაციის ანალიზი

(მოცემული შემთხვევა ჰოლანდიის რეალობას ასახავს, შეცვალეთ ის თქვენი ქვეყნის შესაბამისად ისე, რომ შემთხვევამ დისკუსია გამოიწვიოს).

თქვენ მუშაობთ დაწყებით სკოლაში. მოსწავლეთა უმრავლესობის ერთი ან ორივე მშობელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. სკოლაში მრავალი განსხვავებული კულტურაა წარმოდგენილი და, ამ მხრივ, სკოლა მართლაც მულტიკულტურულია. დღეს დაგეგმილია კრების ჩატარება გაკვეთილების შემდეგ. ბოლო კვირების განმავლობაში სკოლაში დაძაბულობა იგრძნობოდა. მშობელთა ერთი ნაწილი მოსწავლეთა თავსაფრით სიარულს ეწინააღმდეგება. მათი აზრით, თავსაფრის ტარება არ შეეფერება დაწყებითი სკოლას და საჩივართ მიმართეს სკოლის ხელმძღვანელობას. საკითხი განიხილეს სკოლის სააქტო დარბაზში. მოსწავლეებმა პრობლემის განხილვა საკლასო ოთახებშიც გააგრძელეს. მწვავე დისკუსიები გაიმართა „სხვების მიმღებლობის“ შესახებ. დაძაბულობა იზრდება და უპასუხოდ რჩება კითხვა – რა ექნათ შემდეგ?

რეფლექსია: მიუთითეთ, როგორ მოიქცევოდით როგორც:

მასწავლებელი: _____

კლასის ხელმძღვანელი: _____

მშობელი: _____

აქ აღწერილია შემთხვევა, როდესაც განსხვავებული ავტობიოგრაფია და ბიოგრაფია ხდება კონფლიქტის მიზეზი. განსხვავებულთა ურთიერთგაგების გზა არის დიალოგი. დიალოგის მეშვეობით სხვადასხვა კულტურის ადამიანები იწყებენ ერთმანეთის კულტურის აღიარებას, დაფასებას და პატივისცემას. მოცემულ შემთხვევაში იმ ბავშვების მშობლებმა, რომლებიც თავსაფარს ატარებენ, გადაწყვეტილება საკუთარი რელიგიური ტრადიციის მიხედვით მიიღეს. ისლამურ კულტურაში თავსაფრის ტარება სავალდებულოა და ის ადამიანთა რწმენის გამოხატულებაა. სხვა კულტურაში კი ეს დეტალი ქალთა არაემანსიპირებულობის გამომხატველად განიხილება.

თუ თქვენ მუდმივად გაქვთ ურთიერთობა სხვა კულტურებთან შესაძლოა კონფლიქტებიც იწვნიოთ; ეს შესაძლოა იყოს კონფლიქტი თქვენსა და დომინანტ კულტურას შორის ან პირიქით, თქვენსა და კულტურულ უმცირესობას შორის. თუმცა, ზოგჯერ, ვერც შიდა კონფლიქტებს ავუვლით გვერდს. ორი ადამიანის შეხვედრისას ერთმანეთს ხვდება მათი კულტურული გამოცდილება. ამდენად, ურთიერთობა მყარდება მათ სტანდარტებს, ღირებულებებს და შეხედულებებს შორისაც. ამ სახის განსხვავებებმა შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. ერთმანეთს შესაძლოა დაუპირისპირდეს ორი კულტურა, როგორც ეს ზემოთ აღწერილ სიტუაციურ სავარჯიშოშია. ერთი კულტურის ფარგლებშიც შეიძლება განვითარდეს კონფლიქტური ქვეჯგუფები. კონფლიქტი შესაძლოა არ იყოს ფართომასშტაბიანი, თუმცა მიიღოს უკიდურესი ფორმები.

ყველა კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია. ეროვნულ/ქვეყნის დონეზე კონფლიქტების გადაჭრა, რასაკვირველია, ძალიან რთულია. ეს კონფლიქტები ჩვენი გავლენის სფეროს მიღმაა. თუმცა, ჩვენი მცირე წვლილის შეტანა მაინც შეგვიძლია სკოლის ან კლასის მასშტაბით. ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ თუ გვეცოდინება გვაქვს თუ არა კონფლიქტი სხვა კულტურებთან. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ არასოდეს გვექნია ასეთი კონფლიქტი სხვა კულტურებთან. მაშინაც ასე ვიფიქრებდით თუ, მაგალითად, საქმე ქალების უუფლებობას შეეხებოდა? ან რელიგიური შეხედულებების გამო ვიღაც უარს იტყოდა მედიკამენტების მიღებაზე? (შეგიძლიათ მაგალითი საკუთარი შეხედულებით შეცვალოთ) ეს მორალური საკითხები ზედაპირზე ძევს. თუმცა, სიღრმეში შესაძლოა კონფლიქტის გამომწვევი გაცილებით ბევრი უმნიშვნელო მორალური საკითხი იმალებოდეს.

სწავლება თანამედროვე მულტიკულტურულ საზოგადოებაში ადვილი არ არის. ამ მიმართულებით ABCD-გვირგვინი დიალოგის ჩარჩოს გვთავაზობს. დიალოგი შეგიძლიათ როგორც სხვებთან, ისე საკუთარ თავთან. დიალოგსა და კონფლიქტს შორის ბეწვის ხილია, რადგან დიალოგი ყოველთვის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების პერსპექტივიდან იწყება. ამ კონტრასტებზე საუბრისას ადამიანები ახლებურად იწყებენ ფიქრს. თითოეულ მონაწილეს შეუძლია საკუთარი აზრი ჰქონდეს, თუმცა დიალოგის პროცესში შეიძლება აზრი შეიცვალოს. დიალოგი არ არის ერთმანეთთან დის-

კუსია/კამათი. კამათის დროს ერთი მხარე ცდილობს მეორის დარწმუნებას, რასაც შედეგად ერთის გამარჯვება და მეორის დამარცხება მოსდევს. დიალოგის შემთხვევაში კი მიზანი ყველა ჩართული მხარის მოგებაა.

დიალოგი არც ისე იოლია, რადგან გვიხდება საკუთარი სტანდარტების, ღირებულებების და შეხედულებების გადახედვა. დიალოგის დროს კითხვების დასმით მეორე მხარესაც აიძულებთ დაფიქრდეს საკუთარ სტანდარტებზე, ღირებულებებსა და შეხედულებებზე, სააშკარაოზე გამოიტანოს და ისაუბროს მათზე. დიალოგში ჩართული მხარეები ცდილობენ საკუთარი შეხედულებების წინ წამოწევას. დიალოგის დროს სხვა ადამიანებს ვიღებთ ისეთებად, როგორებიც არიან. ცხადია, არ არის საჭირო დავეთანხმეთ სხვების სტანდარტებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს, მაგრამ მათ პატივი უნდა ვცეთ. თუკი ფიქრის აღმძვრელ კითხვებს გვისვამენ უნდა მოვერიდოთ საკუთარი პოზიციის ბრმად დაცვას. შესაძლოა მიზნად საკუთარი სტანდარტების, ღირებულებებისა და შეხედულებების გადახედვა და ზოგჯერ მათი დათმობაც კი დავიანხოთ.

დიალოგის უპირატესობების ახსნას ალბათ უკეთ შევძლებთ ჯოჰარის (Johari, 1955) „ფანჯრის“⁵⁸ მეშვეობით, რომელსაც სახელი ამ მოდელის შემქმნელების, ჯო ლაფტისა და ჰარი ინგამის (Joe Luft & Harry Ingham) მიხედვით ეწოდა:

	ცნობილია ადამიანისთვის	უცნობია ადამიანისთვის
ცნობილია სხვებისთვის	ღია არე	ბრმა არე
უცნობია სხვებისთვის	დაფარული არე	უცნობი არე

ეს მოდელი ასახავს ავტობიოგრაფიასა და ბიოგრაფიას – როგორ ხედავს ადამიანი საკუთარ თავს და/ან სხვებს, როგორ გამო-

58. <https://www.usc.edu/hsc/ebnet/Cc/awareness/Johari%20windowexplain.pdf>

ხატავს იმას, რასაც ხედავს? მოდელი იმასაც გვიჩვენებს, თუ სად იწყება კონფლიქტი. ეს მაშინ ხდება, როდესაც ერთი ან ორივე მხარის სტანდარტები, ღირებულებები და შეხედულებები უცნობია. სწორედ უცნობ არეს მივყავართ კონფლიქტამდე. თუმცა, დაფარული და ბრმა არეებიც დიდი რისკის მატარებელია. დიალოგისას ვსწავლობთ ერთმანეთის სტანდარტებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს. ეს ქმნის ღია სივრცეს, რომელშიც ჩვენ დადებითი დამოკიდებულება გვითავსებს ერთმანეთის მიმართ. სწორედ ეს არის განათლების საბოლოო მიზანი. სასურველი იქნება, თუ განვიხილავთ აქ მოცემულ თეორიას, დაფიქრდებით კითხვებზე და სხვა ადამიანებს (სასურველია, სხვა კულტურის წარმომადგენელს) გავუზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს.


რეფლექსია: მოკლედ აღწერეთ უცნობ, დაფარულ და ბრმა არეებში წარმოქმნილი კონფლიქტი.

უცნობი არე: _____

დაფარული არე: _____

ბრმა არე: _____

დიალოგში ჩაბმა მოითხოვს უსაფრთხოებისა და ნდობის ატმოსფეროს ჯგუფში. დიალოგის დროს ორივე მხარეს უნდა შეეძლოს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი სტანდარტები, ფასეულობები და შეხედულებები. ასეთ პირობებში ღია არე შეიძლება გაიზარდოს და შეგვეძლება თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები. ეს მონაწილეებისგან მოითხოვს ღია დამოკიდებულებას და ცოდნას, რომ განსხვავებული სტანდარტები, ღირებულებები და შეხედულებები დასაშვებია. ასეთი გარემოს შექმნა არ არის იოლი, თუმცა, დიალოგის საშუალებით მისი შექმნა შესაძლებელია. თუ მოსწავლეებთან დიალოგს გადავწყვეტთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ჯანსაღი ცნობისმოყვარეობის გამოვლენისა და დიალოგის წესების ამსახველი ქვემოთ მოცემული სქემა:



დიალოგის წესები:

- ერთმანეთს პატივისცემითა და მეგობრულად მოეპყარით.
- მიეცით სხვას საშუალება მოყვეს თავისი ისტორია.
- არ მოყვეთ საკუთარი ამბავი მაშინვე, დაელოდეთ კითხვებს.
- ილაპარაკეთ პირველ პირში: ვფიქრობ... ნაცვლად: მან თქვა, თქვეს...
- გადადეთ განსჯა და შეისწავლეთ.
- მიეცით დრო ფიქრისთვის, თუკი საჭიროა.

რეფლექსია: ჩაებით მულტიკულტურული ჯგუფის მოსწავლეებთან დიალოგში, მიყევით ჯანსაღი ცნობისმოყვარეობის ნაბიჯებს და დადებით საკითხად განიხილეთ „მულტიკულტურული განათლება“. დაწერეთ საკუთარი მოსაზრებები: _____

დამოუკიდებელი სამუშაო:

- წარმართეთ დიალოგი ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთან მათი და თქვენი ღირებულებების შესახებ.
- ასახეთ ეს საუბარი ჯოჰარის ფანჯრის გამოყენებით (ლია არე, ბრმა არე, დაფარული არე, უცნობი არე).
- ჩამოაყალიბეთ რა გავლენა ექნება თქვენზე, როგორც მულტიკულტურული კლასის მასწავლებელზე პირველ ორ პუნქტს.

5.8. რა არის კრიტიკული ინციდენტი?⁵⁹

მასწავლებლის მიზანი კლასში დადებითი სასწავლო ატმოსფეროს შექმნა და მოსწავლის სწავლის სტიმულის ამაღლებაა. დადებითი ატმოსფეროს შექმნა განსაკუთრებით მაშინაა ძნელი, როცა კლასში განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სოციალური ფენისა და ასაკის მოსწავლეები სხედან. ასეთმა განსხვავებებმა შეიძლება მიგვიყვანოს გაუგებრობამდე და კონფლიქტამდეც კი. ამან შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო ატმოსფეროზე, განსაკუთრებით, დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ბავშვებზე, რომლებიც სიტუაციიდან გამომდინარე იზოლირებულნი არიან კლასში. ერთ-ერთი საუკეთესო გზა მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, არის კრიტიკული ინციდენტის მიდგომის გამოყენება.

რა არის კრიტიკული ინციდენტი? პასუხი ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარია. ძირითადად, კრიტიკული ინციდენტი განიმარტება, როგორც პირადი გამოცდილების, განსჯის და ცოდნის ტრანსფორმაცია. ერთ-ერთი განმარტების მიხედვით მოსწავლეები თავდაპირველად ეცნობიან კრიტიკულ ინციდენტს, როგორც განსაკუთრებით გამორჩეულ მოვლენას, როგორიცაა, მაგალითად: სკოლის დამთავრება, ან დაბადების დღე. ამ განმარტების მიხედვით, კრიტიკული ინციდენტი არის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე.

59. <http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>

არსებობს სხვა განმარტებაც, რომლის მიხედვით კრიტიკული ინციდენტი, არის მოვლენა, რომელიც გვაიძულებს დავფიქრდეთ და გავანალიზოთ მომხდარი შემთხვევა, რაც იწვევს საკუთარი თავისა და სხვების უკეთ შესწავლას. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა კრიტიკული ინციდენტი არაა დრამატული, მაგრამ ის არის მოვლენა, რომელიც ხდება ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, განათლების მიღებისა თუ პროფესიული პრაქტიკის პერიოდში. ისინი „კრიტიკულები“ ხდებიან იმის გამო, რომ გვაიძულებენ დავფიქრდეთ პრობლემაზე და გავანალიზოთ ის. კრიტიკული ინციდენტის დანიშნულებაა ჩართონ მოსწავლეები/მონაწილენი კამათში და მისცენ მათ საშუალება გამოავლინონ თავიანთი დამოკიდებულება, და შეხედულებები კრიტიკული შემთხვევის გარშემო, იქნება ეს კლასში, სამუშაოზე, თუ ნებისმიერ სხვა გარემოში. ტრიანდისმა (Triandis) პირველმა გამოიყენა კრიტიკული ინციდენტი კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარებისათვის კულტურულ ასიმილაციებთან ერთად 1960-იან წლებში.

კრიტიკული ინციდენტი ინტერკულტურულ კომუნიკაციურ სწავლებაში მოიაზრება, როგორც სიტუაციების მოკლე აღწერა, სადაც გაუგებრობა, პრობლემა ან კონფლიქტი წარმოიშობა კულტურული განსხვავების ან კულტურათაშორისი ადაპტაციისა და კომუნიკაციის პროცესში წამოჭრილი პრობლემის შედეგად.

თითოეული ინციდენტი/შემთხვევა საკმაო ინფორმაციას იძლევა დისკუსიისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. მასში აღწერილია, თუ რა მოხდა. შესაძლებელია მონაწილეთა გრძნობები და რეაქციებიც კი იყოს გადმოცემული, მაგრამ სიტუაციებში არ არის მოცემული კულტურულ განსხვავებებთან ახსნა, პირიქით, ის ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ან გამოვავლინოთ, როგორც მთლიანი აქტივობის ერთ-ერთი ნაწილი. ეს ზუსტად ის განსაზღვრებაა, რომელიც ჩვენ გვჭირდება სწავლების პროცესში. კლასში მასწავლებლები იყენებენ იმ კრიტიკულ ინციდენტებს, რომლებშიც მოთხრობილია შედარებით გრძელი ამბავი ან სპეციალურ ბარათებს, რომლებშიც ციტატების სახით მოკლედაა აღწერილი მოცემული კულტურის შესახებ ჩვენი დამოკიდებულებები, ვარაუდები, ნდობა და ორიენტაცია.

კრიტიკული ინციდენტის მიზანია ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება, ახალ კულტურასთან შეგუება და წამოჭრილ სიძნელებებთან გამკლავება. მასწავლებლისათვის კი კრიტი-

კული ინციდენტი არის საშუალება, რომელიც ხელს უწყობს უფრო ღრმად ჩაწვდეს, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენს მისი საკუთარი კულტურა სწავლა-სწავლების პროცესზე. მასწავლებელი არის ხიდი კულტურათა შორის და ამ რთული როლის შესასრულებლად მას სჭირდება ინტერკულტურული მგრძნობელობის მაღალი დონე/ხარისხი.

რა არის ინტერკულტურული სენსიტიურობა? მილტონ ბენეტის ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელის (ისგმ) მიხედვით, ეს არის უნარი, დააფიქსირო და გააცნობიერო ის მეტად მცირე განსხვავებებიც კი, რომლებიც კულტურებს შორის არსებობს – „ის არის მაჩვენებელი გაზრდილი შემეცნებითი დახვეწილობის, სხვადასხვაგვარი მიდგომის ფლობის ღრმა უნარი და აქედან გამომდინარე, ის ითვლება ინტერკულტურულად უფრო განვითარებულ, ან სენსიტიურ პერსპექტივად“.

მილტონ ბენეტის ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელის მიხედვით არსებობს: სამი *ეთნოცენტრული* (მიაჩნია, რომ საკუთარი კულტურა არის ძირითადი არსებულ რეალობასთან მიმართებაში) და სამი *ეთნორელატიური* (რომელიც ნიშნავს, რომ შენ გრძნობ საკუთარ კულტურას სხვა კულტურებთან კონტექსტში) ეტაპი. *ეთნოცენტრული ეტაპებია*: 1. უარი თქვა კულტურებს შორის განსხვავების მოძიებაზე უუნარობის ან გულგრილობის გამო 2. პოლარიზებული „ჩვენ“ და პოზიცია „მათ, ისინი“ და მესამე ეტაპი, როცა განსხვავებები ცნობილია, მაგრამ მიიჩნევა, რომ საბოლოოდ ხალხი მაინც ერთნაირია, ანუ „ისთივია, როგორიც მე“.

რაც შეეხება *ეთნორელატიურ ეტაპებს*, მათ შიგნით პარადიგმა ისე იცვლება, რომ ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კულტურები გაგებული უნდა იქნას ერთმანეთთან ურთიერთობისა და მათ მიერვე შემუშავებულ კონტექსტში. ეს ეტაპები მოიცავენ: 1. მოწონება/აღიარებას, როცა რომელიმე ერთი კულტურა გაგებულია, როგორც ერთ-ერთი მოქმედი კულტურებიდან. 2. ადაპტაციის ეტაპი ოდნავ წინგადადგმული ნაბიჯია პირველთან შედარებით. ინდივიდს შეუძლია მოიქცეს სიტუაციის მიხედვით, სადაც სხვა ნორმები და ღირებულებებია საჭირო და საბოლოოდ, 3. *ინტეგრაციის* ეტაპი, როცა ინდივიდს შეუძლია იდენტიფიცირება და ადვილად გადაადგილება სხვადასხვა კულტურებში (ე.ი. ბიკულტურული ადამიანია).

პირველ და მეორე ეთნოცენტრულ ეტაპებზე, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ის აქტივობები, სადაც მოსწავლეები იმუშავებენ წყვილებში, ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ აზრებს/ისტორიებს, თავდაპირველად მსგავსებაზე, ხოლო ოდნავ მოგვიანებით განსხვავებაზეც ისაუბრებენ. ეს ერთმანეთის გაცნობისა და ურთიერთობის დაწყების საუკეთესო გზაა. მაგრამ საუბარი აუცილებელად უნდა დაიწყონ მსგავსებაზე აქცენტირებით, რადგან „განსხვავება“ ამ ეტაპებზე შეიძლება აღქმული იქნას, როგორც საფრთხე. მაგალითად: ორმა ერთმანეთისათვის სრულიად უცნობმა ქალბატონმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ისინი თინეიჯერი გოგონების დედები არიან. ამ ამბავმა ისინი შეიძლება დაახლოოს და სურვილი გაუჩინოს უფრო მეტი შეიტყონ ერთმანეთზე. მაგალითად, გამოარკვიონ თუ რა სირთულეს წააწყდნენ შვილების აღზრდის პროცესში და სხვა. მესამე ეტაპზე, მონაწილეების ყურადღება გადატანილია, ძირითადად, კულტურათა შორის განსხვავებებზე.

ეთნორელატიური ეტაპები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს დარწმუნდნენ, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს კულტურას ინციდენტების განხილვისას, თუ რამდენადაა დამოკიდებული ადამიანთა ქცევის ნორმები, ღირებულებები და ურთიერთობები კულტურაზე. ამ მიზნით გამოყენებულ აქტივობებში აუცილებელია სამივე ეტაპის გათვალისწინება. გარდა ამისა, მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ნდობის ხარისხი, რომელიც აუცილებელია ჯგუფში სამუშაოდ. ისინი „მზად უნდა იყვნენ გამოიკვლიონ პრობლემა და მონაწილეობა მიიღონ მის გადაწყვეტაში“.

კრიტიკული ინციდენტის ტიპები

ქარტერის, კენგისა და ტაგარტის მიხედვით არსებობს კრიტიკული ინციდენტის სამი კატეგორია:

- **ბუნებრივი კატასტროფები.** ესენია: მიწისძვრა, ცუნამი, ქარიშხალი და სხვა. მაგალითად: ცუნამი ინდონეზიაში – 2004 წ., მიწისძვრა ჩინეთში – 2008 წ. და ტროპიკული ციკლონი კატრინა ახალ ორლეანში – 2005 წ.
- **ადამიანური შეცდომა, ან უბედური შემთხვევები;** ეს იმ ტიპის ინციდენტებია, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია. ინციდენტების ამ კატეგორიაში შედის: ეკოლოგიური დარღვე-

ვები, ავია და ავტო კატასტროფები, საწარმოო მარცხი (მაგალითად, ბირთვული რეაქტორის აფეთქება ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში – 1986 წ.).

- **მიზანმიმართული ადამიანური ქმედებები:** ამ ტიპის ინციდენტები ხშირად მოიცავს პრობლემებს, რომლებიც ეხება რელიგიას, პოლიტიკას და სამოქალაქო უფლებებს. მაგალითად: მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში და სხვ. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხასიათის ინციდენტები ყოველთვის არაა ნეგატიური – მთვარეზე ადამიანის ფეხის დადგმა და ბერლინის კედლის დანგრევა დადებითი საერთაშორისო შემთხვევების მაგალითებია. საკლასო ოთახში გაკვეთილზე ჩვენ ვიყენებთ გარკვეული პრობლემის შემცველ კრიტიკულ ინციდენტს, რომელიც უნდა გაანალიზდეს და გადაიჭრას.

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი (კია) ერთ-ერთი წარმატებული მიდგომაა. ის ამალმებს მოსწავლეთა ცოდნას კულტურული მრავალფეროვნების კუთხით. პირველად კია შეიქმნა პილოტების მიერ თვითმფრინავის ფრენისას დაშვებული შეცდომების გასანალიზებლად. მოგვიანებით ის გამოიყენეს მედიცინაში ანესთეზიის უსაფრთხოდ გამოყენებისათვის (Crisp, Green Lister and Dutton, 2005).⁶⁰ ჩვენს შემთხვევაში „კრიტიკულ ინციდენტს“ ვიყენებთ კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის, საკუთარი აზრის გადმოცემისათვის და პრობლემის ანალიზისთვის. „კრიტიკული ინციდენტი“ შეიძლება იყოს ინტერვიუ, სახლში ვიზიტი ან სხვა პირდაპირი კონტაქტი ერთ ან რამდენიმე ადამიანთან. თუ ინციდენტი ვრცელი ამბავია, მაშინ გაძნელდება მისი დეტალური აღწერა. ამ შემთხვევაში გირჩევთ ამოარჩიოთ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი ნაწილი. უნდა გვახსოვდეს, რომ ინციდენტი მხოლოდ ცუდი – უარყოფითი შინაარსის არ შეიძლება იყოს, თუმცა მოსწავლეები უფრო ხშირად სწორედ ე.წ. „ცუდ“ ინციდენტს ირჩევენ. კრიტიკული ინციდენტის ჩარჩო მოიცავს: ინციდენტს, მის

60. <http://dro.deakin.edu.au/eserv/DU:30007591/crisp-criticalincident-2007.pdf>

აღწერას, პრობლემის გამოყოფას, ანალიზს და პრობლემის გადაჭრას.

კია შეიძლება აიგოს მარტივი ან შედარებით ძნელი კითხვების მეშვეობით. საბაზო სკოლის მოსწავლეებისთვის უპრიანია ჩარჩოს **მოკლე სათაურების** ვერსია, ხოლო საშუალო სკოლის მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ ჩარჩოს შედარებით სრული ვერსია.

მოკლე სათაურები კრიტიკული ინციდენტის ანალიზისთვის

მოიფიქრე და აღწერე შემთხვევა, რომელიც დაგაფიქრებს და საშუალებას მოგცემს ისაუბრო მასზე. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სავარაუდო სათაურები.

- ინციდენტის მნიშვნელობა;
- ჩემი გრძნობები ინციდენტის შესწრების და საკუთარ თავზე გამოცდისას;
- კომუნიკაციის პროცესი და ინტერაქციის მიზანშეწონილობა;
- მონაწილეთა/სხვა პირთა შეხედულებები სიტუაციის შესახებ;
- რა ვისწავლე ამ კრიტიკული ინციდენტიდან.

კრიტიკული ინციდენტის ანალიზის შედარებით სრული ვერსიის სიტუაციები:

- როცა იგრძენი, რომ რაღაცა გააკეთე კარგად ...
- როცა არასწორი/მცდარი გადაწყვეტილება მიიღე...
- როცა რაღაცა უფრო უკეთ წარიმართა, ვიდრე ელოდი....
- როცა გაკლდა თვითდაჯერებულობა...
- როცა დაუშვი შეცდომა ...
- როცა შენ მართლაც გსიამოვნებდა ვინმესთან/ან ჯგუფთან მუშაობა;
- როცა შენ გრძნობდი ზეწოლას....
- როცა გაგიძნელდა მომსახურების შეფასება....
- როცა გაიაზრე, რომ არ გაქვს საკმარისი ცოდნა;
- როცა თავს დაუცველად გრძნობდი....
- როცა წუხდი მომხმარებლის მომსახურეობაზე;
- როცა რისკი გასწიე და გაგიმართლა ან პირიქით – წააგე...

კრიტიკულ ინციდენტში არ არის აუცილებელი იყო აქტიური მომქმედი პირი. საკმარისია იყო დამკვირვებელი ერთი რომელიმე

ქმედების, კერძოდ, რაც წაიკითხე, რაც სურათზეა მოცემული, ან რაც შეამჩნიე.

კრიტიკული ინციდენტის ჩარჩო

ახლა, როცა ვიცით თუ რა არის კრიტიკული ინციდენტი, საჭიროა პასუხი გავცეთ კრიტიკული ანალიზის ყველა კითხვას, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ყველა კითხვა ნებისმიერ ინციდენტს არ დაესმის. ზოგიერთ ინციდენტზე შეიძლება დაიწეროს მხოლოდ რამდენიმე წინადადება ან სიტყვა, თუმცა ზოგიერთი ინციდენტი ითხოვს უფრო დეტალურ ანალიზს.

1. ინციდენტის მნიშვნელობა

- რა მოხდა, სად, როდის? ვინ მონაწილეობდა?
- რა როლს ასრულებდი ინციდენტში?
- რა გარემოში მოხდა ინციდენტი?
- იმ მომენტში რა იყო შენი სურვილი?

2. პირველი რეაქცია ინციდენტის ირგვლივ

- როგორი იყო შენი გრძნობები და ფიქრები ინციდენტის მსვლელობისას?
- როგორი პასუხები გასცეს ძირითად კითხვებზე? თუ არ იცით, მაშინ როგორი პასუხი შეიძლება ყოფილიყო?

3. რა საკითხებს და დილემას გავსვა ხაზი ამ ინციდენტით

- *მოინიშნე ნებისმიერი დილემა, რომელიც იმ ინციდენტს ეხება, რომელიც თქვენ გადაიტანეთ ან შეგემთხვათ.*
- *მოინიშნეთ ნებისმიერი ღირებულება და ეთიკური პრობლემა, რომლებიც ამ ინციდენტშია მოცემული*
- *რამ გაგაკვირვათ ან რა მოხდა ისეთი, რასაც არ ელოდით?*

4. შედეგი

- როგორი იყო ინციდენტის შედეგი თითოეული მონაწილისთვის?
- ამ ინციდენტმა გამოიწვია (ან შეიძლება გამოიწვიოს) ცვლილებები? როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს ამგვარ სიტუაციაში?
- რას ფიქრობთ და გრძნობთ ამ ინციდენტის შესახებ?

5. სწავლა

- რა ისწავლე საკუთარი თავის შესახებ? როგორი ურთიერთობა გაქვს სხვასთან? როგორ სწავლობ?
- ამ ინციდენტის შედეგად რა დაისახე მიზნად მომავალში?
- როგორ შეიძლება ამას მივაღწიოთ?

კრიტიკული ინციდენტის მნიშვნელობა კლასში და მისი როლი მოსწავლეთა კულტურული ცნობიერების ამაღლებაში

კრიტიკული ინციდენტის კლასში გამოყენება ავითარებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებსა და ურთიერთობებს. ეს არის ღირებული საგანმანათლებლო „იარაღი“, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აიმაღლონ კულტურული მრავალფეროვნების ცნობიერება.

კრიტიკული ინციდენტის მიდგომა, როგორც წესი, ფართოდ გამოიყენება კულტურული კომპეტენციის ტრენინგის დროს, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ტრანსფორმაციული სწავლისათვის. ის შეიძლება გამოვიყენოთ ინტერკულტურული სწავლის გამოცდილების გამოსაკვლევად, რადგან კრიტიკული ინციდენტის ანალიზს შეუძლია დაადგინოს გამოცდილების თემატიკა. კრიტიკული ინციდენტი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს. უნდა გვახსოვდეს, რომ:

1. კრიტიკული ინციდენტის გამოყენება კლასში არის ერთ-ერთი სტრატეგია პრობლემის გადაწყვეტის უნარის ჩამოსაყალიბებლად. კრიტიკულ ინციდენტში მოკლედაა აღწერილი ის სიტუაცია, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები, სადაც კომუნიკაცია არ შედგა ან ენის არ ცოდნის გამო, ან კულტურული ნორმები არ იქნა სწორედ გაგებული, ან მხედველობაში მიღებული. კრიტიკული ინციდენტების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს მიიღონ ის გამოწვევები, რომელთაც ისინი შეიძლება წააწყდნენ სხვადასხვა კულტურებში ახალ გარემოსთან შეგუების პერიოდში. კრიტიკული ინციდენტების საკლასო გარემოში გამოყენების მიზანია მოსწავლეების წახალისება, რათა მათ წარმატებით გადაჭრან პრობლემები და დაამყარონ კომუნიკაცია. ის კრიტიკული ინციდენტები, სადაც ორივე – პრობლემის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის უნარებია საჭირო, ძირითადად, ეფუძნება პაროდიებს და როლების გათამაშებას და

ფოკუსირდება პატარა ჯგუფურ დისკუსიებზე. კრიტიკული ინციდენტების გამოყენების სტრატეგია ამზადებს მოსწავლეებს განიხილონ პრობლემური სიტუაცია, დაწყებული მისი აღწერიდან, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით დამთავრებული.

რატომ ვიყენებთ კრიტიკულ ინციდენტს?

ძირითადად ვიყენებთ:

- მოსწავლეთა/მონაწილეთა ეფექტური კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად.
- აქტიური მოსმენის უნარის განსავითარებლად, რომელიც აუცილებელი პირობაა წარმატებული კომუნიკაციისათვის.

მოუსმინე მოსაუბრეს, გაიმეორე რაც გაიგე და საშუალება მიეცე განგიმარტოს ის, რაც მეტ-ნაკლებად გაუგებარი დარჩა.

- კრიტიკული ინციდენტი ეხმარება მოსწავლეებს/მონაწილეებს პრობლემის გადაწყვეტაში აქტიური მოსმენის სტრატეგიების გამოყენებით.
- კრიტიკული ინციდენტები ეხმარებიან მონაწილეებს გადადგან სწორი ნაბიჯი, როცა ისინი უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან.

ა. სიტუაცია უხერხულია... რატომ? რაშია პრობლემა?

ბ. თუ პრობლემა არ არის ნათელი ნუ შეგეშინდებათ, დასვით კითხვები.

არ არის იოლი მიხვდე, თუ სად არის პრობლემა. ასევე ძნელია ისაუბრო არსებულ პრობლემაზე და დასვა კითხვები მის ირგვლივ.

- კრიტიკული ინციდენტები მოსწავლეებს/მონაწილეებს ასწავლიან, რომ არსებობს ძნელი ან უხერხული პრობლემის გადაჭრის მრავალი გზა.
- დისკუსიებს კრიტიკული ინციდენტების შესახებ შეაქვთ თავიანთი წვლილი თითოეული მოსწავლის/მონაწილის ცხოვრებაში.

სად/როდის არის კრიტიკული ინციდენტი სასარგებლო?

- საკლასო ოთახში: მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, რომელთაც მცირედი კომუნიკაციური უნარები მაინც აქვთ.

- სასკოლო ასაკის ბავშვებთან, როდესაც კრიტიკული ინციდენტი არის რეალისტური, ავთენტური და ასაკის შესაბამისი.

როგორ შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს კრიტიკული ინციდენტი ეფექტურად?

1. შექმნას ჩარჩო და შეთანხმდეს მონაწილეებთან ყოველი კრიტიკული ინციდენტის წაკითხვამდე/ანალიზამდე.

- პირველ რიგში წაიკითხოს ერთი კრიტიკული ინციდენტი ჯგუფში. დასვას კითხვა: რაშია პრობლემა? რა არის გამოსავალი?
- შეახსენოს მონაწილეებს პატივისცემით მოუსმინონ ერთმანეთს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმებიან ერთმანეთის აზრს.
- გაუნაწილოს ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი მოვალეობები: ლიდერი, პრეზენტატორი/ მომხსენებელი, დროის აღმრიცხველი.
- წახალისოს თითოეული მონაწილე გააუღეროს თავისი შეხედულება.
- დაეთანხმოს აზრს, რომ ხანდახან გადაწყვეტილება ერთი რომელიმე კულტურისთვის არის მისაღები, მაგრამ მეორესთვის არა.

2. ეფექტურია აქტიური მოსმენის სტრატეგიები თითოეული შემთხვევის ანალიზისთვის.

3. რელევანტური, ავთენტური, კრიტიკული ინციდენტების შექმნა (მოსწავლეთა ასაკის, კლასის მიზნების გათვალისწინებით).

4. მასწავლებელი შეგნებულად არ ღებულობს რაიმე გადაწყვეტილებას იმისთვის, რომ მონაწილეებს საშუალება მისცეს იაზროვნონ კრიტიკულად. ხშირად შესაბამისი პრობლემის ერთზე მეტი გადაწყვეტის გზა არსებობს.

5. ყურადღებით მოუსმინოს თითოეული მონაწილის მიერ დაშვებულ შეცდომებს და დაგეგმოს გაკვეთილი შემდგომი აქტივობების ჩასატარებლად.

ასე რომ, მასწავლებლისთვის კრიტიკული ინციდენტის გამოყენება კლასში მნიშვნელოვანია, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს/ სტუდენტებს იფიქრონ კრიტიკულად და სათანადო რეაგირება მოახდინონ უცნობ სიტუაციებში. ეს მიდგომა წარმატებულია მობარდებთან და საშუალო სკოლის უფროსკლასელებთან – ყველას-

თან, ვინც ცდილობს მიზნის მისაღწევად დაძლიოს ბარიერი და მიიღოს გადაწყვეტილება.⁶¹

კრიტიკული ინციდენტები ავითარებს ინტერკულტურულ კომპეტენციას. სახელდობრ, ინტერკულტურულ დამოკიდებულებას (ცნობისმოყვარეობა და გამჭვირვალობა; მზადყოფნა ნდობით მოეკიდო სხვა კულტურებს და გქონდეს საკუთარი თავის რწმენა), ცოდნას (სოციალური ჯგუფების, პრაქტიკის), ინტერპრეტაციისა და ურთიერთობის უნარებს; აღმოჩენების, ზეპირად თარგმნისა და კრიტიკული კულტურული ცნობიერების უნარებს. ჰენლის აზრით ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად გვჭირდება „ინგრედიენტები“, კერძოდ: თვით-შემეცნება (ე.ი. თვითანალიზი და გაგება), გამოცდილება (უშუალო გამოცდილება, სხვა კულტურასთან უეცარი შეჯახება) და დადებითი ცვლილება.“

თრიფისა და ჯეიმსის აზრით, კრიტიკული ინციდენტის ღირებულება ძევს იმ კითხვებში, რომელთაც სტუდენტებმა უნდა გასცენ პასუხი ინციდენტის ანალიზის პროცესში. კითხვები: ვინ?, რა? როდის? სად? როგორ? რატომ? დაეხმარება მათ ინციდენტის ანალიზის დროს. რა მოხდა რეალურად? როგორ ვგრძნობ თავს? ახლა რას ვფიქრობ ამის შესახებ? რა ვისწავლე?

მოსწავლეთა ინტერკულტურული ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს დავალების – „კრიტიკული ინციდენტის“ გონებრივი იერიში და ანალიზი“ განხორციელება.

დავალება: „კრიტიკული ინციდენტის“ გონებრივი იერიში და ანალიზი“.

მიზანი:

- კულტურასთან დაკავშირებული ქცევის მიმართ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება.
- სამეტყველო ენაზე, ადამიანის ქცევისა და შემეცნებაზე კულტურის გავლენის გაცნობიერება.

61. <http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>

ნაბიჯი 1. მოსწავლეები ეცნობიან და იყენებენ „კულტურის აისბერგის თეორიას“⁶² მოსწავლეებს მოეთხოვებათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და უჩვენონ კულტურაზე დაფუძნებული ქცევის მაგალითები. „კულტურის აისბერგის თეორია“ ხელს უწყობს მოსწავლეებს პასუხების გაცემაში.

ნაბიჯი 2. მოსწავლეებს სთხოვენ ერთმანეთს გააცნონ კრიტიკული ინციდენტები. „კრიტიკული ინციდენტების გონებრივი იერიში და ანალიზი“ იწვევს ნაყოფიერ დისკუსიებს. ქვემოთ მოცემული კრიტიკული ინციდენტების მაგალითები გაანალიზებულია მოსწავლეთა მიერ.

ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ მან ლონდონში, ინგლისურ ოჯახში ცხოვრებისას შეამჩნია, რომ მასპინძლის ძალღი მხოლოდ ინგლისურ ენაზე გაცემულ ბრძანებებზე რეაგირებდა. მოსწავლე ძალღის ასეთმა ქმედებამ ძალიან გააოცა.

მეორე მოსწავლეს ძალიან გაუკვირდა, როცა ამერიკელმა დედამ საუბრებზე შვილს ცივი რძე დააღვინა. „მან მაცივრიდან გამოიღო რძე და ჩაუსხა ჭიქაში შვილს“ (პოლონეთში, ცივი კლიმატის გამო, უმჯობესია დღე დაიწყო რაიმე თბილი საჭმლით. ეს დაუწერელი კანონი პოლონეთში ვრცელდება ყველა ბავშვზე).

კრიტიკული ინციდენტები რელევანტური და სასარგებლოა, რადგან ისინი ვილაცის პირადი გამოცდილებიდანაა აღებული და ანალიზის შედეგად ის თითქოს შენიც ხდება. მეორე უპირატესობა კრიტიკული ინციდენტებისა ეხება მოსწავლეთა დამოკიდებულებებს და მოტივაციას. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი დისკუსიაში. მოვლენების მათეული ანგარიში პიროვნულია და ემოციურად ძალზედ დატვირთული.

მოსწავლეთა მიერ მომზადებული კრიტიკული ინციდენტები გვაწვდიან ინფორმაციას განსხვავებული კულტურებისა და მათი ტრადიციების შესახებ და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას. დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კრიტიკული ინციდენტის ღირებულება ძვეს კულტურულ, ლინგვისტურ და პიროვნულ ელემენტთა კომბინაციაში, რომელიც თავმოყრილია ერთ დავალებაში.

62. Weaver. Gary R. (1986). Understanding and coping with cross-cultural adjustment Stress. In R.M. Paige (Ed). Cross-cultural orientation. New conceptualizations and applications. Lanham MD: University Press of America.

ქვემოთ მოცემულია ორი კრიტიკული ინციდენტი. ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ ეს ინციდენტები და ვიფიქროთ მათზე ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით. თქვენ შეიძლება გქონდეთ მზა რჩევები თითოეული ინციდენტის ინტერპრეტაციისთვის და ანალიზისთვის, მაგრამ თავადაც შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება და იყოთ თავისუფლები საკუთარ არჩევანში.

კრიტიკული ინციდენტი 1

რაშია პრობლემა? (ეს კრიტიკული ინციდენტი დაწერა ფინელმა გოგონამ)

მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ექვსი წლის წინ ვიყავი აშშ-ში. ვცხოვრობდი ამერიკულ ოჯახში. ზოგადად, დღეში რამდენიმე საათს საკუთარ თავს ვუთმობ, შევდივარ ჩემს ოთახში, ვასრულებ საშინაო დავალებას ან ვწერ წერილს, ვისვენებ და ვუსმენ მუსიკას. ასე მოვიქეცი ამერიკაშიც. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ეს ჩვევა მასპინძელ ოჯახს სირთულეს შეუქმნიდა. ერთ დღეს ოჯახის დიასახლისი შემოვიდა ჩემთან და მკითხა ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. მათი აზრით, მე იმიტომ ვიქცეოდი ასე, რომ მოწყენილი ვიყავი ან მენატრებოდა სახლი. გავოცდი – სინამდვილეში, ასეთი რამ აზრადაც კი არ მომსვლია.

განსახილველი საკითხები: ბუნებით ფინელები წყნარი ხალხია, ხოლო ჩრდილოეთ შტატებში მცხოვრები ამერიკელები დიდად არ წყალობენ სიწყნარეს. ჩრდილოეთ ამერიკაში სოციალური ურთიერთობები, ფინური ტრადიციისგან განსხვავებით, აგებულია აქტიურ სოციალურ კომუნიკაციაზე.

შემთხვევის ანალიზი

კომუნიკაცია საკუთარი თავის აღზრდის საუკეთესო გზაა. ისინი ვინც არ ურთიერთობენ ადამიანებთან, არ არიან გახსნილნი, ხშირად იკეტებიან საკუთარ თავში და აკლიათ ჯანსაღი ურთიერთობების გასაღები.

ამ შემთხვევაში გოგონას სურვილი – ყოფილიყო მარტო, არ ნიშნავს, რომ ის თავის თავში ჩაკეტილია და არ უნდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. არც მასპინძელი ოჯახია დამნაშავე. მათ ეგონათ, რომ გოგონას ენატრებოდა ოჯახი და ვერ ბედავდა ამის თქმას ხმამაღლა. ამიტომ შეეცადა მასპინძელი დახმარებოდა სტუმარ გოგონას.

ზოგადად ფინელები გამოირჩევიან სიწყნარით. ეს ეროვნული თავისებურება აიხსნება: რასით, ცივი კლიმატით და სკოლაში კომუნიკაციის სწავლების დაბალი დონით. სიჩუმე ფინელისთვის არის თვითაღზრდა, რაც შეეხება ამერიკელს, ეს მისთვის მიუღებელია, რადგან მისთვის უცხოა დროის მარტო გატარება.

კრიტიკული ინციდენტი 2

გილოცავ დაბადების დღეს

ეს ინციდენტი დაწერა დანიელმა გოგონამ, რომელიც სწავლობდა ფინეთში და ცხოვრობდა ფინელ გოგონასთან ერთად ოთახში.

ერთად ცხოვრების მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა ჩაიცვა ქურთუკი და წასასვლელად მოემზადა. მინდოდა გამეგო სად მიდიოდა და შევეკითხე კიდეც. მიპასუხა, რომ მეგობარ ბიჭთან ერთად აპირებდა კინოში წასვლას, რადგან დღეს მისი დაბადების დღე იყო. მინდოდა მისთვის დაბადების დღე მიმელოცა, ამიტომ მისკენ გავეშურე და როგორც ჩემს ქვეყანაში იციან, ლოყაზე კოცნა დავუპირე. ვფიქრობ, ძალიან შევაშინე ჩემი საქციელით. მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და შეშინებული თვალებით შემომხედა. მივხვდი, რომ რაღაცა ისე არ გავაკეთე. ამიტომ მეც უკან დავიხიე და კოცნის ნაცვლად ხელი ჩამოვართვი.

განსახილველი საკითხები:

- მისალმება სხვადასხვა კულტურაში განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა დროის განმავლობაში იცნობენ ისინი ერთმანეთს.
- სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია ცნებები – მეგობარი და ნაცნობი.

შემთხვევის ანალიზი. ეს ნამდვილად დიდი გაუგებრობაა. დანიელი სტუდენტი შეეცადა გაეკეთებინა ის, რაც მის კულტურაში, მის ქვეყანაში თავაზიან საქციელად ითვლება. რაც შეეხება კოცნას, ის ფინეთში ძალიან პირადი საკითხია. სწორედ ამ წესის არ ცოდნამ გამოიწვია გაუგებრობა ორ გოგონას შორის.

დანიის, ჰოლის (1959) განმარტებით, არის „მაღალი კონტაქტის კულტურა“. აქ ხალხი ხშირად კოცნიან ერთმანეთს მისალმებისას და მილოცვისას. კულტურებს შორის სხვაობამ შეიძლება მიგვიყვანოს გაუგებრობამდე.

ყველა ჩვენთაგანს კულტურაში გვაქვს ქცევის გარკვეული წესები და ჩვეულებები, რომლებსაც ვსწავლობთ ახალგაზრდულ ასაკ-

ში. ეს წესი თუ ჩვეულება ჩვენ მიგვაჩნია ნორმად და არ ვფიქრობთ, რომ სხვა კულტურის წარმომადგენელს შესაძლოა განსხვავებული ტრადიცია ჰქონდეს.

დანიელი სტუდენტი ასკვნის, რომ „მის კულტურაში მილოცვის ფორმა იყო კოცნა, რომელიც გაუგებარი აღმოჩნდა ფინელისთვის. ამან წარმოშვა გაუგებარი სიტუაცია. დანიელი გოგონა ფიქრობს, რომ მან თავისი ქცევით დაარღვია მისი ფინელი მეგობრის წესები, რის გამოც ის ძალიან შეშინდა.

ამრიგად, კრიტიკული ინციდენტის ანალიზი არის მიდგომა, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. ტერმინი კრიტიკული ინციდენტი ეხება კომუნიკაციურ სიტუაციას, რომელსაც მონაწილეები პრობლემურ ან დამაბნეველ მოვლენად მიიჩნევენ. კრიტიკული ინციდენტის ტექნიკის მიზანია განავითაროს ადამიანის უნარი ინტერაქციული სიტუაციების გამოსარკვევად (Salo-Lee & Winter-Tarvainen).⁶³

კრიტიკული სიტუაციის ანალიზი ხელს უწყობს კულტურათაშორის ცნობიერებას და აჩქარებს სწავლებას და სწავლას. ამ მხრივ, კრიტიკული ინციდენტი არის მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც გამოიყენება კულტურაში განსხვავებისა და გაუგებრობის გამოსავლენად.

ყველა სახის კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტერკულტურული, რადგან ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი საკუთარი ისტორია, რომელსაც ყოველთვის თან ვატარებთ (Salo-Lee & Winter-Tarvainen).⁶⁴

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი მოსწავლეს აქცევს კრიტიკულ მოაზროვნედ. ტრიფი (1993) და ჯეიმსი (2001) აღნიშნავენ, რომ კრიტიკული ინციდენტის ღირებულება დევს კითხვებში, რომელთაც პასუხი უნდა გასცენ ადამიანებმა ინციდენტის ანალიზის დროს. ეს კითხვებია: ვინ? რა? როდის? სად? როგორ? რატომ? მაგალითად: რა მოხდა სინამდვილეში? როგორ ვიგრძენი თავი? რას ვფიქრობ ახლა ამის შესახებ? რა ვისწავლე? და ა.შ.

კრიტიკული ინციდენტები რელევანტური და სასარგებლოა, რადგან მათში გაანალიზებულია ვილაცის პირადი გამოცდილება,

63. <https://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>

64. <https://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>

რომელსაც შემდგომში დადებითი წვლილი შეაქვს მათ თვითგანვითარებაში.

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი (კია) არის მიდგომა, რომელიც ეხება ცხოვრებაში არსებულ ყოველდღიურ გამოწვევებს. ჩვენ გვჭირდება გამოვიკვლიოთ ის ინციდენტები, რომლებიც გვხვდებიან ჩვენს საქმიანობაში და მოვიძიოთ მათი გადაწყვეტის გზები. ინციდენტი ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ის მხოლოდ მაშინ ხდება კრიტიკული, თუ ინდივიდი მას ასე მიიჩნევს.

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი ხშირად გამოიყენება სწავლების პროცესში. მის შესახებ **დავიდ თრიპი** (David Tripp 1993) წერს, რომ როცა რაღაცა ისე არ მიმდინარეობს, როგორც საჭიროა, ჩვენ ვსვამთ კითხვას: **რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს შემთხვევა?** მაგალითად, თუ მოსწავლე აგვიანებს გაკვეთილზე მასწავლებელი სვამს კითხვას: **რატომ აგვიანებს ის?** ან კითხვას უსვამს თავის თავს: **რატომ ვაძლევ ნებას დააგვიანოს გაკვეთილზე?**

კრიტიკული ინციდენტის ანალიზი

ანალიტიკური მეთოდი

კრიტიკული ინციდენტის ანალიზის მეთოდის იდეა ეკუთვნის **გლინის ქუზინს** (Glynis Cousin) კოვენტის უნივერსიტეტის ლექტორს.

ავილთ კრიტიკული ეპიზოდი. მაგალითად ის, რომ მოსწავლე გამუდმებით აგვიანებს ან ლაპარაკობს გაკვეთილზე.

აღწერეთ ინციდენტი:

- როდის და სად მოხდა ინციდენტი? (დრო, ადგილი, გარემო);
- მაინც რა მოხდა? (ვინ თქვა ან რა გააკეთა);
- რას ფიქრობდი და როგორ გრძნობდი იმ დროს, როცა შეიტყვე ამ ინციდენტის შესახებ?

გამოიკითხეთ ინციდენტის შესახებ:

- რით გამოირჩევა ეს ინციდენტი?
- რა მოხდა?
- ქმედებისა და ქცევის სხვადასხვა დონე იყო?
- ჩანდა ამ მოვლენისადმი შენი პირადი დამოკიდებულება?

- შემეძლო თუ არა ამ მოვლენის ინტერპრეტაცია ჩემი შეხედულებისამებრ?
- რა ვისწავლე ამ ეპიზოდიდან?
- რისი გაკეთება შემიძლია ამ პრობლემის დადებითად გადაჭრისთვის?

მოძებნეთ მეგობარი ან კოლეგა

- რათა გაუზიაროთ თქვენი შეხედულება ეპიზოდის შესახებ;
- რათა განიხილოთ თქვენი ინტერპრეტაცია;
- რათა შეცვალოთ თქვენი ანალიზი აუცილებლობის შემთხვევაში, რჩევისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

შემთხვევის ანალიზი 1. კომუნიკაციის გამჭვირვალობა

3 მარტს მოსწავლე მეცადინეობაზე მოვიდა და მთხოვა ავადმყოფობის გამო გადამევადებინა მისთვის ესეს ჩაბარების თარიღი (სახეზე და ხმაზე ეტყობოდა, რომ ის მართლაც ავად იყო). შევეთანხმდით, რომ ის ესეს მოიტანდა მომდევნო ხუთშაბათს. თუმცა, მან ვერ მოახერხა გაკვეთილზე მოსვლა და არც შემეხმინა. როცა შევეკითხე, თუ რატომ არ მოიტანა ესე, მიპასუხა რომ აუცილებლად მოიტანდა მომავალ კვირას. თან დაამატა, რომ თავს ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა კარგად. გამიკვირდა, რომ მოსწავლემ, რომელიც სისტემატურად ესწრებოდა მეცადინეობებს, დროულად ვერ ჩააბარა ნამუშევარი და თან ასეთი ქცევის კონკრეტული მიზეზი ვერ დაასახელა. მისი განმარტების პასუხად ავუხსენი, თუ რაოდენ გამაღიზიანებელი იყო მოსწავლის მსგავსი საქციელი პედაგოგისთვის. როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ სკოლა ყოველ გაცდენილ დღეზე ესეში ნიშანს აკლებდა. მან ისევ დააგვიანა, ასე რომ ექიმის ცნობაც ვეღარ უშველიდა.

პედაგოგის შეხედულებები

შესაძლებელია ინციდენტი გამოიწვია სწავლების ჩემმა სტილმა. ეგებ არ ვიყავი საკმაოდ მომთხოვნი და ოფიციალური? იქნებ ეს საკითხი უნდა გადამექცია განხილვის საგნად კლასში? დასაშვებია მოსწავლეებმა ისარგებლეს ჩემი ხასიათით და არაკონფლიქტური დამოკიდებულებით? მე დაკავებული ვიყავი სხვა მოსწავლეებით, რომლებიც პრეზენტაციებისთვის ემზადებოდნენ. მათ ჩემი

მხარდაჭერა სჭირდებოდათ, ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ცდილობდნენ საუბარში ჩემს ჩართვას და მისვამდნენ კითხვებს, რომლებიც დაკავშირებული არ იყო პრეზენტაციის თემასთან.

ვფიქრობ, ინციდენტი ნაწილობრივ მაინც განაპირობა მოსწავლეთა შეფასების ჩემეულმა ფორმამ, რომელიც ითხოვდა გაკვეთილებზე სისტემატურ დასწრებას. მიუხედავად იმისა, რომ გაღიზიანებული ვიყავი, მაინც ვცდილობდი თავი ამერიდებინა დრამატული სიტუაციებისთვის. ბოლოს და ბოლოს მოსწავლემ როგორღაც მოახერხა ესეს დაწერა და ჩაბარება. როგორც გაირკვა, სურდა საუკეთესო ესე დაეწერა.

სწავლის მიზნები

როგორც საგნის ხელმძღვანელს მოსწავლე უნდა გამეფრთხილებინა შესაძლო სავალალო შედეგებზე იმ შემთხვევაში, თუ ის დროულად ვერ დაასრულებდა და ჩააბარებდა ნამუშევარს. ამასთანავე, მე მკაცრად უნდა მომეთხოვა მისგან ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა.

ამ შემთხვევის წყალობით მივხვდი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გააზრებულ და ნათელ ურთიერთობას პედაგოგსა და მოსწავლეს შორის. ეს შემთხვევა აუცილებლად მოახდენს გავლენას ჩემს მომავალ პრაქტიკაზე.

შემთხვევის ანალიზი 2. ინდივიდუალურ საჭიროებებთან შეხება.

ერთ-ერთ პედაგოგთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ნიჭიერმა მოსწავლემ სწავლას მოუკლო. ამის მიზეზი ზარმაც „მოზარდებთან“ მისი მეგობრობა იყო. პედაგოგი ფიქრობდა, რომ აზრი არ ქონდა ამ ყმაწვილთან საუბარს. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ თუ კათედრას არ აინტერესებდა ამ მოსწავლის ბედი, მაშინ მე დავინტერესდებოდი. გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი, თან მისი პედაგოგიც ვიყავი. არ ვიცოდი საუბარი როგორ დამეწყო, არ მინდოდა უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი.

ინციდენტი

მეცადინეობისას ამ მოსწავლემ კითხვა დამისვა. ამ დროს ოთახში მისი ორი მეგობარი შემოვიდა. მივუბრუნდი და ვუთხარი, რომ ვიცოდი მათი მეგობრობის შესახებ და გავაფრთხილე, ერთმანეთისგან არ გადაეწერათ დავალება. ის დამეთანხმა. შემთხვევით ვისარგებლე და შევახსენე, რომ მისი აკადემიური მოსწრება არ

შეესაბამებოდა მის შესაძლებლობებს. თქვა, რომ მხოლოდ ესეში ქონდა დაბალი ნიშანი. ვურჩიე, რომ პრობლემის შესახებ შეეძლო ვინმეს დალაპარაკებოდა და თუ დაბალი შედეგი სიზარმაცის ბრალი იყო, მაშინ თვითონ უნდა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა. მოსწავლე დამეთანხმა და აღიარა, რომ ყველაფერი სიზარმაცის ბრალი იყო. ამ მოსწავლეს შემდეგ კვირას კვლავ შევხვდი. მითხრა, რომ მან შაბათ-კვირა ბიბლიოთეკაში გაატარა და ესე დაწერა. თან დაამატა, რომ ეს ნაბიჯი ჩემთან საუბრის შემდეგ გადადგა.

პედაგოგის შეხედულებები

კმაყოფილი დავრჩი, რომ ჩემმა ნათქვამმა შედეგი გამოიღო. ამის შემდეგ ამ მოსწავლემ რამდენჯერმე მომმართა თხოვნით დაგხმარებოდი. ერთხელ მოსწავლეთა სამუშაო ოთახში ვნახე პროექტზე მუშაობისას. მიხარია, რომ შევძელი სწავლისკენ მისი შემობრუნება და ვგრძნობ, რომ მის ამ წარმატებაში მეც მიმიძღვის წვლილი.

სწავლის მიზნები

ამ ინციდენტს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩემმა პატარა ნაბიჯმა, დიდი შედეგი გამოიღო. კმაყოფილი ვარ, რომ სტუდენტისთვის რაღაცის გაკეთება შეეძელი. ნათელია, რომ სასწავლო დეპარტამენტმა თავისი სიტყვა უნდა თქვას ასეთ შემთხვევებში. აუცილებელია ყველა მოსწავლის მოსწრების მონიტორინგი.

შემთხვევის ანალიზი 3: ნდობის საკითხი

გაკვეთილს 16 მოსწავლე დაესწრო. ორ მათგანს მომზადებული ქონდა პრეზენტაცია. შევეცადე კითხვების დასმით მთელი ჯგუფი ჩამერთო დისკუსიაში. ჩემს პირველ კითხვას მოსწავლეებმა სიჩუმით უპასუხეს. იგივე კითხვა ახლა სხვა სიტყვების გამოყენებით კვლავ დავსვი. მოკლე პასუხი მივიღე. ჯგუფის სხვა წევრების ჩაბმა ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. მეორე და მესამე კითხვებზე მოსწავლეებმა აბსოლუტური სიჩუმით მიპასუხეს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ოთხ მოსწავლეს, მათ შორის პრეზენტატორებს, წაეკითხა მასალა. მოსწავლეებს შევახსენე სემინარის მიზანი და, აგრეთვე, მათი პასუხისმგებლობა. თან დავამატე, რომ აზრი არ ქონდა სესიის გაგრძელებას. ბოდიში მოვუხადე პრეზენტატორებს და მათ, ვინც მოამზადა წასაკითხი მასალა და კლასს ვთხოვე დაეტოვებინა აუდიტორია.

პედაგოგის შეხედულებები

თავს უზერხულად ვგრძნობდი. მოსწავლეები ისხდნენ და მომჩერებოდნენ, თითქოს ელოდნენ რას მოვიმოქმედებდი. გამოცდილების ნაკლებობის გამო არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი. საკუთარ თავზე ვბრაზობდი. ინციდენტის შემდეგ იმედგაცრუებული და მოსწავლეებზე გაბრაზებული ვიყავი. ვფიქროდი, რომ ისინი არც მე და არც ჩემს სემინარებს არ ეკიდებოდნენ სერიოზულად. ამ ინციდენტმა დამაეჭვა საკუთარ შესაძლებლობებში. ჩემს თავს დავუსვი რამდენიმე კითხვა: იყო თუ არა მასწავლებლობა ჩემი პროფესია? მომხდარ ინციდენტში დანაშაული მიმიძლოდა თუ არა? ერთი რამ ნათელია, რომ მომხდარმა ინციდენტმა დაამსხვრია ჩემი იმედები და დამიკარგა მასწავლებლობის სურვილი.

სწავლის მიზნები

დარწმუნებული ვარ ინციდენტი სწავლების ჩემეულმა სტილმა განაპირობა. კამათში მოსწავლეები მხოლოდ მაშინ მონაწილეობენ, როცა ისინი მზად არიან და სურთ დისკუსიაში ჩაბმა. როდესაც შევნიშნე, რომ მოსწავლეები პასიურობდნენ, უარი უნდა მეთქვა მათ ინდივიდუალურ გამოკითხვაზე და აუდიტორიისთვის შემეთავაზებინა საკითხის ჯგუფური განხილვისა და პრეზენტაციის ფორმატი, რაც მათ წაახალისებდა მონაწილეობა მიეღოთ სემინარულ მუშაობაში.

კოლეგის პერსპექტივა ინციდენტის თაობაზე

მომხდარის შესახებ კოლეგას გავუზიარე ჩემი შეხედულება. მითხრა, რომ ძალიან მკაცრად ვაკრიტიკებდი საკუთარ თავს, დამამშვიდა და მირჩია მოსწავლეები დამერწმუნებინა ემუშავათ უფრო მეტი და ეაქტიურათ სემინარებზე. მას მოეწონა, რომ ბოდიში მოვუხადე იმ მოსწავლეებს, რომლებიც სემინარისთვის მზად იყვნენ. აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი იყო მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დემონსტრირება. ჩემი კოლეგის უკუგებამ მიჩვენა, რომ მე უკეთესი მასწავლებელი ვყოფილვარ, ვიდრე აქამდე წარმომედგინა.

შემთხვევის ანალიზი 3 – თანმდევი შედეგი

ბოლო გაკვეთილზე მოსწავლეები დავყავი პატარა ჯგუფებად. თითოეულს მივეცი ოთხ-ოთხი კითხვა და 8 წუთი პასუხების მოსა-

ფიქრებლად. სამუშაოს დასრულების შემდეგ მათ უნდა წარმოედგინათ მოკლე პრეზენტაციები.

თითოეული ჯგუფი დასმულ კითხვას პასუხობდა ხმამაღლა და დანარჩენი მოსწავლეები აფასებენ ამ პასუხებს.

პედაგოგის შეხედულებები

კმაყოფილი ვიყავი მოსწავლეების პასუხით, მათი აქტიური მონაწილეობით ჯგუფურ დისკუსიაში. ახალმა მიდგომამ გაამართლა. როგორც პედაგოგი, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ჩემს შესაძლებლობებში.

სწავლის მიზნები

ჯგუფური დისკუსიის და პრეზენტაციის ეს ფორმატი მისაღებია როგორც ჩემთვის, ისე მოსწავლეებისთვის. თუმცა, ვერ მოვასწარი გვესაუბრა ოთხივე საკითხზე დეტალურად და გამოგვეკითხა ყველა ჯგუფი.

მომავალ სემესტრშიც ვაპირებ მოსწავლეებს დავურიგო საპრეზენტაციო თემები და ყურადღება გავამახვილო ჯგუფურ დისკუსიებზე. თითოეულ ჯგუფს მოსამზადებლად მივცემ ერთ საკითხს და ამით გამოვრიცხავ ან შევამცირობ პასუხების გამეორების შესაძლებლობას.

კოლეგის შეხედულება ინციდენტის შესახებ

კოლეგის შეფასებით სწავლების პროცესში ვიყავი მოქნილი, ვახდენდი დროულ რეაქციას კლასში მიმდინარე მოვლენებზე და ჩემი სწავლების სტილი შეესაბამებოდა მაღალ მოთხოვნებს.

დანართი 1. გავლენის ეკოლოგიური სფერო

რისკ ფაქტორები	ფაქტორები	დამცავი ფაქტორები
	ბავშვის ფაქტორი: • მიდრეკილება: ტემპი/ნიჭი/ ტემპერამენტი • სოციალურ-შემცენებითი ინტელექტი და სტილი • ბიოგრაფია/ყოველდღიური მოვლენები • სწავლის სტილი, დავალების შესრულების სტილი/ ქცევა • სკოლის გამოცდილება (ჩართულობა/მოტივაცია და კეთილდღეობა) • ტვინის მომწიფება/ბიოქიმიური თავისებურებები • ფიზიკური განვითარება: დამოუკიდებლობა, მსხვილი მოტორული უნარები, ფაქიზი მოტორული უნარები, ლატერალიზაცია. • კოგნიტური განვითარება: ფიქრის ფაზა (პიაჟე), მესხიერება, სიმბოლოების გამოყენება, აბსტრაქტული აზროვნება, სტრატეგიები. • სოციალურ-ემოციური განვითარება: სოციალური ცნობიერება, თანაგრძნობა, სოციალური უნარები, მორალური ცნობიერება, ემოციური თავისუფლება, კონფლიქტების გადაჭრა, ერთად შრომა/ თამაში • თვითმენეჯმენტი: თვითიმიჯი/თვითგანსაზღვრა/ თვითრეგულაცია/თვითკონტროლი.	
	ოჯახის ფაქტორი: — ადამიანური კაპიტალი • მშობლები/სხვა ზრდასრულები • ძმები/დეები (თანატოლები) — სოციალური კაპიტალი • ოჯახური ურთიერთობები • ტრამული მოვლენები: გაყრა, უბედური შემთხვევა, სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვ. • აღზრდის სტილი (ავტორიტარული, დემოკრატიული, laissez-faire) • სოციალური მხარდაჭერის ხარისხი • კულტურა/ ენა/ სტანდარტები და ღირებულებების პატერნები • განათლება/მშობელთა საქმიანობა — მატერიალური კაპიტალი • საცხოვრებელი • ფინანსური მდგომარეობა	

	– სკოლის ფაქტორი • სკოლის ზომა, კლასის ზომა და შედგენილობა • სკოლის ტიპი • სკოლის ხედვა • სკოლის აქტივობები • მატერიალური/საგანმანათლებლო/ და სხვა რესურსები • შენობა/ მოწყობილობები • გუნდი/მენეჯმენტი (ავადმყოფობის გამო გაცდენა) • კლასელები; გავლენა (ჯგუფის დინამიკა, პროცესები), ურთიერთობები და სხვა. – მასწავლებლის ფაქტორი • თავისებურებები, სოციალური და კოგნიტური ინტელექტი, თვითიმიჯი, ავტობიოგრაფია და ბიოგრაფია / ყოველდღიური მოვლენები • განათლება/ გამოცდილება • სამუშაოთი კმაყოფილება/ სტრესი • ალბრდის სტილი (ავტორიტარული, დემოკრატიული, laissez-faire) • ჰარმონიზაციის ხარისხი (მგრძნობელობა და პასუხისმგებლობა) • რეფლექსიის უნარი • ურთიერთობა მოშობლებთან, გარე მხარეებთან და სხვა. გაკვეთილის ფაქტორი • კურიკულუმი/ მეთოდი • დიდაქტიკა/ დიფერენციაცია/ ორგანიზაცია • დავალება: ტიპი/ სიდიდე/ სირთულე	
	სამეზობლოს ფაქტორები • სოციალური კავშირები სამეზობლოში/ოჯახში • სოციალური მხარდაჭერა სამეზობლოს/ოჯახის • სამეზობლოს სოციოეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა • სოციოპედაგოგიური ინფრასტრუქტურა (განათლება/ მზრუნველობა /კეთილდღეობა • სამეზობლო ობიექტები; საცხოვრებელი გარემო და დასვენების ობიექტები(კლუბები/სათამაშო მოედნები/ და სხვ.)	
	ხელისუფლების ფაქტორები საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე • ინტეგრაციის პოლიტიკა/ ტოლერანტობა • ეკონომიკური მდგომარეობა/დასაქმების ბაზარი • სოციოპოლიტიკური კლიმატი	

თარმინთა განმარტება

ანტირასისტული განათლება – განათლება, რომელიც მიმართულია იმ ქმედებების, შეხედულებების ეჭვქვეშ დაყენებისკენ, რომელიც ხელს უწყობს რასობრივი განსხვავებულობის გამო დისკრიმინაციას.

დევნილი – რომელიმე ქვეყნის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო (იმავე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში) იმ მიზნით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

დიაგნოსტიკური ტესტი – ტესტი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელსა და სკოლას განსაზღვრონ ის სფეროები, რომელშიც მოსწავლეს სწავლის სირთულეები აქვს და გამოიყენოს ეს ინფორმაცია მოსწავლის სწავლის დაგეგმვისთვის.

დისკრიმინაცია – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უფლებათა შეზღუდვა ან შელახვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული (იხ. ეროვნული წარმომავლობა), ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარი ნიშნის მიხედვით.

ეთნიკური წარმომავლობა – ადამიანის კუთვნილება ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ეთნიკური ჯგუფისადმი, რომელიც განსხვავდება სხვა ეთნიკური ჯგუფისაგან (ერთობებისაგან) და. პირველ რიგში, უმრავლესობაში მყოფი მოსახლეობისაგან, რომელიც მართავს სახელმწიფოს, ხშირად ეთნიკური წარმომავლობა ენაცვლება ეროვნულ წარმომავლობას, რადგანაც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ეთნიკური ერთობაა.

თავშესაფრის მაძიებელი – ადამიანი, რომელიც თავშესაფარს ეძებს იმ სიტუაციიდან გასაქცევად, სადაც ომია ან დევნას განიცდის.

იმიგრაცია – უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსვლა.

ინტეგრირებული თემატური დაგეგმვა – სხვადასხვა დისციპლინებში სხვადასხვა თემების (მათ შორის ინტერკულტურული) ინტეგრირება.

ინტერკულტურული კომპეტენცია – ინტერკულტურული განათლების ღირებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების, გაზიარების უნარი.

ინტერკულტურული განათლება – განათლება, რომელიც აღიარებს და პატივს სცემს ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტის მრავალფეროვნების ბუნებრიობას, ხელს უწყობს ადამიანთა უფლებებსა და თანასწორობას, ებრძვის დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს იმ ფასეულობებს, რომელიც საფუძვლად უდევს თანასწორობას.

ირიბი დისკრიმინაცია – სიტუაცია, როდესაც ვითომ და ნეიტრალური კანონი იწვევს უარყოფით შედეგებს ერთ-ერთი უმცირესობისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის, რაც ობიექტური მიზეზებით არ არის გამართლებული.

კულტურა – ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის რწმენა, ქცევა, ენა და ცხოვრების წესი დროის კონკრეტულ პერიოდში.

ლტოლვილი – ლტოლვილად პირი ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარს და შემწეობისა და მფარველობისათვის მიმართავს უცხო ქვეყნის ხელისუფლებას. ლტოლვილად ჩაითვლება აგრეთვე ყველა პირი, რომელიც აგრესიის, უცხოური ოკუპაციის, უცხოური დომინაციის ან მისი წარმოშობის ან ეროვნების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში საჯარო წესრიგის სერიოზულად ხელმყოფი მოვლენების გამო იძულებულია დატოვოს თავისი საცხოვრებელი და თავშესაფარი ეძიოს თავისი წარმოშობის ან ეროვნების ქვეყნის გარეთ.

მიგრანტი – ადამიანი, რომელიც სხვა ქვეყანაში მიდის სამუშაოს საპოვნელად.

მიკერძოება – ვინმესთვის (რამესთვის) უსამართლოდ უპირატესობის მინიჭება, მიდგომით ვისიმე მხარდაჭერა, მიმხრობა. ამგვარი უპირატესობის საფუძველი შესაძლოა იყოს სექსი, ასაკი, სქესობრივი ორიენტაცია, რელიგია, სოციო-ეკონომიკური სტატუსი და ა.შ.

მულტიკულტურული გარემო – გარემო, რომელიც ხასიათდება ენობრივი, რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და სხვაგვარი მრავალფეროვნებით.

უმცირესობა – ჯგუფი, რომელიც, როგორც წესი, რიცხობრივ უმცირესობაშია სახელმწიფოს მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მიმართ. მისი წევრები, რომლებიც უფრო ხშირად ამავე ქვეყნის მოქალაქეები არიან, დანარჩენი მოსახლეობისაგან ეთნიკური, რელიგიური, ან ენობრივი განსხვავებებით გამოირჩევიან.

პლურალიზმი – საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნებისადმი ბუნებრივად დადებითი დამოკიდებულება, რაც უმცირესობათა ყველა ჯგუფს საშუალებას აძლევს აღიაროს საკუთარი იდენტობა ისე, რომ არ გამოიწვიოს უმრავლესობასთან კონფლიქტი.

რასა – მცდელობა კაცობრიობის დაყოფისა ჯგუფებად, რომლებიც განსხვავდებიან შთამომავლობით გადმოცემული ობიექტურად შესამჩნევი ნიშნებით (სახის და მისი ნაკვთების კონფიგურაცია – შავკანიანი მოსახლეობა, მალაიზიელები და ა.შ.). კანის ფერით (შავკანიანები, ყვითელკანიანები, წითელკანიანები, თეთრკანიანები და ა.შ.

რასობრივი დისკრიმინაცია – ისეთ ფაქტორებზე დაფუძნებული განსხვავებული უფლების შემლახველი მოპყრობა, როგორებიცაა: რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, მოქალაქეობა, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა.

სტერეოტიპი – ადამიანების ან იდეების ძალზე გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია.

ფარული კურიკულუმი – ფორმალური კურიკულუმის საწინააღმდეგო ცნება, რომელიც მოიცავს სკოლის კულტურას, ურთიერთობათა წესს, კონკრეტული ქცევების ერთობლიობას, და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოლობი რ., ჰუდლესტონი ტ., კრაფი პ., როუვი დ., ტაელმანი უ. (2009). ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროსაბჭო.
2. ტაბატაძე შ., ნაცვლიშვილი ნ., (2008). ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი.
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 26.2.
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>
5. საქართველოს კონსტიტუცია, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
6. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxe.pdf>
7. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ http://www.tpd.ge/uploads/umaglesi_ganatlebis_Sesaxe.pdf
8. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ, <http://meca.gov.ge/itst/index.php?module=Content-House&action=view&id=1628&lang=geo>
9. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1661.pdf>
10. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, <http://idfi.ge/ge/freedom-of-expression>
11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeksi.pdf
12. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, http://www.mes.gov.ge/old/index.php?module=text&link_id=196
13. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016, <http://mes.gov.ge/content.php?id=3923>
14. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2016-2021, <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2016-2021>

15. „მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, http://bntu.edu.ge/uploads/liceum/masc_etikis_kodeqsi.pdf
16. დირექტორის ეთიკის კოდექსი, http://tpdc.ge/images/stories/pdf/direktoris_kodeqsi.pdf
17. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი, http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=100&lang=geo
18. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, <http://www.smr.gov.ge/docs/doc173.pdf>
19. კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118>
20. ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი, 1999, <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>
21. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, 1995 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1195.pdf>
22. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9982>
23. Abram Ido, (2001). The ABCD of Intercultural Classroom Education, http://www.tickle-project.eu/toolbox/material/materials_netherlands/Link_7_THE%20ABCD_%20OF_%20INTERCULTURAL_%20CLASSROOM_%20EDUCATION.pdf
24. Arredondo, P., & Glauner, T. (1992). Personal dimensions of identity model. Boston: Empowerment Workshops.
25. Banks J. A. (2009). Human rights, diversity and citizenship education. *The Educational Forum*, 73 (2), 100-110.
26. Banks, J. A. & Banks C. A. (2010). *Multicultural Education: Issues and Perspectives*, 7th Ed., Wiley, 2010.
27. Banks J. A., (2012). *Encyclopedia of Diversity in Education*, SAGE Publications, Inc.
28. Banks J. A., (2014). *An introduction to Multicultural Education*, 5th ed., Pearson.

29. Bennett C. I., (2011). *Comprehensive Multicultural Education, Theory and Practice*, 7th ed. 2011, Pearson.
30. Bennett M. J., (2004). *Becoming Interculturally Competent in Wurzel, J. (Ed.). Toward multiculturalism: A reader in multicultural education* (2nd ed., pp. 62-77). Newton, MA: Intercultural Resource Corporation.
31. Bruner J., (2003). *The Process of Education*, Harvard University Press.
32. Cushner K., McClelland A., Safford P., (2008). *Human Diversity in Education: An Integrative Approach*, 6th ed., McGraw-Hill.
33. Deardorff D.K., (2009). *The SAGE Handbook of Intercultural Competence*, 2nd ed., SAGE Publications, Inc.
34. Dolby N., (2012). *Rethinking Multicultural Education for the Next Generation*, 1st ed., Routledge.
35. Dorn G. & Cavalieri-Koch A., (2005) *Intercultural Skills a Guide to working with other cultures*, National Centre for Languages Copyright © CILT.
36. Gay, G., (2002). *Culturally responsive teaching: Theory, research, and practice*. New York: Teachers College Press.
37. Golnick, D.M., & Chinn, P.C., (2013). *Multicultural Education in a Pluralistic Society*. 9th ed., New York, NY: Pearson.
38. Grant C. A. & Sleeter C. E. , (2008). *Turning on Learning: Five Approaches for Multicultural Teaching Plans for Race, Class, Gender and Disability*, 5th ed., Wiley.
39. Nuehring Ph., Good Apples, lesson plan, http://www.uni.edu/gai/sites/default/files/lesson_plans/k_2/good_apples.pdf
40. Weaver. Gary R.(1986). Understanding and coping with cross-cultural adjustment Stress. In R.M. Paige (Ed). *Cross-cultural orientation. New conceptualizations and applications*. Lanham MD: University Press of America.
41. A Framework of Reference for Pluralistic Approaches, <http://carap.ecml.at/Keyconcepts/tabid/2681/language/en-US/Default.aspx>
42. A Critical Incident Reflection Framework, <http://www.education.vic.gov.au/childhood/professionals/support/Pages/reflectframework.aspx>

43. Autobiography of Intercultural Encounters, Council of Europe, http://www.coe.int/t/dg4/autobiography/default_en.asp
44. Council of Europe, http://www.coe.int/t/dg4/linguistic/EducInter_en.asp
45. Critical Incidents, <http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/ci/introduction.shtml>
46. Intercultural competence for all Preparation for living in a heterogeneous world, Ed. by Josef Huber, Council of Europe, 2012, http://www.coe.int/t/dg4/education/pestalozzi/Source/Documentation/Pestalozzi2_EN.pdf
47. Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf
48. Key Competencies for Lifelong Learning, European Reference Framework <https://www.britishcouncil.org/sites/default/files/youth-in-action-keycomp-en.pdf>
49. Multicultural Curriculum Reform, an EdChange project by Paul C. Gorski, <http://www.edchange.org/multicultural/curriculum/characteristics.html>
50. Multicultural Problem Solving: The Model, an EdChange project by Paul C. Gorski, http://www.edchange.org/multicultural/activities/model_case.html
51. UNESCO Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions (2005)
52. UNESCO Guidelines on Intercultural Education, UNESCO 2006, <http://unesdoc.unesco.org/images/0014/001478/147878e.pdf>

სასარგებლო რესურსები

1. ინტერკულტურული განათლება. შ. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ., 2008
2. ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე. კვლევის ანგარიში. ავტორები: შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე. თბ., 2013
3. “ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“ ავტორები: ლევან ბერძენიშვილი, ზურაბ ბრატაძე, გიორგი გვახარია, ზაზა დარასელია, ლევან თაქთაქიშვილი, ფრიდონ საყვარელიძე, თბ. 2004
4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი. თბ., 2014
5. ტაბატაძე შ., ნაცვლიშვილი ნ., ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2008.
6. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, <http://www.mes.gov.ge>
7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, <http://www.mes.gov.ge>
8. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016, <http://www.mes.gov.ge>
9. „მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი, www.mes.gov.ge
10. ღირებულების ეთიკის კოდექსი, <http://www.mes.gov.ge>
11. „მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი, <http://www.mes.gov.ge>
12. რელიგიური მრავალფეროვნება და ინტერკულტურული განათლება: სახელმძღვანელო სკოლებისათვის. გამოცემის რედაქტორი ჯონ ქისტი. 2007წ.
13. ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვა (მეთოდური სახელმძღვანელო) ჯანა ჯავახიშვილისა და ნოდარ სარჯველაძის რედაქციით. თბ. 2007.
14. ინტერკულტურული განათლება – პედაგოგიური მიდგომები, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, თბ., 2015.

15. მრავალენიკური და მრავალკულტურული საქართველო, სა-
კითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, თბ., 2015.
16. Banks, J. A. (2009). Human rights, diversity and citizenship education.
The Educational Forum, 73 (2), 100-110.
17. Banks J. A., 2012. *Encyclopedia of Diversity in Education*, SAGE
Publications, Inc.
18. Banks J. A., 2014. *An introduction to Multicultural Education*, 5th ed.,
Pearson.
19. Banks, J.A. and Banks C. A., 2005. *Multicultural education: Issues and
perspectives*. New York: John Wiley and Sons.
20. Bennett C. I., 2011. *Comprehensive Multicultural Education, Theory and
Practice*, 7th ed. Pearson.
21. Biseth, H., 2009. Multilingualism and education for democracy.
International Review of Education, 55(1).
22. Burnett G., 1994. *Varieties of multicultural education: An introduction*.
New York, N.Y.: ERIC Clearinghouse on Urban Education.
23. Cheong P. H., Martin J. N., and Macfadyen L. P. 2012. *New Media and
Intercultural Communication: Identity, Community and Politics*, Peter
Lang Publishing Inc.
24. Cushner K., McClelland A., Safford P., 2008. *Human Diversity in
Education: An Integrative Approach*, 6th ed., McGraw-Hill.
25. Deardorff D.K., 2009. *The SAGE Handbook of Intercultural Competence*,
2nd ed., SAGE Publications, Inc.
26. Dolby N., 2012. *Rethinking Multicultural Education for the Next
Generation*, 1st ed., Routledge.
27. Freire P., 2005. *Pedagogy of the Oppressed*, 30th Anniversary ed.,
Continuum.
28. Gay, G., 2002. *Culturally responsive teaching: Theory, research, and
practice*. New York: Teachers College Press.
29. Golnick, D.M., and Chinn, P.C., 2013. *Multicultural Education in a
Pluralistic Society*. 9th ed., New York, NY: Pearson.

30. Gomez, R. A., 1991. *Teaching with a multicultural perspective*. Urbana, I.L.: ERIC Clearinghouse on Elementary and Early Childhood Education.
31. Grant C.A. and Sleeter C. E., 2008. *Turning on Learning: Five Approaches for Multicultural Teaching Plans for Race, Class, Gender and Disability*, 5th ed., Wiley.
32. Grant, C. A. and Gilette, M., 2006. *Learning to Teach Everyone's Children: Equity, empowerment and education that is multicultural*. Belmont, CA: Thompson Wadsworth.
33. Landis D. R., Bennett J. M. and Bennett M., 2003. *Handbook of Intercultural Training*, 3rd ed., SAGE Publications, Inc.
34. Osler, A. (2002) Education for Human Rights and Citizenship in a Multicultural Society: making a difference, *Citizenship, Social and Economics Education*, 5(1), 5-16.
35. Tibbits, F. (1996). On human dignity: The need for human rights education. *Social Education*, 60 (7), 428-431.
36. Mama, R. S. (2010). Needs, rights, and the human family: The practicality of the Convention on the Rights of the Child. *Child Welfare*, 89 (5), 177-189.
37. Melton, G. B. (1991). Preserving the dignity of children around the world: The U.N. Convention on the Rights of the Child. *Child Abuse & Neglect*, 15 (4), 343-350.
38. Freeman, M. D. A. (1998). The sociology of childhood and children's rights. *The International journal of Children's Rights* 6, 433-444.
39. Melton, G. B., & Limber, S. (1992). What children's rights mean to children: Children's own views. In M. Freeman & P. Veerman (Eds.), *The ideologies of children's rights* (pp. 167-187). Dordrecht: Kluwer Academic Publishers.
40. Panter-Brick, C. (2002). Street children, human rights, and public health: A critique and future directions. *Annual Review of Anthropology*, 31, 147-171.
41. Grodem, A.S. (2008). Household poverty and deprivation among children: How strong are the links? *Childhood*, 15 (11), 107-125.

42. Luthar, S.S. (1999). *Poverty and children's adjustment* (Vol. 41). Thousand Oaks, CA: Sage Publications, Inc.
43. The Machel Report and Its Fallout: An Introduction to Children and Armed Conflict. (2010). In S. Dillion, (Ed) *International Children's Rights*. Carolina Academic Press (pp.693-708).
44. Amnesty International. (2000). Child Soldiers: Criminals or Victims? In Dillon, S. (2010)(Ed) *International Children's Rights*. Carolina Academic Press. 731-748.
45. Hanson, K and Vandaele, A. (2003). Working Children and International Labour Law: A Critical Analysis. *International Journal of Children's Rights*, 73
46. . Children in the Sex Industry. (2010). In S. Dillon (Ed.). *International Children's Rights* (pp.273-302). Durham, NC: Carolina Academic Press. Durham. North Carolina.
47. Myers, W. (2001). The Right Rights? Child Labor in a Globalizing World. 575 *Annals of the American Academy of Political and Social Science*, 38.
48. Fontes, L. A. (2005). Multicultural orientation to child maltreatment work. In L. A. Fontes, *Child Abuse and Culture: Working with Diverse Families* (pp.1-29). New York, NY: Guilford Press.
49. Miller-Perrin, C. L., & Perrin, R. D. (2007). Chapter 4. In C. L. Miller-Perrin & R. D. Perrin, *Child maltreatment: An introduction* (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Sage Publications.
50. Svevo-Cianci, K. A., Herczog, M., Krappmann, L., & Cook, P. (2011). The new UN CRC General Comment 13: „The right of the child to freedom from all forms of violence“ -changing how the world conceptualizes child protection. *Child Abuse & Neglect*, 35 (12), 979-989.
51. Thomlison, B. (2004). Child maltreatment: A risk and protective factor perspective. In M.W. Fraser (Ed.), *Risk and resilience in childhood: An ecological perspective* (2nd ed., pp.89-132). Washington, DC: NASW Press.
52. Mishna et. al (2012). Risk factors for involvement in cyber bullying: Victims, bullies and bully victims. *Children and Youth Services Review*. 34, 63-70.

53. Kirman, J. M. (2004). Using the theme of bullying to teach about human rights in the social studies curriculum. *McGill Journal of Education*, 39 (3), 327-341.
54. Welbourne, P. (2002). Culture, children's rights and child protection. *Child Abuse Review*, 11, 345-358
55. Kenny, M. (2001). Child abuse reporting: Teachers' perceived deterrents. *Child Abuse & Neglect*, 25 (1), 81-92.
56. Ashton, V. (2004). The effect of personal characteristics on reporting child maltreatment. *Child Abuse & Neglect*, 28, 985-997. 2.
57. Webster, S.W., O'Toole, R., O'Toole, A.W., & Lucal, B. (2005). Overreporting and underreporting of child abuse: Teachers' use of professional discretion. *Child Abuse & Neglect*, 29 (11), 1281-1296.
58. Kune, N. (2011). The Need to belong: rediscovering Maslow's hierarchy of needs. Paul H. Brookes Publishers.
59. Lejeune, J and G. Mackie (2008). Social Dynamics of Abandonment of Harmful Practices: A new look at theory. UNICEF Innocenti Research Center, Florence.
60. Sobsey, D. (2002). Exceptionality, Education, and Maltreatment. *Exceptionality*, vol. 10., no.1 2002, pp. 29-46.
61. Pantazidou, M. (2013). De-Constructing Marginality with Displaced People: Learning Rights from an Actor-Oriented Perspective. *Journal of Human Rights Practice* 5: 267-290.
62. Killen, M. Mulvey, K. and Hitti, A. (2012). Social Exclusion in Childhood: A developmental Intergroup Perspective. *Child Development*. 84, 3, 772-790.
63. Ogbu, J., & Simmons, H. (1998). Voluntary and involuntary minorities: A cultural ecological theory of school performance with some implications for education. *Anthropology and Educational Quarterly*, 29 (2), 155-188.
64. Sen, A. (2006). The Violence of illusion and making sense of identity. *Identity and Violence: The Illusion of Destiny*. Great Britain: Allen Lane. pp. 1-39.

65. Osler, A., & Starkey, H. (2010). Human rights and democracy in schools. In A. Osler & H. Starkey, *Teachers and Human Rights Education* (pp. 144-163). Stoke-on-Trent: Trentham Books Ltd.
66. Starkey, H., & Osler, A. (2006). Education for democratic citizenship: A review of research, policy and practice 1995-2005. *Research Papers in Education*, 21 (4), 433-466
67. Carter, C., & Osler, A. (2000). Human rights, identities and conflict management: A study of school culture as experienced through classroom relationships. *Cambridge Journal of Education*, 30 (3), 336-356.
68. Starkey, H. (2012). Human Rights, cosmopolitanism and utopias: Implications for citizen education. *Cambridge Journal of Education*, 42 (1), 21-35.
69. Gaudelli, W., & Fernekes, W. R. (2004). Teaching about global human rights for global citizenship. *The Social Studies*, 95 (1), 16-26.
70. Osler, A., & Starkey, H. (2002). Education for citizenship: Mainstreaming the fight against racism? *European Journal of Education*, 37 (2), 143-159.
71. <http://www.edchange.org>
72. <http://www.diversitystore.com/ds/index.cfm>
73. <http://www.nameorg.org/resources.php>
74. www.diversity.ge
75. http://www.ncca.ie/en/Curriculum_and_Assessment/Inclusion/Intercultural_Education/
76. http://www.coe.int/t/dg4/linguistic/EducInter_en.asp
77. <http://www.igi-global.com/dictionary/intercultural-education/15234>
78. <http://www.bothell.washington.edu/globalinitiatives/resources/intercultural-competence-tool-kit>

